

**№3**  
**2019**

ISSN 2587-4551



# სკოლა და ცხოვრება

საქართველოს საბიბლიო-არქივოლოგიური  
ზუსტული

**№3**  
**2019**

ISSN 2587-4551

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი



**სკოლა**  
**და**  
**ცხოვრება**

ბათუმის 1924 წლიდან

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
პედაგოგთა კავშირი

**მთავარი რედაქტორი  
ბარი ჩაფიძე**

**სარედაქციო კოლეგია**

**ირინე აბულაძე**  
**ოლეგი ალავიძე**  
**შალვა ამონაშვილი**  
**აზა ბუაძე**  
**ლეილა გეგეშიძე**  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
**სერგო ვარდოსანიძე**  
**აკაკი ზოიძე**  
**პავლე თვალთაშვილი**  
**კახა კობერიძე**  
**ზვიადი ლაზარაშვილი**  
**მეუფე იონაე**  
**ლია მარტაშვილი**  
**ვაჟა მიროტაძე**  
**რუსუდან მოსიძე**  
**მანანა ძვანახია**  
**ინგა შამილიშვილი**  
**ბერიკა შუკაკიძე**  
**ზურაბ ცუცქერიძე**  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)  
**მამუკა ხამსაძე**

**რედაქციის მისამართი: 0182; ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7;**  
**3700; ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5;**  
**ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: (032)2 27-89-00;**  
**(0341) 22-25-00; 25-37-00;**  
**პასუხისმგებელი მდივნის: (0341) 22-45-00; 25-39-00**  
**განყოფილებათა რედაქტორების: (032)2 27-89-01;**  
**(0341) 27-94-00; 27-96-00;**  
**გავრცელების სამსახური: (0341) 22-77-77;**

# სარჩევი

<b>საერთაშორისო სამეცნიერო პედაგოგიური სიმპოზიუმი</b> .....	3
<b>პედაგოგთა საერთაშორისო კონგრესი</b> .....	5
<b>ცია პორცვაძე</b> - „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელჩაკიდებულნი უნდა ვიდოდნენ“ ...	7
<b>ეთერ აბულაძე</b> - როგორ ვახდენთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებში სააზროვნო უნარების განვითარებას .....	9
<b>ლია ნადირაშვილი</b> - „დედა ენის“ გზა .....	13
<b>ქრისტინე გეგელიშვილი</b> - სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული მხარეები .....	16
<b>მანანა კაკალაშვილი</b> - როგორ ვმუშაობ აზერბაიჯანულენოვანი სკოლის ქართულ ჯგუფში .....	18
<b>ნოდარ ბასილაძე</b> - ილია ჭავჭავაძე ცოდნისა და სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ .....	22
<b>მარიამ დალაქიშვილი</b> - ადამიანის სიყვარული უპირველესია .....	30
<b>ნარგიზ ბალიშვილი</b> - როგორ ვიყენებ რესურს ხე-ს ისტორიის გაკვეთილზე IX კლასში .....	33
<b>სამოცდაათი წელი სკოლაში</b> .....	37
<b>ლია მარტაშვილი</b> - საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის დელეგაცია საბერძნეთის რესპუბლიკას სტუმრობდა .....	39
<b>მარიამ კუკულაძე</b> - ხალხური სიტყვიერების ნიმუშები იაკობ გოგებაშვილის დედა ენაში .....	41
<b>ლორითა შონია</b> - აზრი ქართული, ფიქრი ქართული .....	52
<b>მანია დუმბაძე</b> - გველეშაპის მლახვრელი წმინდა გიორგი ...	66
<b>ნინო მიქავა</b> - ივანე მამაცაშვილის ლიტერატურული სალონი .	73
<b>ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში</b> ...	80

# საერთაშორისო სამეცნიერო ჰელაგოგიური სიმპოზიუმი

ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური სიმპოზიუმი თემაზე „განათლება საზღვრების გარეშე“, რომელიც საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ეგიდით მოეწყო და რომელშიც ქართულ-პედაგოგიურ სპექტრთან ერთად, უკრაინის პედაგოგთა კავშირის დელეგაციაც მონაწილეობდა, უკრაინის უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატის, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის, პროფესორ ალექსანდრე მარჩენკოს ხელმძღვანელობით, ასევე საპატიო სტუმართა სიაში იყვნენ: უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პროფესორი გალინა ზახარჩენკო, ჟიტომირის ოლქის ქ. მალინსკის სახელმწიფო ტექნოლოგიური კოლეჯის დირექტორი, დოცენტი იგორ ივანიუკი, ქ.კიევის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კოლეჯის დირექტორის მოადგილე, დოცენტი ტატიანა კოსა, ვინიცის ოლქის ქალაქ ილინეცკის სახელმწიფო აგრარული კოლეჯის დირექტორი, პროფესორი – ვასილ პინდუსი, ქ. ხერსონის 30-ე სპეციალიზირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი, უკრაინის დამსახურებული მასწავლებელი აქსანა ბარნაში, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები-ალინა ზახარჩენკო და ნატალია სემენჩენკო, კიევის ოლქის ქ. ბელაია ცერკოვის 29-ე ბაგაბაღის ფსიქოლოგი, დოცენტი ელენა მარჩენკო, უკრაინის უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატის თანაშემწე-კონსულტანტი, დოცენტი ინნა კოპიევსკაია, ქ. ოდესის 38-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი, უკრაინის დამსახურებული მასწავლებელი იანა პოცელუევა, ქ. ხერსონის 56-ე სასწავლო აღმზრდელობითი კომპლექსის დირექტორი, უკრაინის დამსახურებული მასწავლებელი-სვეტლანა მიტიუკი. სიმპოზიუმი საზეიმო ღონისძიებით გაიხსნა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. რუსთავის სკოლა „მილენიუმისა“ და ქ. რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლი „არიში.“ რომლის შემდეგაც სტუმარ-მასპინძლებმა ტრადიციული მრავალჟამიერის ფონზე,საერთაშორისო შეხვედრებისათვის განკუთვნილ კორპუსში გადაინაცვლეს, სიმპოზიუმი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა გარი ჩაფიძემ გახსნა და თავისივე მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა იმ ქართული სამეცნიერო ინსტიტუტის დამსახურებაზე, რომელიც უხსოვარი

დროიდან იღებს სათავეებს, მანვე მოკლედ მიმოიხილა დღევანდელი ქართული და საერთაშორისო აღმზრდელობითი საკითხები, შეეხო იმ ნოვაციებს, რომელთაც საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი ატარებს და სიტყვა საქართველოს პარლამენტის წევრს, მაჟორიტარ დეპუტატს პაატა მხეიძეს გადასცა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმებზე, ხოლო უკრაინის რადას სახალხო დეპუტატმა პროფესორმა ალექსანდრე მარჩენკომ თეზისებად ჩამოაყალიბა განათლების თანამედროვე სპექტრი საფეხურების მიხედვით, საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ სიმპოზიუმის მონაწილეთა წინაშე: – ქ. რუსთავის ვიცე მერი გოჩა ლორია, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ლეილა გეგეშიძე, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი გალინა ზახარჩენკო, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე კახა კობერიძე, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი აკაკი ზოიძე, ქ. ბათუმის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ბასილაძე, სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა და მას მაღალი შეფასება მისცა ქ. რუსთავის მერმა ბატონმა ირაკლი ტაბალუამ. ამაღლებული განწყობის შუქზე გაცვალეს საჩუქრები სტუმარ-მასპინძლებმა, უკრაინის სახელმწიფო ჯილდო, მეგობრობის ორდენი გადასცა ალექსანდრე მარჩენკომ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, პროფესორ გარი ჩაფიძესა და ჩვენი ქალაქის უდიდეს მეცენატს, კომპანია „გრანდ-ვეჯინის“ გენერალურ დირექტორს ბატონ თამაზ გველუკაშვილს. სიმპოზიუმის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ, დებატებმა მრგვალ მაგიდასთან, აკადემიური ქალაქის პირველ კორპუსში გადაინაცვლა, სადაც თვალნათლივ წარმოჩნდა იმ ნეგატივებისა თუ პოზიტივების შესახებ, რომელიც დღეს ორივე ქვეყნის, საქართველოსა და უკრაინის პედაგოგიური აზროვნების თანმდევია. სიმპოზიუმის ფარგლებში სტუმარ-მასპინძლებმა დაათვალიერეს იაკობ გოგებაშვილის მუზეუმი, აკადემიური ქალაქის – „საბავშვო ბაღი თვითფრინავში“ ბალის გამგე მაკა სამხარაძესთან ერთად და გაეცნენ ქ. რუსთავის მეოთხე საჯარო სკოლის მუშაობას, სადაც მეგზურობას სკოლის დირექტორი მამუკა ხამხაძე უწევდა... შემდეგ დელეგაციის წევრები ესტუმრნენ ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს ქ. რუსთავში, თბილისსა და მცხეთაში, საიდანაც აღფრთოვანებულები დაბრუნდნენ სამზადისით საერთაშორისო მეცნიერული კონგრესისათვის, რომელსაც კიევი უმასპინძლებს.

# პედაგოგთა საერთაშორისო კონგრესი

ამ დღეებში უკრაინის დედაქალაქ კიევში მალალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა განათლებისა და მეცნიერების მორიგი საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც ევროპისა და აზიის 22 ქვეყნის წარმომადგენლობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ 12-პედაგოგის შემადგენლობით.

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, უკრაინის პატრიოტის ოქროს ვარსკვლავის ორდენოსანმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველოს სამეცნიერო პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება“ მთავარმა რედაქტორმა, ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ამომწურავად უპასუხა ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტის მიერ დასმულ შეკითხვებს პედაგოგთა საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით, კონგრესთან, რომლის ერთ-ერთი წინა პირობა ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში ჩატარებული განათლების საერთაშორისო სიმპოზიუმი გახლდათ და კონგრესისა, რომელიც განათლების სფეროში არსებულ მიღწევებსა და პრობლემების განხილვას მიეძღვნა და მთლიანად დაფინანსებული იყო უკრაინის მთავრობის მიერ. ღონისძიების სლოგანი ასე უღერდა: „განათლებამ საზღვრები არ იცის“.

– როგორ დაგხვდათ ევროპის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქი? – კიევი საოცრად კოპნია, მოვლილი და უამრავი ტურისტის მასპინძელი ქალაქია, უკრაინული სიტბოთი და სიყვარულით აღსავსე. იმასაც დავსძენ, რომ ამ კონგრესზე განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველთა მიმართ იჩენდნენ.

– მოგვიყევით, რა პროგრამით წარიმართა მუშაობა კონგრესის დღეებში?

– სტუმრები დარგობრივად დაგვყვეს სამუშაო ჯგუფებად, ჩვენს ქართველ ჯგუფთან ერთად მუშაობა მოუწია ყაზახეთის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, პროფესორ აიგულ მუკაშევას, პოლონეთის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, პროფესორ სტეფან ვიელსონს და ჩემს უკრაინელ კოლეგას აკადემიკოს ვლადიმერ ვერბიციკს.

სხდომებზე შეხვედრების გარდა, დელეგაციის წევრები ვიყავით ჟიტომირის ოლქში, სადაც საფუძვლიანად გავეცანით საგანმანათლებლო ობიექტებს, მათი მუშაობის პრინციპებს, შეხვედრა გვექონდა ქალაქის მერთან ვიქტორია კრასნოპოროსთან და დეპუტატი ივანე მარტინჩუკთან, შემდეგ ვინიცის ოლქში გვექონდა სამთავრობო დონის შეხვედრები, სადაც ჩვენთან ერთად იყო ოლქის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი ვასილ პინდუსი.

ორივე ოლქის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებით გადანწყდა, რომ ქალაქ ჟიტომირშიც და ვინიცაშიც გაიხსნება იაკობ გოგებაშვი-

ლის სახელობის ქართული საკვირაო სკოლები. ყველა სამთავრობო დონეზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის გამოსვლა ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი გახლდათ. ვინიცის ოლქში ქალაქ ილინში უკვე კარგა ხანია განხორციელებულია ჩემი სასწავლო პროექტი-სასწავლო სემესტრებთან ერთად მესამე შრომითი სემესტრი, რამაც სასიკეთო შედეგები გამოიღო, აქ გაშენებულ ვაშლის პლანტაციებში, კოლეჯის სტუდენტები მუშაობენ, თავიანთი შემოსავლებით სასწავლო გადასახადებსაც იხდიან და პირად ანგარიშებზეც ერიცხებათ გარკვეული თანხები. ასე იქნება ახლო მომავალში ჩვენთანაც, რაშიც თანადგომა გამოგვიცხადა, არა მხოლოდ სიტყვიერი და მორალური, არამედ ფინანსურიც ქალაქ ილინის მერმა. მან ერთი მილიონი გრივნი (უკრაინული ვალუტა) გამოყო ჩვენთან განსახორციელებელი სიახლისათვის და შეგვიძლია, უკვე დავაანონსოთ, რომ ჩვენც შევიძინეთ საკმაოდ დიდი ბალი ქარელში და შევექმენით მეურნეობა „ხილიანი“.

პოლონეთის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარესთან სტეფან ვიელსონთან შეხვედრით გადწყდა, რომ პოლონეთში ქართველი ემიგრანტებისთვისაც გაიხსნება საკვირაო სკოლა. ამ ვიზიტის ფარგლებში მე წავიკითხე ლექცია „პოლიკაუზალიზმის შესახებ დღეს მსოფლიოში“ – კიევში ერთ-ერთ სამეცნიერო დანესებულებაში და გადმომცეს ოქროს მედალი „უკრაინის განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანის“ რეგალიით. მთელ ამ მუშაობას თვალს ადევნებდა და გამომშვიდობებისას თან გვახლდა უკრაინაში საქართველოს საელჩოს პირველი ატაშე ირაკლი რიგვავა

– თქვენი გეგმები ახლო მომავალში?

– საქართველოდან ახლო მომავალში პედაგოგთა კავშირის დელეგაცია ეწვევა ყაზახეთს აიგულ მუკაშევას მინწევით, მას სურს, რომ იქაც გავხსნათ ქართული სკოლა. ზაფხულში დაგეგმილი გვაქვს გამგზავრება ვენეციაში, სადაც ოფიციალურად ვართ მინწეული იქაური ქართველი ემიგრანტების მიერ, რა თქმა უნდა, სპეციალური და მიზნობრივი მისიით.

ასე რომ, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი ყოველთვის მონოდების სიმალლეზეა, ეროვნული საქმეების კეთებისა და ქართული ცნობიერების დონიდან.



# სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელისხელჩაკიდებულნი უნდა ვიდოდნენ

ეს ფრაზა ილია მართალის შეგონებიდან არის მოხმობილი და ღრმად ჩაგვაფიქრებს ამ ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე: „სწავლება“ და „აღზრდა“.

დღევანდელ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე „ძლიერი იარაღი“, რაც შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს, მის ინტელექტსა და სულიერ სიმდიდრეს გამოსხატავდეს – ცოდნაა.

არისტოტელეს თქმისა არ იყოს – „განათლებულსა და გაუნათლებელ ადამიანს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მკვდარსა და ცოცხალს შორის“.

ილია ბრძანებდა: „თუ განათლებული ხარ, სავსე კაცი ხარ“, შემდეგ იქვე დასძენდა: „საკმაო არ არის, კაცი მეცნიერი იყოს, ენციკლოპედიური ცოდნა მიელოს, ამავე დროს კაი კაციც უნდა იყოს და კაი კაცობის შემწეობაც უნდა გააჩნდეს. ეს კაი კაცობა კი მხოლოდ ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს“. პედაგოგები დიდი მოლოდინითა და სიფრთხილით ვუყურებთ სკოლაში გასატარებელ რეფორმებს. გამოჩნდნენ იდეოლოგიური მოწინააღმდეგეებიც, რაც ერთგვარად დამაბნეველია.

რა განვითარება ექნება ყოველივეს, ჯერ არ ვიცით, ვიდრე შედეგები არ დადგება, მაგრამ მერე გვიანი არ იყოს „თითზე კბენანი“.

ამდენად, როცა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ვსაუბრობთ, ორი რამ უნდა გავითვალისწინოთ: რა შედეგები მოიტანა რეფორმებმა განათლების ხარისხის ამაღლებისა და მომავალი თაობის აღზრდის თვალსაზრისით?

მიმაჩნია, რომ რეფორმების ხშირმა ცვლამ თითქმის ერთმანეთისაგან გამიჯნა „სწავლება“ და „აღზრდა“, არადა, გავისხენოთ დებულებად წარმოდგენილი ფრაზა: „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელისხელჩაკიდებულნი უნდა ვიდოდნენ“.

რა მდგომარეობაა სკოლებში დღეს ამ თვალსაზრისით?

ვფიქრობ, სავალალო.

აღნიშნულის თქმის უფლებას მაძლევს შემდეგი ფაქტი: რეფორმების თანახმად ხდება მასწავლებელთა სერტიფიცირება. სერტიფიცირებულ პედაგოგთა მთელი ყურადღება გადატანილი იყო კრედიტქულების დაგროვებაზე, რაც ზოგჯერ ფორმალურ ხასიათსაც იღებდა და უყურადღებოდ ტოვებდა გაკვეთილის აღმზრდელობით მხარეს, რაც უარყოფითად აისახებოდა მოზარდებში, რის შედეგადაც ხშირი ხასიათი მიიღო ძალადობის ფაქტებმა, ქუჩურმა გარჩევებმა, ამაღლდა აგრესია, ცინიზმი, „ბულინგი“, შეინიშნება ცივი იარაღის გამოყენების შემთხვევები. სავარაუდოდ, საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის და აღზრდის ეფექტური სისტემის

ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს სასურველი ლექტორებით დაკომპლექტებული პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, რომელიც, როგორც უნინ, ხშირად ზაფხულის პერიოდში უნდა გაიმართოს, როდესაც პედაგოგი გაკვეთილებიდან მოწყვეტილია და აქვს „არდადეგები“. ლექციები თუ სემინარები მიზმი უნდა იყოს ერთმანეთზე ორი-სამი კვირა ხანგრძლივობით და არა იშვიათად.

ჩემი დაკვირვებით, სასწავლო რეფორმებისა და ასევე განათლების მინისტრის (რომელსაც ექვემდებარება რამდენიმე სფერო) ხშირმა ცვლამ უკანა პლანზე დასწია მოსწავლეთა აღზრდა. სკოლებში მოშლილია დისციპლინა. ამიტომ საჭიროა, პედაგოგმა თავის სააღმზრდელო საქმიანობაში ყოველთვის გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი, რაც ცხადია, შედეგებზე პოზიტიურ გავლენას იქონიებს.

სკოლა, ოჯახი, საზოგადოება და ადმინისტრაციული ორგანოები უნდა გაერთიანდეს, რათა განხორციელდეს მომავალი თაობის სწორად აღზრდა-განვითარება.

ამავე დროს, ვფიქრობ, მანდატურის ინსტიტუტზე უფრო ეფექტური იყო სკოლებში ე.წ. ორგანიზატორისა და ფსიქოლოგის შტატების არსებობა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ისინი თავიანთ მუშაობაში გაითვალისწინებდნენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც მანდატურათვის უცხოა. ისინი ხომ პირდაპირ რეაგირებთ ახდენენ კონკრეტულ ფაქტებზე და ნაკლებად იკვლევენ აღნიშნულის მიზეზებს. საჭიროა, ვებრძოლოთ არა შედეგს, არამედ მის გამომწვევ მიზეზებს, წინასწარი სამუშაოებია ჩასატარებელი მოსალოდნელი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად.

რა თქმა უნდა, სწავლებაში უნდა დამკვიდრდეს ევროპული სტანდარტებიც, მაგრამ ეს უნდა წარიმართოს ეტაპობრივად, თანდათანობით და არა ხელის ერთი მოსმით, თანაც ეს უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით.

ამავე დროს, სწავლა-აღზრდის სისტემის გაუმჯობესება უნდა განხორციელდეს „წარსულ ნერგზე ახლის დამყნობის“ კარგად ცოდნის საფუძველზე. უამისოდ ყოველგვარი რეფორმა უსაძირკვლო შენობას დაემსგავსა, რომელიც მალევე ჩამოიშლება და უეფექტო იქნება.

ამ საქმის მესვეურები ერთხელ კიდევ უნდა დაფიქრდნენ და ყურად იღონ გამოცდილი პედაგოგების რჩევა-დარიგებანი. თუმცა ყველაზე დიდი მრჩეველი ჩვენი ბრძენი მოძღვარი ილია იყო, როცა გვაძლევდა ამგვარ შეგონებას: „სკოლაში სწავლება და აღზრდა ხელიხელჩაკიდებულნი უნდა ვიდიდნენ“.

**ცნა ბორცვაძე**

**სსიპ-ქალაქ თბილისის №140 საჯარო სკოლის  
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი**

# როგორ ვახდენთ ღაწყაბითი კლასების მოსწავლეები საზროვნო უნარების განვითარებას!

ახალმა თაობამ, რომელმაც თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ააშენოს, უფროს თაობაზე უკეთ უნდა შეძლოს პრობლემის გადაჭრა, მდგომარეობის კრიტიკული შეფასება და გონივრული გადაწყვეტილების მიღება. ამისათვის საჭიროა პატარაობიდანვე შევარჩვიოთ ფიქრს, მსჯელობას. საკუთარი აზრის გადმოცემას დასაბუთებით, პარალელის გავლებას საკუთარ აზრსა და სხვის აზრს შორის.

ამ პროცესში შესაძლებელია, როგორც უფროსი ასაკის მოსწავლეების ჩაბმა, ასევე პატარებსაც შეუძლიათ დაეუფლონ კრიტიკულ შემოქმედებით აზროვნებას.

მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის ამაღლება, კრიტიკული აზროვნების ორგანიზებული ფორმით მიმდინარეობს. ამიტომ ვცდილობ საინტერესო და მიმზიდველი გავხადო სწავლება აღსაზრდელებისათვის, შევავლო და დავაინტერესო მოსწავლეები შესასწავლი მასალით, ვამოგზაურო ცოდნის სამყაროში, აღვუძრა „უთვალავი“ სამყაროს წვდომის სურვილი.

პატარებთან მუშაობისას ვფიქრობ, აძლევს თუ არა ჩემი ახსნილი გაკვეთილი თავისი აზრის გამოვლენის საშუალებას. უჩნდებათ თუ არა გაკვეთილზე მათ მრწამსი, საკუთარი აზრის შესასწავლი საკითხების, ლიტერატურული გმირებისა და სინამდვილის მიმართ. ვცდილობ მოსწავლის ნიჭის და

შესაძლებლობის გამოვლენას, ინტელექტუალური ძალების ამოქმედებას და განვითარებას, რასაც სოკრატე მეორე დაბადებას უწოდებდა. ასეთი ამოცანების გადაჭრისათვის მუშაობას სასწავლო საქმიანობის მოსწავლეთა მოტივაციის ჩამოყალიბებით ვინყებ. სააზროვნო უნარების გამოყენებით ვგეგმავ სწავლების პროცესს. ტექსტის ანალიზის დროს ყურადღებას ვუთმობ დედააზრის გამოტანას, თუ როგორ შეადგინეს გეგმა, დასურათებას, ფაქტის გამოტანას, მოვლენებისა მოქმედ პირთა სწორად შეფასებას. ვზრუნავ იმისთვის, რომ პატარებმა გააცნობიერონ ავტორის მიერ წარმოსახული სახე, გავუღვივო სიყვარული ნაწარმოების გმირებისადმი. დავეხმარო ვინ არის ნაწარმოებში მოსაწონი, ვინ გასაკიცხი და დასაგმობი. ამას იმიტომ ვითვალისწინებ, რომ ნაწარმოების ემოციური აღქმა შევაძლებინო მოსწავლეებს, საამისოდ გაკვეთილის დასაწყისიდანვე ვუღვივებ ინტერესს შესწავლილი მასალისადმი. ამ ინტერესს გაკვეთილის მანძილზე ვინარჩუნებ, ამ გზით ვძლევ პრობლემას გავააქტიურო მოსწავლეები, მოვახდინო მათზე შთაბეჭდილება და განვუვითარო კრიტიკული აზროვნება, გამოვუმუშაო დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები. ამით ჩემი აღსაზრდელები ეუფლებიან ცოდნას, მათ შეუძლიათ გააზრება, გაგება, გამოყენე-

ბა, ანალიზი და შეფასება, რის შემდეგაც კავშირს ამყარებენ შესასწავლ და შესწავლილ მასალას შორის, შესწევთ უნარი მისი გააზრების, რომელი მოქმედი პირია მოსაწონი, რომელი – დასაგმობი.

რა გააკეთეს კარგი? რა ცუდი? რამ განაპირობა ცხრა ძმა ხერხეულიძის დაღუპვა სპარსელებთან ბრძოლაში, როგორ მოიქცეოდნენ ამ დროს თვითონაც, რომ იქ ყოფილიყვნენ. მათი მშობელიც თუ ასე მოიქცეოდა როგორც ცხრა ძმის დედა. თუნდაც იაკობ გოგებაშვილის სამასი თავდადებული გლეხი. ბრძოლა მოხდა კრწანისის ველზე თბილისის მახლობლად. ისინი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბძოდნენ. აქედან, რა არის ქართველების მოსაწონი რა – დასაგმობი. ქართველთა ჯარში ერია სამასი არაგველის რაზმი, მოსაწონია ის, რომ ბრძოლის დაწყების დროს მათ ერთმანეთს შეჭფიცეს: თუ ბედმა გვიღალატა და მტერი ვერ დავძლიეთ, შერცხვენილი იყოს, ვინც ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო; ან გამარჯვება მტერზე და ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო!... ეს ვაჟკაცური ფიცი რაზმმა ვაჟკაცურად შეასრულა. სპარსელებმა დაამარცხეს ქართველები, მაგრამ არცერთმა ქართველმა მტერს ზურგი არ უჩვენა. ისინი იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რა არის აქ მოსაწონი და რა არის დასაგმობი? არაგველების რა თვისებებია მომხიბლავი და ან მისაბაძი. რისი თქმა სურდა ამით მწერალს? - როგორ მოიქცეოდნენ ანალოგიურ სიტუაციაში თვითონ?

ამის შემდეგ ვაგალებ მოთხრობა „სიტყვის ძალა“ თხრობას, ვცდილობ, კლასი დავყო ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს ვაგალებ წარმოადგინოს თავისი აზრი.

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ კეთდება დასკვნა – სიტყვას უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე საქმეს.

1. ცხენის პატრონს უნდა გამოეველო;

2. დამიხსენ სიკვდილისაგან;

3. ცხენის პატრონმა დაუძახა მატყუარას;

4. რა სთხოვა ცხენის პატრონმა მატყუარას?

5. რატომ სთხოვდა ცხენის პატრონი მატყუარას, როგორ წაართვა ცხენი, არ ეთქვა?

– რაში შეიძლება ბრალი დავდოთ მგზავრს?

– რისთვის შევაქოთ ცხენის პატრონი?

– რის თქმა სურს ამ მოთხრობით ავტორს?

– თვითონ რომ ყოფილიყვნენ რას გააკეთებდნენ, როგორ მოიქცეოდნენ?

ასეთი მოქმედებები მიზეზშედეგობრივ დადგენას ემსახურება. ასეთი მოქმედებების დროს შინაგანი კავშირის დანახვა აზროვნების კარგი თვისებაა.

– რატომ მოიქცა მგზავრი ასე?

– რამ გამოიწვია ეს?

– როგორ შეიძლება ეს აეხსნათ?

– რატომ მოხდა ასე?

– რა მოხდა ამის შემდეგ?

– რა შეიცვლებოდა რომ არ მომხდარიყო ასე?

– თქვენ რომ ყოფილიყავით როგორ მოიქცეოდით?

– სწორი იყო თუ არა ცხენის პატრონი, რომ არ ეთქვა მას რო-

გორ წაართვა ცხენი? რა შეიცვლებოდა ამით, რომ...

აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას ხელს უწყობს ახალი აღმოჩენების გზით ანუ ვარაუდობის გამოყენებით სწავლება. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრული ნიმუშების სწავლების დროს ნაწარმოები თავიდან ბოლომდე კი არ ისწავლება, არამედ წაიკითხება ნაწილ-ნაწილ. ამის შემდეგ კითხვა-პასუხით ამოვწურავ გაკვეთილს. თქვენი აზრით რას ფიქრობთ, რა მოხდება ამის შემდეგ? რა მოვლენები განვითარდება? რა მინიშნება გაქვთ საამისოდ? რა მოხდა სინამდვილეში? ბავშვებისათვის ეს მეთოდი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველია. მათ უძლიერდებათ ინტერესი ნაწარმოების მიმართ, რითაც ისინი ურო ემოციურნი ხდებიან. გაკვირვება, აღტაცება, იმედგაცრუება, ფიქრი თან ახლავს ასეთ მუშაობას. ჯერ კიდევ უცნობის ამოუხსნელობის შეწუხებით, მოულოდნელის აღმოჩენის განცდით შეწუხებული ბავშვები ერჩევიან ფიქრს, მსჯელობას, კითხვა-პასუხს, შრომას, დისკუსიას. მათ ეძლევათ შემოქმედებითი მუშაობის ნიჭის აღმოჩენის მეტი შესაძლებლობა. სააზროვნო უნარების განვითარებაში დიდი როლი ეკისრება ისეთ სააზროვნო ოპერაციებს როგორცაა აღქმა, დამახსოვრება, ფანტაზია, ფიქრი, დაკავშირება, ანალიზი, შეფასება, განზოგადოება და დასკვნა, რის მეშვეობითაც კეთდება შესაბამისი დასკვნა.

სააზროვნო უნარების კლასიფიკაციებიდან განვიხილოთ,

ბლუმის ტაქსონომია, რომელსაც ვიყენებ მშობლიური ენისა და სხვა საგნების სწავლების პროცესში. ბლუმის მიხედვით აზროვნებისა და შემეცნების უნარი 6 დონედაა დაყოფილი. ესენია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აზროვნების ეს დონეები საფეხურებადაა განლაგებული, სადაც ეს დონეები რთულდება ერთ ან რამდენიმე წინა დონესთან შედარებით. მომაქვს მშობლიური ენიდან მაგალითი, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ შეიძლება ერთი მასალის ფარგლებში აზროვნების სხვადასხვა დონის აქტივაცია.

მაგალითად: „სიტყვის ძალა“ კითხვა დამუშავების პროცესში აქტიურად მოქმედებს ბავშვების აზროვნების ყველა დონე. ამ თემის გავლის შემდეგ მიჰყვება მხატვრული ნაწარმოების ფაქტებსა და მოვლენებს. შესწავლილი ნაწარმოების გახსენებისას ახალი მასალის ახსნას ვინყებ იმ ინფორმაციის გახსენებით, რაც „სიტყვის ძალის“ თემით აქვთ.

პირველი დონე არის კავშირი ძველსა და ახალ მასალას შორის, ნიადაგის მომზადება მეორე დონეზე გადასასვლელად.

მეორე დონე „გაგება“ მასალის არეში წვდომის უნარი. ვმსჯელობ ნაწარმოებში ასახულ ამბავსა და პერსონაჟზე მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი კუთხით ვაფასებ დავრდომილის საქციელს და განვმარტავ, ვუკავშირებ პერსონაჟის მოქმედებას პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ვიხსენებთ მსგავს სიტუა-

ციებს, ვმონანილეობ მხატრული ნაწარმოების გამართულ დისკუსიაში. „დავრომილი“, „ავადმყოფი“, „შეუძლო“, „მუხლმოკვეთილი“, „მატყუარა“.

მესამე დონე ათვისებული ცოდნის ახალ და კონკრეტულ სიტუაციებში გამოყენების უნარია. ამ დონეზე ხდება ცოდნის, სახელდობრ „სიტყვის ძალა“ მგზავრის უშიშარი, გაბედული, ეშმაკი, მატყუარა, მგზავრის გაცნობიერება. გათავისება, მსგავს სიტუაციაში ანალოგიური მოქმედება.

მეოთხე დონე – ანალიზი მთლიანი მასალის (ტექსტის) შემადგენელი ახსნილი მასალა ნაწილდება და ანალიზდება შემდეგი უმთავრესი საკითხების მიხედვით: შეხვედრა დავრომილსა და ცხენის პატრონის, „ცხენის პატრონის დახმარება“, „სიმართლის გამომჟღავნება“, „მატყუარას გამარჯვება“, „ცხენის პატრონის ხვეწნა-მუდარა“, „სიმართლის დასაფარად“.

მეხუთე დონე – სინთეზი ნაწილების დაკავშირების და ერთმთლიანად ჩამოყალიბების უნარი. შემაჯამებელი მუშაობა ცალკეული ნაწილების ერთიმეორესთან დაკავშირება და ტექსტის გამთლიანება.

მეექვსე დონე – შეფასება შესწავლილი ნაწარმოების დედააზრის გამოტანა. ბავშვები არგუმენტირებულად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, გამოსხატავენ თავიანთ აზრს, გამოსხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას. მოქმედი პერსონაჟების, ცხენის პატრონისა და დავრომილის მიმართ. აფასებენ მათ მოქმედებას და აკეთებენ დასკვნას.

ამრიგად, სააზროვნო უნარების განვითარებაზე მუშაობა, აქტიური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების მიზანმიმართულად, მიგნებულად, სწორად მიგნებულად და შემოქმედებითად გამოყენება, ყოველდღიური, რუდუნებითი შრომა და გულმოდგინედ მზადება ყოველი გაკვეთილისათვის, დიდად უწყობს ხელს პროგრამული მასალის შეგნებულად, საფუძვლიანად და მტკიცედ ათვისებას, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის განვითარებას, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის აღზრდას.

**ეთერ აბულაძე**

**ხულოს რაიონი, ტუნაძეების  
საჯარო სკოლის პედაგოგი**

**ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც  
სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან  
მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს,  
ვერცა ვინ წინ გადუდგება.**

**ილია ჭავჭავაძე**

# „დედა ენის“ გზა

**„გიყვარდეს ერი შენი,**

**უმეტეს თავისა შენისა** – ეს ისეთი მაღალი სწავლაა, რომელსაც ყველას გონება ვერ შესწვდება! მამულიშვილობა საღვთო საქმეა!..“ ღვთის მცნებების სადარია ბრძენი იაკობის შეგონებები. მადლცხებული სიტყვა სულში აღწევს და ერის საკეთილდღეოდ გვამოძრავენს. ეროვნული მადლის შთამაგონებელია კურთხეული მოძღვრის მონოდეები:

**„ვინც რომ სამშობლო ენას  
ივინყებს და არ ეძებს,  
ძლიერ კარგიც რომ იყოს,  
ნაყოფს ვერ გამოიღებს!“**

**„დედა ენა“ გ ა დ ა გ ვ ა რ ჩ ე ნ ს!“**

დედა ენა ქართველების ღვთაებრივი საუნჯეა, მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად. დედა ენაა სული და გული ერისა. უფლის სიტყვაა ქართული ენა. დედა ენაშია მთელი საქართველო. გვიყვარდეს და მოვუაროთ!

„დედა ენა“ სიყმაწვილიდან სიბერემდე საკითხავი წიგნია. ის სავსეა ეროვნული სიბრძნით. ამიტომ, მისი დავინყება არ შეიძლება. პირიქით დღეს არის დრო „დედა ენის“ ზრდა-განვითარებისა. იასავით გულლიაა ეს დალოცვილი წიგნი ყველასთვის, ვინც იზრუნებს მის სრულყოფაზე. „დედა ენის“ განახლებული გამოცემები არ უნდა შევაჩეროთ. კარგი-ძველიც შევინარჩუნოთ და კარგი-ახალიც მივიღოთ. ზოგჯერ უკან მიხედვაც წინ წადგმული ნაბიჯია. წარსულის გახსენებით წინ წავიყვანთ ბავშვებს.

„დედა ენის“ საიუბილეოდ მაინც გავიხსენოთ იაკობის მივინყებულის ლექსები, საბავშვო ლიტერატურის პირველი ნიმუშები. ნავიკითხოთ ეს ლექსები და დავრწმუნდებით, რომ დავინყება არ შეიძლება. საპატრიარქოს „დედა ენაში“ იაკობის ათი ლექსია დაბეჭდილი. აი, მადლიანი სიახლის ნიმუში. ყოველივე ღირებული ძველიც დაცულია და სიახლაც ზომიერად აქვს ჩამატებული. საპატრიარქოს „დედა ენის“ საზოგადოებას საჯარო სკოლების სახელმძღვანელოებიც აქვს დაბეჭდილი და მოელიან ბავშვებამდე მისვლას. ამ საქმის შეფერხება აღარ შეიძლება. ამ დიდი ეროვნული საქმისთვის - იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ განახლებული გამოცემისთვის, სრულიად საქართველოს გულითადი მადლობა ეკუთვნის ჩვენს კურთხეულ მოძღვარს კონსტანტინე გიორგაძეს, წიგნის რედაქტორს. ეს მადლიანი „დედა ენა“ რომ არა, თანამედროვე დედაენების კორიანტელში თითქმის ვკარგავდით იაკობ გოგებაშვილის პოეზიას. 12-ივე სახელმძღვანელოში სანთლით საძებარია იაკობის ლექსები. დიდი პედაგოგის პოეტური ნაწარმოებები მხოლოდ პირველბეჭდური „დედა ენაში“ შე-

მოგვრჩა. წაიკითხეთ ეს ლექსები და დარწმუნდებით, რომ იაკობი კარგი საბავშვო პოეტია საუკეთესო პროზაიკოსთან ერთად. იაკობის პროზაც კი გართმულია.

მორცხვი იებივით იმალებიან „დედა ენაში“ იაკობის ლექსები. 50-ვე ამოვკრიფე და იების თაიგულივით ერთ ხელნაკეთ წიგნად შევეკონე. კრძალვით მივეახლე „დედა ენას“, ვითარცა ნოეს კიდობანს. სათუთად ამოვკრიფე იაკობის ლექსები. ეს წმინდა საქმე ჩემი უმნიშვნელო სიცოცხლის დიდ მადლად მიმაჩნია. „კაცი ცოდვილის ხელით დედა ენას არ უნდა შეეხო-ო! – შემაგონებს ილია მართალი. თვით ბრძენი იაკობის უკვდავი სულის შეწევნას ვგრძნობდი, მისი მადლიანი სიტყვა მაკვალიანებდა. ქედს ვიხრი „დედა ენის“ წინაშე და კრძალვით ვამბობ: მადლობა, დედა ენავ!

დღესაც სულს ესათუთება დედა ენა და აი ია.

საუკუნენახევარია „დედა ენა“ არსებობს და იარსებებს მარადის. „დედა ენას“ ყოველთვის ეყოლება ერთგული დამცველი, მკითხველი, მომფერებელი, გამომცემელი, მადიდებელი, გამგრძელებელი, გამფრთხილებელი... „დედა ენა“ სახალხო წიგნია და ამ საერთო ეროვნულ სიხარულს ბევრი შემოუერთდება... სწორედ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირმა მომცა დიდი მოტივაცია და მხარდაჭერა შემექმნა ხელნაკეთი წიგნები: 1. იაკობის და აკაკის საზიარო ლექსები; 2. იაკობის პოეზია; 3. „დედა ენის“ მხატვრები... იმედია ამ ლექსებს და ინფორმაციას მოსწავლეებამდე მივიტანთ. მართლაც-და გასაკეთებელი კიდევ ბევრია... ყოველწლიურად „დედა ენის“ დღისთვის ვამზადებ იაკობ გოგებაშვილის ლექსებს და ბავშვების ხელით შექმნილ პროტოტიპებს. პატარები თავს გრძნობენ პოეტებად და მხატვრებად. თვითონვე აფორმებენ ილუსტრაციებით. ძველ ლექსებსაც იხსენებენ და ახალ ვარიანტებსაც ქმნიან. ბავშვებში დიდი შემოქმედებითი პოტენციალია და ეს უნდა განვავითაროთ. ყველაზე მეტს ამ მეთოდით სწავლობენ. თავისუფლებას და შემოქმედებით ტკბობას განიცდიან. ეს პროექტი გვინდა დავაგვირგვინოთ ჩვენი ხელნაკეთი წიგნით და ვარიანის სახლ-მუზეუმის მონახულებით. სულითა და გულით მინდა, არსებობდეს კინო-ფილმი დიდ იაკობზე. საბავშვო თეატრები იაკობის ლექსებზე და მოთხრობებზე ეს ყველაფერი განსაკუთრებულია. „დედა ენის“ მოფერების გვირგვინი იქნება...

ნუკრიანელი პედაგოგები და მოსწავლეები ყოველწლიურად მივიღებთ მონაწილეობას „დედა ენის“ კვირეულში. ჩვენ გვიყვარს იაკობის „დედა ენა“. ვსწავლობთ მის შემოქმედებას. „ბუნების კარსაც“ ვკითხულობთ, გვინდა სკოლის ბიბლიოთეკაში დავაარსოთ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა და მოსწავლეთა მკითხველთა საზოგადოება. გვქონდეს საკითხავად საპატრიარქოს „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. „იავნანამ რა ჰქმნა“ იაკობის ბიოგრაფიული წიგნები. ნელა-ნელა ყველაფერს მივალწევთ... ბრძენი იაკობის ნათელი სული შეენიოს

სრულიად საქართველოს! დიდი მადლობა ნუკრიანელი პედაგოგების და მოსწავლეების სახელით, ჩვენ რომ გადმოგვეცით ბრძენი იაკობის ხატება – მედალი. ეს დიდი ეროვნული მადლია! სინმინდია! რომელსაც დაცვა და გაფრთხილება უნდა. მონინებით ჩავიბარეთ ეროვნული სინმინდე და ვნატრობთ ღირსეული მედალოსნები ვიყოთ.

იაკობი - ხატება ღვთისა  
„ხმა ღვთისა და ხმა ერისა!“  
შემქმნელი „დედა ენისა“  
გადამრჩენელი ერისა!

გულში ჩავიხუტებთ ნუკრიანელები ბრძენი იაკობის ხატებას და ვივლით „დედა ენის“ გზით, ბრძენი იაკობის ნათელი სული შეენიოს სრულიად საქართველოს!

ერის აღორძინება  
„დედა ენით იწყება!  
ასე თუ მოვიქცევით,  
„ყველაფერი კარგად იქნება!“

**ლია ნადირაშვილი,**  
სიღნაღი, ნუკრიანის საჯარო სკოლის პედაგოგი

მასწავლებლებს და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ სამშობლო ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება არ აქვს მიზნად. დიდი ხანია ნათქვამია, რომ ისტორია მოძღვარია ერისაო. ხოლო მოძღვრობას ისტორიული მოთხრობანი მაშინ გაუნევენ მოსწავლეთა, როცა იგინი გარკვევით და ნათლად დაუხატავენ მათ თვალწინ, თუ რა უშლიდა და რა უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, მაღლდებოდა და ძალღონით ივსებოდა... რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფვოდეს, რათა აწმდგომი თავისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალიც სანატრელი მოამზადოს.

**იაკოვ გობეჯაშვილი**

# სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული მხარეები, მიზნები და ძირითადი მიმართულებები

სხვადასხვა ქვეყნებში, ან ერთი ქვეყნის სხვადასხვა სკოლაში, ფსიქოლოგიური სამსახური, შეიძლება განსხვავებულ პრობლემებზე მუშაობდეს, მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური მუშაობდა ნიჭიერების დამდგენი ტესტების შექმნასა და პრაქტიკაში შემონემაზე იმ მიზნით, რომ სკოლაში სწორი პროფორიენტაციული მუშაობა განეხორციელებინათ, რითიც უზრუნველყოფდნენ ახალგაზრდების დასაქმებისა და შრომისნაყოფიერების ზრდას. გერმანიაში სურდათ ნიჭიერების მიხედვით დიფერენცირებული სწავლების ორგანიზება, რათა მაქსიმალურად შეეწყობოთ ხელი თითოელი მოსწავლის გონებრივ-პიროვნული განვითარებისთვის, ხოლო საფრანგეთში გონებრივი დონის დამდგენ ტესტებზე მუშაობის მიზანი იყო მისი გამოყენება კრიმინალური მიდრეკილების ბავშვების და მოზარდების რეაბილიტაციის სწორად წარმართვისათვის. საბოლოო ძირითადი მიზანი მაინც ერთია: დაეხმაროს მოზარდს შინაგანი შესაძლებლობების სრულ რეალიზებაში და დაეხმაროს სკოლას, მშობელს, მასწავლებელს იმის განსაზღვრაში, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი თითოეულ ბავშვს პოტენციალის გაშლა-განვითარებაში.

სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურს 4 ფუნქცია აქვს:

1. სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სიძნელეთა მიზეზების გამოვლენა-მოწესრიგება.
2. მოსწავლეთა ინტელექტუალური და პიროვნულ განვითარებაში არსებული გადახრების პროფილაქტიკა-კორექცია.
3. კონფლიქტური, რთული სიტუაციების განმუხტვა-განეიტრალება.
4. ზრდასრული მოქალაქის ცხოვრებისთვის მოსწავლეთა პიროვნული და ინტელექტუალური მზაობის შესაქმნელად საჭირო დახმარების განწევა.

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საქმიანობა მიმდინარეობს სამი მიმართულებით: 1. სკოლის აქტუალური პრობლემები, რომლებიც გადაუდებელ რეაგირებას მოითხოვენ (მაგ: ურთიერთობათა პრობლემები, აგრესიული დაპირისპირებები, ანტისოციალური გამოვლინებები) 2. ფსიქოლოგიური პირველი კლასიდანვე ერთვება სწავლა-აღზრდის პროცესში 3. სკოლის ფსიქოლოგის მიზანია მასწავლებლებისა და მშობლების აქტიურად ჩართვა I და II მიმართულებაში არსებული პრობლემების მოგვარებაში. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლეთა ფსიქიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის საკითხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქცენტუაცია. აქცენტუაცია არის პიროვნების დისჰარმონიული, ზეჭარბი, ჰიპერტროფული განვითარება, რომლის შესაბამისი სფეროების მიმართ მოზარდი ხდება მტკივნეულად მგრძობიარე და რეაგირებადი. ეს აძნელებს სხვადასხვა სიტუაციაში მის ადეკვატურ ქცევას, მაშინ, როცა სხვა უფრო რთულ სიტუაციებშიც კი იგივე მო-

ზარდი შეიძლება სრულიად შეგუებადი იყოს.

განსხვავებული შეხედულებებია იმაზე, აქცენტუაცია ნორმალური პათოლოგია თუ პათოლოგიის წინა მდგომარეობა, აქცენტუაცია უძნელდება ენერგიის შეკავება, სიტუაციას ვერ ერგება და მისი ქცევა ემსგავსება ფსიქოპათის ქცევას.

აქცენტუაციის პირველი მკვლევარი და სახელმძღვანელო ლეონგარდტი განასხვავებს ამ მოვლენის ათ ტიპს, რომლის პირველი ხუთეული ფსიქოლოგიურ დახმარებას საჭიროებს.

1. ჰიპერტიმი – მუდმივად აქვს უმიზეზოდ ანეული, ეიფორული გუნება-განწყობა. არის აქტიური, კონტაქტური, მოლაპარაკე, ოპტიმისტი. გაკვეთილზე მოუსვენარი და უდისციპლინო, ხელს უშლის პედაგოგს, უძნელდებათ კონტროლის პირობებში ცხოვრება, რის გამოც ხშირად აქვთ კონფლიქტი ოჯახსა და სკოლაში

2. ადვილად აღზნებადი-მათთვის დამახასიათებელი მკაფიოდ გამოხატული იმპულსურობა, რაციონალურად არ იაზრებენ არაფერს, არამედ ეყრდნობიან არაკონტროლირებად მისწრაფებებს, ინსტიქტებს, ლტოლვებს, არ ახასიათებთ შემწყნარებლობა-მიმტევებლობა. უნდა გვახსოვდეს, რომ მათი ქცევა არაა წინასწარ განზრახული.

3. ემოციური პიროვნება (ტიპი) – ხასიათდება ფაქიზი მგრძობელობით, ღრმა ემოციურობით, გულწრფელობით, სიკეთით, ემპათიურობით, თუ მათ ემოციებს არ ითვალისწინებენ, ხშირია ცრემლები და გულისტკენა.

4. მშფოთვარე ტიპი-ხასიათდება აფექტზე დიდხანს შეჩერებით, არ ივინწყებს წყენას, ფანტაზიორობს შურისძიების გეგმებზე.

5. დემონსტრაციული ტიპი – აქვთ მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნის, ცენტრალურ პერსონად თავის წარმოჩენის მისწრაფება. პატივმოყვარეა, უყვარს თავის ქება, ყველაფერზე წამსვლელია, რათა სხვამაც აღიაროს მისი „განსაკუთრებულობა“

შედარებით ადვილად მოვლადი ტიპებია:

1. დისტიმური – ჰიპერტიმის ანტიპოდი.

2. ციკლთიმი – ჰიპერტიმიურ და დისტიმური მდგომარეობათა მონაცვლეობა

3. პედანტური – აკურატული, წესრიგის მოყვარული, ფრთხილი, კეთილსინდისიერი პიროვნება, რომელსაც უძნელდება გადაწყვეტილების მიღება, არ უყვარს ცვლილებები.

4. ნაკლებად მშფოთვარე – ნერვიულობენ უმიზეზოდ, არიან მორცხვები, თავის ძალებში დაურწმუნებლები და აქვთ დაბალი თვითშეფასება.

5. ეგზალტირებული – ახასიათებს მძაფრი უკიდურესი პოლარული განცდების მონაცვლეობა (აღფრთოვანება – სასონარკვეთა)

**ქრისტინა გეზალიშვილი.**

**საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის პედაგოგი, ფსიქოლოგიის მაგისტრი.**

# როგორ ვეუბნო აზერბაიჯანულენოვანი სკოლის ქართულ ჯგუფში, როგორც კლასის ხელმძღვანელი და როგორც საგნის მასწავლებელი

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ, პედაგოგებს საინტერესო დროს გვინევს ცხოვრება. რატომ? იმიტომ, რომ თანამედროვე სწავლებას თან ახლავს ბევრი სიახლე. მოსწავლის აკადემიური მოსწრებაზე დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის ინდივიდი, მისი აღმოჩენები და ამის საფუძველზე ხარისხიანი სწავლება. ჩემი, როგორც დამრიგებლისა და მასწავლებლის მოვალეობა და მიზანია, აღვზარდო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე პიროვნებები. სასწავლო პროცესის მართვისას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და მშობელთათვის მათი შვილების აკადემიური შედეგების გაცნობა, მიმაჩნია, რომ მთავარზე მთავარია. ჩემი კლასის უპირველეს წარმატებად მიმაჩნია, ის მეგობრული გარემო, ურთიერთსიყვარულია და ურთიერთპატივისცემისა, რომელიც ჩამოყალიბდა პირველი კლასის განმავლობაში როგორც მოსწავლეებს შორის, ისე მშობლებსა და მასწავლებლებს შორის. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდეგი წარმატებისა, რადგან ეფექტური სასწავლო გარემო მოსწავლეთათვის წარმატების საწინდარია. ჩემი და ჩემი მოსწავლეების ურთიერთობა დამყარებულია

თანამშრომლობით ურთიერთობაზე. ჩვენ ერთად ვფიქრობთ, რა გვიშლის ხელს მიზნისკენ სწრაფვაში და ვეხმარებით ერთმანეთს ბევრი საინტერესო ღონისძიების ჩატარებით. ჩემს პატარებს ვეხმარები საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებაში, რისთვისაც შევიმუშავეთ „ოქროს წესები“, გავაფორმეთ და გავაკარიტდაფასთან. ესენია: არდავცინოთ ერთმანეთს, დავიცვათ კამათის წესები, მოვუსმინოთ სხვის აზრს, გავუფრთხილდეთ დროს, დრო ყველაზე ძვირფასია გაკვეთილზე... კლასის, მშობლებისა და ჩემი ერთობლივი მუშაობით ვსახავთ ღონისძიებებს კლასის წარმატებებისათვის. სისტემატური კავშირი მაქვს მშობლებთან, როგორც შეხვედრებით, ისე სატელეფონო საუბრით. მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი კლასის საქმიანობაში. საჭიროებისამებრ ვიყენებ ჩემს მიერ შედგენილ თვალსაჩინო თუ დიდაქტიკურ მასალებს, რომლებსაც დიდი სასწავლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და რომელიც ავითარებს აზროვნებასა და შემოქმედებითი მუშაობის უნარებს, ხელს უწყობს შეგნებულ სწავლას, გავლენას ახდენს ესთეტიკურ აღზრდაზე. დადებითი ემოციებით ბევრი მორცხვი და

გაუბედავი ბავშვი ავალაპარაკეთ. მე ვასწავლი ერთ-ერთ არაქართულენოვან სკოლაში ქართულ სექტორზე. კლასი მთლიანად დაკომპლექტებულია აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებით, რომლებიც სრულყოფილად არ ფლობენ ქართულ ენას. თავის მხრივ, საინტერესო და ბევრის მომცემია ის, რომ ისინი მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, მეტ-ნაკლებად ითვისებენ ქართულ ენას, ქართულ ანბანსა და რაც მთავარია, ქართულად მეტყველებენ, ივსებენ ლექსიკურ მარაგს. ამისთვის მივმართავ არაერთ ეფექტურ საშუალებას და მეთოდს, რათა მათ გავუადვილოთ ქართული ენის სწავლება. ამ საქმეში ყველაზე ეფექტიან საშუალებად მიმაჩნია საჩვენებელი სამოდელი კითხვის აქტივობა. პირველად ვკითხულობ მე განაფული კითხვის მეთოდის სრულად დაცვით – ხმამაღლა, პაუზებითა და გასაგები ინტონაციით. ვაანალიზებთ ნაკითხულს და შემდგომ ვკითხულობთ ერთობლივი კითხვის სხვადასხვა ვარიაციით. შემდეგ კი ვაკითხებ წყვილებში და ბოლოს ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად. ამის შემდეგ ვაჩვენებ გასაცნობ ასო-ბგერას, ვაჩვენებ წერის სწორ მიმართულებას, რასაც მოსწავლეები იქვე კლასში ასრულებენ. შემდეგ გაკვეთილებზე ვაგრძელებთ კითხვის აქტივობებს და სიტყვებისა და წინადადებების აგებასა და წერას.

განაფული კითხვა არის კითხვა უშეცდომოდ, გამომეტყველებით და ადეკვატური

სიჩქარით. აქ უნდა დავიცვათ სამი ძირითადი კომპონენტი: სიზუსტე, სიჩქარე და გამოთქმის კითხვა. განაფული კითხვა არის ხიდი სიტყვების ცნობასა და გაგება-გააზრებას შორის. მოსწავლეებთან კითხვის დროს ვცდილობ, გავაგებინო თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, დავეხმარო სიტყვებისგან ფრაზებისა და წინადადებების შედგენაში. ეს მათ ეხმარება ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში, ეს კი, თავის მხრივ, განაფულ კითხვას უწყობს ხელს, რადგან ცნობილია, რომ მოსწავლეებს განსაკუთრებით ნაცნობი სიტყვების ამოკითხვა უადვილდებათ. განაფული კითხვის წინაპირობა კი ანბანის ცოდნაა. რაზეც ინტენსიურად ვმუშაობ პირველ კლასში. ასო-ბგერებს ვითვისებთ ანბანური პრინციპის გამოყენებით, ასოებითა და მარცვლების ოპერირებით, მარტივი ფრაზებისა და წინადადებების კითხვით. მე-2 კლასში ძირითადად ვმუშაობ ტექსტების ადაპტირებასა და ავთენტური ტექსტების შედგენაზე. ამისთვის ვიყენებ ხშირად ხმარებულ, ცნობად სიტყვებს, ნაცნობ ლექსიკას, რაც ჩემს მოსწავლეებს უადვილებს ტექსტის შინაარსის აღქმასა და ეხმარება კითხვის ტექნიკის დახვეწაში. სიტყვების ნაკითხვაში განაფვას უდიდესი როლი აქვს კითხვის ტექნიკის განვითარებაში. ამიტომ სათანადო ყურადღებას ვუთმობ სიტყვების ნაკითხვაზე ვარჯიშს მრავალფეროვანი მეთოდებისა და რესურსების გამოყენებით.

როგორებიცაა: სიტყვების ბართებით ვარჯიში, ტექნიკური სავარჯიშოები და სხვ. განაფული კითხვის დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ შეძლოს ცალკეული სიტყვების დაჯგუფება და მთლიან ფრაზებად წაკითხვა. აქ ყურადღებას ვამახვილებ სასვენი ნიშნების გამოყენებაზე. საუკეთესო მეთოდებია: როლური კითხვა და გამეორებითი კითხვა ანუ ერთი და იმავე ტექსტის დროს გარკვეულ მონაკვეთში რამდენჯერმე წაკითხვა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში კითხვის ტემპის თანდათანობით ზრდას და აუმჯობესებს სიტყვებისა და ფრაზების უშეცდომოდ კითხვას და გაგება გააზრებას. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ვუჩვენოთ, თუ როგორია განაფული კითხვა. განაფული კითხვის მოდელი უნდა იყოს მასწავლებელი ან უფროსკლასელი, რომელიც ფლობს კითხვის ტექნიკას. აქ ძირითადი ფიგურა ვარ მე. ზოგჯერ ვიყენებ უფროსკლასელსაც. ის ხმამაღლა და გასაგები ინტონაციით უკითხავს კლასს საგანგებოდ შერჩეულ ტექსტს. შედეგიანი და ეფექტიანია წყვილებში კითხვა. კითხვის დროს ვაწყვილებ მოსწავლეებს. თითოეული დამოუკიდებულად ჩუმიად კითხულობს ტექსტს. შემდეგ ვუნანილებ მონაკვეთებს. (მაგ. პირველები წაკითხავენ პირველ აბზაცს, მეორეები მეორეს, შემდეგ პირველები მესამეს და ა.შ) მოსწავლეები დამოუკიდებლად ჩუმიად კითხულობენ მონიშნულ მონაკვეთებს. შემდეგ მობრუნ-

დებიან ერთმანეთისკენ და იწყებენ ხმამაღლა მენწყილესთვის წაკითხვას-ერთხელ, ორჯერ, შეიძლება სამჯერაც.

კარგია მეგობრული კითხვის გამოყენებაც – უფროსკლასელი მოსწავლე უსმენს უმცროსკლასელს და შემდეგ აკეთებს უკუკავშირს.

ეს ყველაფერი მეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მთავარ შედეგზე გასვლაში – მეოთხე კლასის ბოლოს მოსწავლეებმა დაასრულონ კითხვის შესწავლა და დაიწყონ კითხვით სწავლა.

ამ ყველაფრის იოლად აღსაქმელად მივმართავ სხვადასხვა თვალსაჩინოების დემონსტრირებას, როგორებიცაა, სურათები, ილუსტრაციები, ვიდეორგოლები და სხვ.

განსაკუთრებით ვმუშაობ ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი აუცილებელი უნარია, მით უფრო, არაქართულენოვან შემსწავლელებთან. ყოველ გაკვეთილზე ვმარცვლავთ, ვშლით ბგერებად და ვამთლიანებთ სიტყვებს. აქვე ვამატებთ, ამოვადებთ, ჩავანაცვლებთ ბგერებს, ვასახელებთ პირველ და ბოლო ასო-ბგერებს, ვასახელებთ სხვა სიტყვებს, რომლებითაც იწყება ესა თუ ის სიტყვა. აქვე ვიყენებ წამღერების მეთოდს: „მე ჩავიფიქრე სიტყვა, აბა დამიგდე ყური, სულ არის ხუთი ბგერა, სულაც არ არის რთული“ - სახლი. ეს აქტივობა ხორციელდება მარტივი სიტყვიდან რთული სიტყვისაკენ. ყველა ეს აქტივობა სრულ-

დება თამაშ-თამაშით, რათა ეს მოსწავლეებისათვის არ იქცეს მომაბეზრებელ რუტინად.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის მუდმივად გამდიდრებაში, ამისთვის მხოლოდ ორი ზოგადი მიდგომა არსებობს: 1. შევასწავლოთ მათ ის სიტყვები, რომლებიც დასჭირდებათ ტექსტის გააზრებისთვის; 2. მივცეთ საშუალება, უშუალოდ კითხვის პროცესში აითვისონ ახალი სიტყვები. ამის საუკეთესო საშუალებაა სიტყვების ბარათების გამოყენება. (სურათიანი, სურათიანი და წარწერიანი ან მხოლოდ წარწერიანი).

ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით, ვიყენებ სიტყვებით თამაშს, რომელიც მთლიანად ბავშვების ფანტაზიაზეა დაფუძნებული. ბავშვმა თვითონ უნდა მოიფიქროს სხვადასხვა სიტყვა და ამ სიტყვების შეერთებით მიიღოს მარტივი წინადადება. სიტყვების დამახსოვრების საუკეთესო საშუალებაა გამოცანების გამოყენება. მაგ: ვასახელებ ამა თუ იმ ფრინველისა თუ ცხოველის დამახასიათებელ ნიშნებს, ხოლო მოსწავლეები გამოიცნობენ და ასახელებენ.

მოსწავლეთა ორიენტაციის, კონცენტრაციისა და ყურადღების უნარის გასაავითარებლად ხშირად ვიყენებ ხმების დემონსტრირების მეთოდს (კაკუნი, ტაში, ჩახველება, ხტუნვა, სიარული, ცხოველებისა და ფრინველების ხმიანობის იმიტაცია).

სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ უწყვეტი უკუკავშირი, რაც ეხმარება მათ მასწავლებლის მიერ შესრულებული დავალების გააზრებაში, რათა გააცნობიერონ, რა გამოუვიდათ კარგად და რატომ, ასევე სად ჰქონდათ შეფერხება, რატომ და როგორ შეიძლება ხარვეზის აღმოფხვრა.

ასე რომ, ჩემო კოლეგებო, თქვენთან ერთად ძალიან დიდი იმედი მაქვს და მიმაჩნია, რომ სწავლების ეფექტური მეთოდების დანერგვისაკენ ჩვენი სწრაფვა ყველაზე ძლიერი რესურსია არსებულ რესურსებს შორის.

**მანანა კაკალაშვილი**  
გარდაბანი, ქესალოს საჯარო  
სკოლის დანწყებითი  
კლასების მასწავლებელი

კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს,  
როცა ჭკუა ცოდნით გაუღესია.

ილია ჭავჭავაძე

# ილია ჭავჭავაძე სოღნისა და სნავლა-განათლები გნიჟნელოგის უესახე

ჩვენს სამშობლოს, ჩვენს სა-  
თაყვანებელ საქართველოს თა-  
ვისი არსებობის მანძილზე არ-  
აერთი გასაჭირი ჰქონია და  
თავი დაუღწევია. ასე იქნება  
ალბათ დღესაც. დღეს კი საქა-  
რთველოს უჭირს როგორც  
პოლიტიკურ-ეკონომიკური და  
სოციალური თვალსაზრისით,  
ისე ეთიკის, ზნეობის სფეროშიც,  
რომლის დამანგრეველი, გამა-  
ნადგურებელი ძალა უკვე  
აშკარად იგრძნობა. ახლა, ისე  
როგორც არასოდეს, გვჭირდე-  
ბა დიდი დაფიქრება და განსჯა  
ერის ზნეობრივი ეროზიისაგან  
თავის დასაღწევად, რათა მო-  
მავალ თაობას “სიძნელე გზისა  
გაუადვილოთ“ და ჩვენი-მამების  
შეცდომებისაგან დამძიმებული  
სული შევუმსუბუქოთ. ამ საქმე-  
ში ზნეობრივი თვითგანმენდა  
უპირველეს ამოცანად გვესახე-  
ბა. მთელი ჩვენი საზოგადოების,  
მთელი ერის ღვიძლი საქმეა,  
ესაა საიმედო მერმისზე ზრუნვა.  
დღევანდელმა ყმანვილმა ხვალ  
უნდა ზიდოს ის მძიმე ტვირთი,  
რომელიც დღეს უფროს თაო-  
ბას აწევს მხრებზე, ხვალ უნდა  
გასწიოს ღონივრად მამულიშ-  
ვილობის უღელი, რომელშიც  
დღეს მისი მშობლები არიან შებ-  
მულნი. ყოველივე ეს მან უნდა  
აკეთოს ჩვენზე უკეთ, უფრო  
მეტი ცოდნითა და შემართებით.  
წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყ-  
ნის წინსვლა – განვითარება-  
ზე ფიქრი ზედმეტი იქნება. მა-  
გრამ იბადება კითხვა: რა არის

საამისოდ საჭირო? როგორ  
აღვზარდოთ ჩვენი შვილები  
ჭეშმარიტ მამულიშვილებად?  
ისეთებად, რომ გამოადგნენ სა-  
კუთარ თავსაც და ქვეყანასაც?  
ჩვენი აზრით, ამ კრიზისულ  
ვითარებაში ერთ-ერთი საიმე-  
დო დასაყრდენია კლასიკოსი  
პედაგოგებისა და მწერლების  
პედაგოგიკური მემკვიდრეო-  
ბა. მისი კრიტიკული და შემო-  
ქმედებითად შესწავლა ხელს  
შეუწყობს ჩვენი ცხოვრების  
მანკიერი მხარეების აღმოფხ-  
ვრასა და არსებული მდგო-  
მარეობიდან თავის დაღწევას.  
ასეთ კლასიკოს მწერალთა შო-  
რის ჩვენს ქვეყანაში უპირვე-  
ლესი ადგილი ილია ჭავჭავაძეს  
უჭირავს. მისი შემოქმედებისად-  
მი ინტერესი დიდი იყო ყოვე-  
ლთვის, მაგრამ იგი კიდევ  
უფრო გაიზარდა უკანასკნელ  
წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა  
დაადგა დამოუკიდებელი გან-  
ვითარების ნარ-ეკლიან გზას.  
წინანდობლივია ისიც, რომ  
სულ ახლახან შესრულდა დიდი  
ილიას დაბადებიდან 180, გარ-  
დაცვალებიდან 110 და წმინ-  
დანად შერაცხვიდან 30 წელი.

ილია ჭავჭავაძე თავისი  
მოღვაწეობის დასაწყისიდანვე  
დაინტერესდა ახალგაზრდობის  
სწავლა-განათლებისა და აღზ-  
რდის პრობლემებით. მას, რო-  
გორც ტიპურ განმანათლებელს,  
საზოგადოებრივი ცხოვრების  
გარდაქმნის, „ჩვენი დაცემუ-  
ლი ვინაობის აღდგენის“, ჩვენი

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ საშუალებად მიაჩნდა ახალი თაობის მომზადება ცხოვრებისათვის. ჯერ კიდევ 1863 წელს იგი წერდა: „ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“. უფრო მოგვიანებით კი აღნიშნავდა, რომ მომავალ საზოგადოებას შექმნის ახალი თაობა, „რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი“ (1, 137).

იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ წარმატებით გაართვას თავი მასზე დაკისრებულ მომავლის რთულ ამოცანებს, საჭიროა იგი კარგად გაინვრთნას როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად, რამეთუ დიდ ილიას ყველა ჩვენი ჩამორჩენის, უღონობისა და უბედურების მიზეზად უმეცრება და უცოდინარობა მიაჩნდა. „ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენი უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენი უბედურებისა, – უმეცრება და უსწავლევლობაა“ (3, 244), – წერს იგი. აქვე ილია აღნიშნავს: „უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი, ის ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“ (2, 249)

განათლება დიდ ილიას მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამქმნელ, რევოლუციურ ძალად, რომელიც ბორკილებიდან თავის დაღწევის ერთადერთი გზაა. სხვა „არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ

კაცს თავისი ჯაჭვის დასამტკიცებად“, – ამბობს იგი.

ილიას სამართლიანი მტკიცებით, საქართველო, ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, მაგრამ მაინც ღარიბები ვართ, იმიტომ, რომ „არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია.. საიდან რა ამოვიღოთ“, ერთი სიტყვით, გვაკლია ის, რაც ხერხსაც სჯობია და ღონესაც.

დიდი მწერლის აზრით, ესაა ცოდნა, განათლება. „ეხლანდელს დროში, – წერს იგი, – ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია“ (3, 399). იგი „დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადელსაც, ღონესაც და შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოთ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის ცოდნაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რაიმე ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბლერტია“ (2, 268). მისი აზრით, „მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება“ (2, 269).

აი, ამიტომაც იყო, რომ დიდმა ილიამ ცოდნის მნიშვნელო-

ბის დასაბუთებას და ამ აზრის ხალხში გავრცელებას მთელი სიცოცხლე შეაღია. თავის მრავალრიცხოვან სტატიებში იგი თავგამოდებით მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას ცოდნის, სწავლა-განათლების დაუფლებისა და ამ ცოდნის ერისა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენებისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლებლად მიაჩნდა „ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა“. ილია ცდილობდა ერი დაერწმუნებინა რომ მცოდნე და განათლებული კაცი ყველა სიძნელეს ადვილად დაძლევეს. „პატარა ბავშვიც კი, რომელსაც თავისის ასაკის შესაფერისი ცოდნა აქვს, ძლიერია უცოდინარს გოლიათზე და უფრო შემძლებელი ამ წუთისოფლის მოედანზე“ (2, 245). მისი აზრით, უცოდინარობა თავს იჩენს ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ამასთან, ადამიანის საქმიანობას ხდის უნაყოფოსა და უშედეგოს, რის გამოც თვით ჯან-ლონით სავსე კაციც კი გულს იცრუებს შრომაზე და მცონარობას იწყებს.

განათლებას დიდი ძალა აქვს და ქვეყნის შეგნებული ნაწილი კარგადაც გრძნობს მის მნიშვნელობას, მაგრამ არიან ისეთი გადაგვარებული ადამიანები, აღნიშნავს ილია, რომლებიც სრულებითაც არ გრძნობენ განათლების საჭიროებას. ისინი „ბევრს არ იცემენ თავში, - რატომ სწავლა არა მაქვსო“. სწორედ ასეთი იყო ლუარსაბი, ვისი აზრითაც ადამიანი ძირგავარდნილი ქვევრია, რომელშიც ყოველდღე უნდა ყარო ხორაგი

და ჩაასხა სასმელი, მაგრამ ვერ უნდა აავსო. აი, როგორ მსჯელობს იგი: „დრო გამოიცვალა, რაც ეს რალაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა, ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და ...ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან? წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა, ვაჟკაცის ხელობაა, - ეგ ხომ ქალის საქმეა“ (4, 274).

ლუარსაბის სახით ილია ჭავჭავაძემ გვიჩვენა თუ რა დონემდე შეიძლება დავიდეს უსაქმური და გაუნათლებელი ადამიანი. ლუარსაბისთანა კაცი ცხოველია, რომელიც მხოლოდ ჭამა-სმაში ხედავს თავისი ცხოვრების აზრს. მას ბიოლოგიური მოთხოვნილების გარდა, სხვა რამ უფრო მაღალი, უფრო ღირებული სოციალური მოთხოვნილებანი არ გააჩნია. ამიტომაც იყო, რომ ბრძენმა ილიამ ლუარსაბსა და დარეჯანს შვილი არ აღირსა, რათა მათი ფესვი და ჯილაგი საერთოდ ამოეგდო ჩვენი ცხოვრებიდან. ისინი ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომ მას თავიანთი კვალი ვერ დააჩნიეს, წავიდნენ ისე, რომ თითქოს არც არასოდეს მოსულიყვნენ ამქვეყნად. ასეთი ადამიანები „არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.

ილიას აზრით, ქართველი ხალხის მომავლისაკენ მიმავალი გზების ძიება წარსულის

ღრმა ანალიზზე უნდა იყოს დაფუძნებული. წარსულის ღრმა მეცნიერული ანალიზი, ეროვნული თვითშეგნების მწყობრ, მეცნიერულ სისტემაში მოქცევა ერის განვითარებისა და წინსვლის საწინდარია. ილიას ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი, აფორიზმად ქცეული ფრაზა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს“ (2, 153). ილიამ კარგად იცოდა, რომ საქართველოს წარსულში ბევრი რამ არის კარგი მისაბაძი და გადმოსაღები. საჭიროა მხოლოდ მისი ცოდნა, რათა დავზოგოთ დრო და არ გავიმეოროთ ძველი შეცდომები. „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, – წერს იგი, – რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი – ავად“ (2, 166).

ამის გამორკვევას კი ცოდნა, განათლება სჭირდება, რაც, ილიას აზრით, „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს“. იგი წერს: „განათლება, სწავლა და ცოდნა- აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხისთვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ“ (2, 249).

დიდ ილიას გული წყდებოდა იმის გამო, რომ ქართველები,

განსაკუთრებით თავად-აზნაურები ნაკლებად ეტანებოდნენ სწავლასა და სასწავლებლებს „ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად“, მაშინ როცა სხვა ეროვნების წარმომადგენლები ამ მხრივ დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ 1879 წელს იგი წერდა: „წელს – კლასიკურს გიმნაზიაში ოც- და- ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოც-და-ერთში, ჩვენ სამწუხაროდ და, უკეთ ვსთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია. ბევრი რამ არის საოცარი ამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმაზედ საოცარი, რომ შუაგულს საქართველოში წელიწადები გადის და ერთი ქართველი არ ასრულებს კურსსა, ამაზედ საოცარი – მეთქი არა მგონია სხვა რამ იყოს“ (1, 183).

უკეთესი მდგომარეობა არც შემდგომ წლებში ყოფილა. თბილისის რეალურ სასწავლებელში, აღნიშნავს ილია, „გასულ წელს (იგულისხმება 1888 წელი-ნ.ბ.)... ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი – 136, გერმანელი – 24, პოლშელი-16, თათარი-10, ბერძენი-4 და ებრაელი-3. მოდით და გული ნუ დაგენვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის მარტო 27 ქართველია მაშინ, როდესაც სომეხი 136-ია, რუსი-138-ი და გერმანელი 24! მერე სად? საქართველოს დედა-ქალაქის, საქართველოს შუაგულის სასწავლებელში“... (2, 271).

ილიას აზრით, ამის მიზეზი ქართველთა უმეცრებაა და არა სიღარიბე როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებდნენ. „ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი კი იმოდენად მდიდარია, რომ შვილების გაზრდის ხარჯსაც შოულობს და სახლობასაც გაუჭირვებლივ ჰკვებავს. რათა?... იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად- კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტიჩოხისათვის, ან ძენკვი კულმკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურს“ (2, 272). ამიტომაც გერმანელი ყველაფერს დაიკლებს, შიმშილსა და წყურვილს არაფრად ჩააგდებს შვილის მცოდნე კაცად გამოყვანისათვის. მან, ჩვენგან განსხვავებით, კარგად იცის, რომ ამ ვენახსა და ხოდაბუნს, რომლითაც ჩვენ თავს ვინწონებთ, თვითონ აჯობებს „იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვია და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული“ (2, 273). ამიტომ გერმანელი მაძღრად ყოფნასაც ადვილად ახერხებს და შვილების უკეთ გამოზრდასაც, ჩვენ კი შვილების აღზრდა მთავრობისათვის მიგვინდვია, „შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავი დამ მოვიშოროთ, ან სახემწიფოს მოვახვიოთ კისერზედ, ან სხვას ვისმე კეთილმყოფელს“ (2, 273).

ილიას აზრით, ცოდნა და სწავლა-განათლება თვითმიზნად კი არ უნდა გავიხადოთ, არამედ მას უნდა ვუყურებდეთ როგორც ცხოვრების გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას. ამასთან, დიდი ილია საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ „საკმაო არ არის... კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს, ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი – კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს... ავიკაცი რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია“ (2, 208). ილიას სამართლიანი მტკიცებით „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და განურთუთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუხრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის და... ისევე გონება განუვითარებელი და ზნე-ხასიათ განურთუთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონება განვითარებული და ზნე-ხასიათ გაუნვრთნელი“ (2, 209) აქედან გამომდინარე, ილია აყენებს სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის საკითხს, მოითხოვს აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის დაცვას. იგი წერს: „სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურუთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურუთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“ (2, 208)

ამასთან, დიდმა ილიამ შესანიშნავად იცოდა, რომ „წურუთვ-

ნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს-სხვა, წურუთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა – კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“ (2, 208).

ილიას გული წყდებოდა იმის გამო, რომ იმდროინდელ სკოლებში ბავშვის „ზნე-ხასიათის წვრთნა“ მივიწყებული იყო და მთელი ყურადღება მისი ცოდნით შეიარაღებაზე იყო გადატანილი. „ეხლანდელი სკოლა, - წერდა ის, - მარტო იმის ცდაშია, რომ ბავშვის თავში, რაც შესაძლოა ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმანვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის“ (2, 213).

ეს პრობლემა დღესაც მწვავედ დგას, დღევანდელი სკოლის სატკივარიც არის. ამ მხრივ ილიას შემდეგ ჩვენს სკოლებში თითქმის არაფერი შეცვლილა. ასე ხდება იმიტომ, რომ აღზრდის შედეგი მაშინვე არ ჩანს, ადამიანის აღზრდილობის დონის შემოწმებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ზოგჯერ საერთოდ შეუძლებელიცაა, სწავლების შედეგი კი იმავე გაკვეთილზე მჟღავნდება. ამიტომ მასწავლებელთა უმრავლესობა მთავარ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა ცოდნით შეიარაღებას და არა მათ აღზრდას.

განათლებული მცოდნე კაცი დიდ ძალას ფლობს, მაგრამ სახეიროს ვერაფერს შექმნის, თუ მისი ხასიათი ზნეობრივი სახე სრულქმნილი არ არის. უზნეო ადამიანს თუ შევაიარაღებთ

ცოდნით, იგი შეიძლება უფრო საშიში აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის, ვიდრე სასიკეთო. ცოდნა და განათლება საკმაოდ ბასრი იარაღია და ეს იარაღი თუ ხელში ჩაუვარდა უზნეო კაცს, იგი მას ბოროტად გამოიყენებს და ამით უფრო წარყვინის ქვეყანას. სულსხვა შედეგს მოგვცემს, როცა ამ იარაღით, ზნე კეთილი ზნესრული ადამიანი აღიჭურვება. იგი მას ქვეყნის სასიკეთოდ, ერის საკეთილდღეოდ, ადამიანისა და მოძმის ბედნიერებისათვის გამოიყენებს, რადგან „კაი კაცობა და კაი კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს“. ამოტომაცაა აუცილებელი რომ „გონების აღმატებულობას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულობა ზნე-ხასიათისაგან“. ამრიგად, ცოდნა, სწავლა-განათლება თავისთავად დიდი ძალაა, მაგრამ იგი რეალურ ძალად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ქვეყნის შეგნებისა და გარდაქმნის საქმეში გამოიყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიკია ასეთი, გამოუყენებელი ცოდნის ფასი, ამიტომაც იყო, რომ ილია ყველგან და ყოველთვის, როცა განათლების საკითხს ეხებოდა, მტკიცედ იცავდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის იდეას. იგი დღენიდაც იბრძოდა იმდროინდელ სკოლებში გამეფებული ფორმალური, დოგმატიური სწავლების წინააღმდეგ, რომელიც მოსწავლეთა ქეშმარიტი ცოდნით შეიარაღების ნაცვლად მათ გადაგვარებასა და დამახინჯებას უწყობდა ხელს, რადგან ბავშვები ვერ ახერხებდ-

ნენ სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. ამის მთავარ მიზეზად ილიას მიაჩნდა ის, რომ სკოლებში სწავლება ძირითადად მიმდინარეობდა ბავშვებისათვის გაუგებარ უცხო ენაზე. დიდი მწერლის აზრით, ადამიანის მიერ შექმნილი თეორიული ცოდნა პრაქტიკული სინამდვილიდან, ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული, მას საფუძვლად უნდა ედოს ხალხთა პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მიღებული გამოცდილება და თავის მხრივ იგი დადასტურებას კვლავ პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა პოულობდეს. ეს აზრი ილიას შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: „ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა (идейная жизнь), მეორე - მოსაქმე (практическая), რომლებიც ერთმანეთზე ისე არიან დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორესაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან“ (2, 224). სწორედ ამიტომ იყო, რომ ილია ყოველთვის მოითხოვდა ცოდნის დაკავშირებას კაცთათვის სასარგებლო პრაქტიკულ საქმიანობასთან. მაგრამ, სამწუხაროდ, აღნიშნავს იგი, „დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, – კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით – კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში აწავლა ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა“ (2, 215).

მართალია, თეორიულ ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფორმირებაში, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის აღზრდაც. ცხოვრებაზე დამკვიდრებისა და ცხოვრების სიბრძნით ადამიანის შეიარაღება, რაც მარტო წიგნების კითხვით არ მიიღწევა. ამიტომ გვმოძღვრავს დიდი მწერალი: „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უნიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“ (4, 487).

ილიას აზრით, საქართველოს დღეს სჭირდება არა კლასიკური, არამედ რეალური განათლება, ცხოვრებაში გამოსადეგი და ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ცოდნა. ამიტომ იგი მხარს უჭერდა სასოფლო-სამეურნეო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლების ქსელის გაფართოებას. მაგრამ იგი ყველაზე მეტად მაინც საერო, სახალხო პირველდანწყებითი სკოლების გახსნაზე ზრუნავდა, რადგან „ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი... ყოველთვის ძირიდან დადებულია, ყოველი შენობა ძირიდან ამ აღილებულია, მალლიდან კი შენობა არსად არ დანყებულა“ (4, 208).

პირველდანწყებითი სკოლების გახსნას ილია, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდა საქართველოს შორეულ და ჩამორჩენილ კუთხეებში. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა აჭარის მიმართ, მას მი-

აჩნდა, რომ მაჰმადიანი ქართველებისადმი თანადგომა მარტო ფულადი დახმარებით კი არ უნდა ამოიწუროს, არამედ საჭიროა მათთვის პირველდანიყებითი სკოლების გახსნა და ხალხში ცოდნის გავრცელება. ამ საქმეში იგი დიდ იმედებს ამყარებდა ახლადდაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე“. ვინაიდან იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მეფის მთავრობა ქართველთათვის გამოსადეგი სკოლების გახსნაზე არ იზრუნებდა, პირიქით, თავისი წარმომადგენლებითა და ადგილობრივი მოხელეების ხელშეწყობით ახორციელებდა ქართული სკოლებისა და მშობლიური ენის დევნის ტლანქ პოლიტიკას. მათი საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო ქართული ეროვნული კულტურისა და განათლების ყოველნაირად შეზღუდვა და ეროვნული თვითგამორკვევის ყოველივე გამოვლინების ძირშივე ჩახშობა.

ცხადია, ილია ჭავჭავაძე ხალხში მარტო დაწყებითი განათლების გავრცელებით არ იფარგლებოდა. მან ძალზე კარგად იცოდა, რომ ხალხის განათლებითა და ცოდნით შეიარაღებისათვის მარტო პირველდანიყებითი განათლება საკმარისი არ იყო. ამიტომ იგი საშუალო განათლების ქსელის გაფართოებისათვისაც იბრძოდა. „საშუალო სასწავლებლები, – წერდა იგი, – საკმარისი არ არის და ამის გამო ჩვენი შვილები სასწავლებელთ გარეთ რჩებიან, მაშასადამე, საჭიროა გავმარ-

თოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა“ (1,159).

ილია ჭავჭავაძე ილაშქრებოდა განათლების მიღების საქმეში ნოდებრივი და ქონებრივი პრივილეგიების წინააღმდეგ და მოითხოვდა ყველასათვის თანაბარ, საყოველთაო სწავლა-განათლებას. 1893 წელს იგი გამოვიდა განათლების სამინისტროს მეორე პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ქალთა გიმნაზიებში მხოლოდ უმაღლესი წოდების ქალთა მიღებას ითვალისწინებდა. დაბალი წოდების ქალებისათვის ამ უფლების წართმევა ილიას დიდ უსამართლობად და მავნე მოვლენად მიაჩნდა, მისი აზრითაც, ცოდნა „ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს“. ადამიანი ფასდება არა ნოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობით, არამედ თავისი ცოდნითა და განათლებით.

ასეთია ილია ჭავჭავაძის იდეები ცოდნისა და სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ. ამ იდეების კრიტიკულად შესწავლასა და ცხოვრებაში დანერგვას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ისინი გარკვეულ სამსახურს გაგვიწვევენ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მონოდების სიმალლეზე დაყენების საქმეში.

**ნოდარ ბასილაძე**  
პროფესორი.

# აღაიანის სიყვარული უპიკველესია

ბავშვობის წლები ყოველთვის ლამაზ მოგონებად გვრჩება, ტკბილად განვლილი წუთები არასოდეს გვაგინწყდება, სკოლის მერხთან გატარებული დღეები ნათელ ფერებად ირეკლება ჩვენს მეხსიერებაში, უკვე მოზრდილებს გვიჩნდება სინანულის განცდა, რაც იყო, ის აღარ განმეორდება და როგორც ერთი პოეტი იტყოდა: „ბავშვს რომ ესმოდეს, სიყმანვილე რასაც მოუტანს, მერნმუნე, დიდი არასოდეს გაიზრდება.“ ღვთის ნაყალობით, ჩვენ ვიზრდებით და უკვე დიდები სრულიად სხვა თვალთ ვუყურებთ სამყაროს და მაშინ ვხვდებით იმ ადამიანთა ფასს, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ხშირად ისინი ის ადამიანები არიან, რომლებმაც აღგვზარდეს, საგნის გარდა გვასწავლეს ურთიერთსიყვარული, სამშობლოსადმი თავდადება, შეგვამეცნეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობები, გვასწავლეს, რომ ამ ქვეყნად მთავარი არა მხოლოდ გამარჯვებაა, არამედ დამარცხებასაც თავისი ხიბლი აქვს.

გადაუჭარბებლად შემძლია ვთქვა, რომ სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ ქალბატონი ანგელინა ცინაძე, მათემატიკის მასწავლებელი, კოლეგებისათვის კარგი მეგობარი და პროფესიონალი, მოსწავლეებისათვის მკაცრი, მაგრამ საყვარელი პედაგოგი, მშობლებისათვის სამართლიანი ქალბატონი.

მასწავლებლობა რჩეულთ ხვედრია, ძნელია მომავალი თაობის აღზრდა, ძნელია, ბოლომდე სამართლიანი იყო თითოეულ მოსწავლესთან, თითოეულ მშობელთან, მაგრამ ანგელინა მასწავლებელმა ეს შეძლო თავისი მტკიცე ხასიათის წყალობით, შეძლო შეეყვარებინა ყველა მოსწავლე. ამიტომაცაა, რომ მისი გაზრდილები დიდი სიყვარულით იგონებენ მათემატიკის მასწავლებელს, მისი სიმკაცრეც კი მოწინებასა და პატივისცემას იწვევს თითოეულ მათგანში. მისი ნამონაფრები, ახლა უკვე თვითონ ზრდასრულები, კვლავ ურთიერთობენ მასთან, განიცდიან მის ტკივილს და უხარიათ მისი სიხარული. ისინი განსაკუთრებით ამაყნი არიან იმით, რომ ქალბატონი ანგელინა, გარდა იმისა, რომ საუკეთესო მათემატიკოსი გახლავთ, იგი ასევე საოცარი დამაჯერებლობითა და დახვეწილი ქართულით წერს და ფურცელზე გადააქვს საკუთარი ნააზრევი, იგი სიტყვებს მძივებივით კინძავს და სათქმელს განსაკუთრებულ ელფერს აძლევს. ამიტომაც გამოიწვია დიდი სიხარული კოლეგებსა და ნამონაფრებში მის მიერ გამოცემულმა პროზაულმა კრებულებმა: „რაც განვიცაადე“ და „ქალბატონი X“. მათ ანგელინა მასწავლებელი სრულიად სხვა კუთხით დაინახეს და მიხვდნენ, რომ ამ დიდი პროფესიონალის და ერთობ მკაცრი პიროვნების მიღმა სათუთი ქალი იმალება თავისი განცდითა და პატარა სიხარულით. თითქოს მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ნაიშალა ასაკობრივი ზღვარი, მაგრამ მოწინება და

პატივისცემა კი მის მიმართ ძველებურად შერჩათ. იგი თავისუფალ დროს წერს, წერს ყველაფერზე, რაც სულს უფორიაქებს, რაც სტკივა და რასაც განიცდის, გარეგნული სიმშვიდე და მტკიცე ხასიათი არ დაუკარგავს, იგი ისევე ისე უხვად გასცემს სიტბოსა და სიყვარულს, ამიტომაცაა, რომ მასთან მისვლა ყველას უხარია. ასეთ ადამიანებს უნდა გავუფრთხილდეთ, უნდა დავაფასოთ და უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ისინი საჭირონი არიან, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ქვეყნისათვის ღირსეული თაობა აღეზარდათ. რთულია, იყო მასწავლებელი, ძნელია, საგანთან ერთად მოსწავლეს ასწავლო ყველაზე მთავარი-პატივისცემა ადამიანის ღირსებისა, ასწავლო, რომ არ გაბოროტდეს, რა წინააღმდეგობებიც არ უნდა შეხვდეს, ანგელინა ცინაძემ კი ეს ყოველივე შეძლო, მან თავისი მოღვაწეობით საუკეთესო მაგალითი მისცა ყველას, ვინც მას იცნობს. ასეთი ადამიანებისადმი პატივისცემა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. ამიტომაც გადამწყვიტა ქალბატონმა მარიკა შარიქაძემ განსაკუთრებული მაღლიერება გამოეჩინა ამ ღვანლმოსილი მასწავლებლის მიმართ, მოფერებოდა ბავშვების აღზრდაში დამაშვრალ პედაგოგს და ხმამაღლა ეთქვა, რომ მისი ღვანლი კვლავ ახსოვთ რუსთაველებს. სასიხარულოა, რომ ამ წამოწყებას ხორცი შეასხა გერმანიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, პოეტმა ჯიმშერ ბედიანაშვილმა. იგი შეეცადა, ერთი ჩვეულებრივი დღე გაელამაზებინა ანგელინა მასწავლებლისათვის. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონმა ჯიმშერმა ბევრი კეთილი საქმის წამოწყებას შეუწყო ხელი. სიკეთე გადამდებია და ხოტბის ღირსია ყველა, ვინც ამას თავისი ნებით, სრულიად უანგაროდ და სხვების საკეთილდღეოდ აკეთებს. სწორედ ჯიმშერ ბედიანაშვილის ხელშეწყობით გაიხსნა ლიტერატურული სალონი ქ.რუსთავის მე-5 საჯარო სკოლაში, 2009 წლიდან კი მისი ხელშეწყობით ყოველწლიურად ჯილდოვდება ფულადი პრემიით ქ.რუსთავის მე-5 საჯარო სკოლის სამი მოსწავლე და ორი მასწავლებელი. სულ დაჯილდოვდა 38 მოსწავლე და 18 მასწავლებელი. დაჯილდოებულებს შორის ერთ-ერთი პირველი მე გახლდით. 2011 წლიდან ჯიმშერ ბედიანაშვილის ინიციატივით ქ. რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის (შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულნი) დაარსდა კონკურსი „სული ლექსით გვიდგას“. ჟიურის უცვლელი თავმჯდომარეა პოეტი ია სულაბერიძე.

I ადგილი 150 ლ.

II ადგილი 100ლ.

III ადგილი 80 ლარი

სულ დაჯილდოებულია 36 მოსწავლე.

შორს ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოეტსა და ჟურნალისტს სწამს, რომ სხვისთვის თავგანწირვა, კეთილი საქმის კეთება, გაჭირვებაში მყოფი კაცის დახმარება, უპირველესია. ამიტომაც დააჯილდოვა ფულადი პრემიით 2017 წელს სამი სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახი. სიკეთეს ისე ვერ გააკეთებ, თვითონ თუ

არ დაიჩაგრე და დაინავლე, ეს კარგად იცის ბატონმა ჯიმშერმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს იმ ადამიანების დასახმარებლად, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. მისი გადანყვეტილებით პირველად იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ისტორიაში 2019 წლიდან ფულადი პრემიით დაჯილდოვდება მასწავლებელთა კონფერენციაში გამარჯვებული ორი პედაგოგი და 1 მოსწავლე. მადლობა ბატონო ჯიმშერ, მადლობა ყველაფრისათვის, მადლობა იმისთვის, რომ თქვენი უანგარო დახმარებით ცდილობთ, გვერდით დაუდგეთ იმ ადამიანებს, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება თქვენი თანადგომა. თქვენ რუსთაველ შემოქმედ ახალგაზრდებს სურვილი გაუღვივეთ ლექსით ეთქვათ საკუთარი სათქმელი, მასწავლებლებს აგრძნობინეთ, რომ მათი საქმიანობა უპირველესია, მრავალშვილიან დედებს კი ამაყად უთხარით, რომ ისინი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანნი არიან, რომლებიც მასწავლებლებთან ერთად ცდილობენ, სამშობლოს სიყვარული, ურთიერთგატანა, უფროსების პატივისცემა ასწავლონ მომავალ თაობას, მადლობა თქვენ, რადგან ყველას დაანახეთ, რომ ღვანლმოსილი პედაგოგებისათვის ჩვენი გვერდით დგომა და სიყვარული აუცილებელია. ქალბატონ ანგელინას კი, მინდა ვუსურვო მზეგრძელობა და შემოქმედებითი წარმატებები.

**მარიამ დალაქიშვილი**

**ქ. რუსთავის №5 საჯარო სკოლის პედაგოგი**

ვერავენ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და ცოდნის სურვილი. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ჰხედავს, ყველა ჰგრძნობს, ყველა ჰღალატობს. ვინც იცის, რა ძლიერი ფარ-ხმალია ცოდნა და განათლება, რა დიდი ღონვა ერის ბედნიერებისათვის საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ ჭკუა – გახსნილი მოქმედება და ცნობიერად ხელის მოკიდება და გაძლოლა საქმისა, საქვეყნო იქნება, თუ საცალკეო, – ის, რასაკვირველია, არ იკმარებს მაგალითად დღევანდელს სურვილს: მეტს ინდომებს, მეტს ინატრებს და აი გაუმაძღრობა, მეტის ნდობა-სათაკილო კი არ არის, საქებურია და თავმოსანონებელი.

**ილია ჭავჭავაძე**

# როგორ ვიყენებ ჩესურს ხე-ს ისპორიის გაკვეთილზე IX კლასში

ყველა ეპოქაში წარმოიშობა განათლების მართვის აქტუალური საკითხები, რომელთა გადაწყვეტა სასიცოცხლო აუცილებლობაა განათლების სისტემისათვის. დღითიდღე სისტემატურად იცვლება, იხვეწება ვითარდება და სკოლაში ინერგება არაერთი თეორია ბავშვის განვითარების შესახებ. თითოეულმა თეორიამ, მეთოდმა საგრძნობი გავლენა უნდა მოახდინოს სასკოლო განათლების სისტემაზე. იცვლება სწავლა სწავლების ტრადიციული შეხედულებები. დღევანდელი გაკვეთილი თავისი შინაარსით და ფორმით არ უნდა იმეორებდეს გუშინდელ გაკვეთილს. მოსწავლისათვის გაკვეთილი არ უნდა იყოს მოსაწყენი, უინტერესო. განათლების მართვის აქტუალური ერთ-ერთი საკითხი სწორედ საინტერესო გაკვეთილია, სადაც მოსწავლე უბრალოდ მასწავლებლის მსმენელი კი არ არის, არამედ თვითონ ქმნის მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ერთად გაკვეთილს და მისი უშუალო მონაწილეა, თითოეულ მასწავლებელს სურს, რომ მისი გაკვეთილი იყოს მიმზიდველი, საინტერესო და დასამახსოვრებელი. ამიტომაც მუდმივად ცდილობს მასწავლებელი მოძებნოს ყველაზე ეფექტური, მარტივი და ადვილად გამოსაყენებელი მეთოდები და რესურსები, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაეხმარება მათ,

ორიენტირებული იქნება მოსწავლეზე.

სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები ადვილად გამოსაყენებელი უნდა იყოს და სწორედ იგი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეს და მასწავლებელს სწავლა-სწავლების პროცესის შედეგების მიღწევაში. განათლების მართვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია გაკვეთილზე თვალსაჩინოების, სასწავლო რესურსის მიზნობრივი გამოყენება. იგი ხელს უწყობს სასწავლო მასალის გადაცემას და ათვისებას, თუ სასწავლო რესურსი ორიენტირებულია მოსწავლეზე და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ჩათვალეთ, რომ მოსწავლე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აითვისებს მასალას და არც არასოდეს დაავიწყდება. რაც მთავარია მოსწავლე უნდა იცნობდეს რესურსს და მასთან მუშაობის წესებს. რესურსთან მუშაობა უნდა იყოს არა იძულებითი, არამედ სახალისოც კი.

მასწავლებელი უნდა აკვირდებოდეს ცოდნის შეძენის პროცესს, უნდა ითვალისწინებდეს კლასის შინაარსს, მისთვის დამახასიათებელ სოციალურ გარემოს, არსებულ ურთიერთობებს, სასწავლო რესურსი გათვლილი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლისათვისაც (დაბალი ინტელექტი) პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილზე გამოყენებუ-

ლი ინტელექტუალური თამაშები, სასწავლო რესურსები საშუალებას აძლევს ბავშვებს შეიცნონ საკუთარი შესაძლებლობები, დაეუფლონ ახალ უნარებს, თამაშით რესურსით ნასწავლი მოსწავლეს არასოდეს დაავიწყდება. ინტელექტუალურ თამაშებთან-კროსვორდი, ლოტო, ბლიცი-ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს შესაფერის სასწავლო რესურსის გამოყენებას. რესურს ძირითადად თამაშის პრინციპით ვიყენებ. რესურსის დამზადება მოსწავლესაც შეუძლია.

გაცნობებთ სასწავლო რესურს „ოთხი ხე“. ეს რესურსი შეიძლება გამოვიყენოთ ოთხივე ერთად, ან სამი ერთად ან ორი, ან კიდევ ერთი ხე – გააჩნია თემას. ეს რესურსი შეიძლება გამოყენებული იქნას არა მარტო ისტორიის გაკვეთილზე, არამედ ქართული ენის გაკვეთილზე (თემა: „ქართველი რომანტიკოსები“ I ხე - ნ. ბარათაშვილი, II ხე - ალ.ჭავჭავაძე, III ხე - გრ. ორბელიანი), ასევე ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, უცხო ენის... გაკვეთილებზე, რესურსი გამოყენებული უნდა იქნეს მიზნობრივად. მოსწავლეებს სრულყოფილად უნდა აუხსნა, თუ რა თემას ეხება რესურსი. როგორ უნდა გამოიყენოს იგი, რა არის რესურსის მიზანი, დანიშნულება. რესურსი „ხე“ დამზადებულია ხის მასალისაგან, ბავშვებისათვის უსაფრთხოა, ვიზუალურადაც კარგია. სასწავლო რესურსის გამოყენება შეიძლება წყვილებში მუშაობისას, მაგრამ უფრო კარგია, ეფექტურია ჯგუფური

მუშაობის დროს. იგი შეიძლება გამოვიყენოთ წინარე ცოდნის შემონმებისას, თემის შეჯამებისას, შემაჯამებელი გაკვეთილის წინა გაკვეთილზე.

შემაჯამებელი გაკვეთილის წინა გაკვეთილზე კლასი იყოფა ოთხ ჯგუფად. შემაჯამებლის თემაა: „საქართველო V-VIII საუკუნეში“, სადემონსტრაციო მაგიდაზე დევს ოთხი ხე. I ხე - V ს, II ხე - VI ს, III ხე - VII ს, IV ხე VIII ს. ოთხ ჯგუფს დაურიგდება კონვერტები ფერადი ბარათებით. მასზე დანერილი ისტორიული მოვლენები, ფაქტები, ისტორიული პირები მოიცავს V- VIII საუკუნეებს. ბარათებზე მოთავსებული თემატიკა ოთხივე ჯგუფისათვის ერთმანეთის ადეკვატურია. (დანართი №1 საუკუნეების მიხედვით) ოთხივე ჯგუფის ბარათებზე განთავსებულია შემდეგი ისტორიული ფაქტები, რომლებიც უნდა დაალაგონ საუკუნეების მიხედვით. 1. ვახტანგ გორგასალი, 2. მეფე მირდატი, 3. ირანმა მეფობა გააუქმა სომხეთსა და ალბანეთში, 4. არშუშა პიტიახში, 5. არტანუჯი, 6. პეროზ შაჰი, 7. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, 8. ქართლის მეფე გურგენი, 9. დიდი ომიანობა ეგრისში, 10. მეფე გუბაზი, 11. ციხე-ქალაქი პეტრა, 12. ლაზი წარჩინებული ფარსანი, 13. პროკოფი კესარიელი, 14. გურამ ბაგრატიონი, 15. განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის, 16. ჰერაკლე კეისარი, 17. ჯიბლუ სარდალი, 18. სერგი ბარნუკის ძე, 19. მოსე კალაკანტუელი, 20. ბრძოლა პუატიესთან, 21. მურვან ყრუ, 22. დავით

და კონსტანტინე მხეიძეები, 23. ქართლის ერისმთავარი ნერსე, 24. იოანე საბანის ძე, 25. ქართლის ერისმთავარი ჯუანშერი, და სხვა. ამავე დროს თითოეულ კონვერტში არის თითო შეკითხვა რომელშიც არ არის აღნიშნული საუკუნეების მოვლენა. მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი „აღმოჩენა“ და არ დაამაგროს ხეზე, დადოს ხის ძირში კითხვების რაოდენობა კლასის მომზადების დონეზეა დამოკიდებული. ოცზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუ გაკვეთილების მსვლელობისას, თამაშების-კროსვორდი, ლოტო, ბლიც კითხვა-მასწავლებელი აღნიშნავს რომ კლასმა კარგად აითვისა საქართველო მეხუთე - მეექვსე საუკუნეებში, მაშინ შესაძლებელია ამ საუკუნეების შესახებ ბარათი იყოს VI-V, VII-VIII საუკუნეების ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ორჯერ მეტი.

პირველ ჯგუფს გადაეცემა ნარინჯისფერი-ბარათები, მეორეს-ლურჯი, მესამეს-ყვითელი, მეოთხეს-ვარდისფერი... მასწავლებელი აძლევს დავალებას, ბარათები დაამაგროს შესაბამისი საუკუნეების მიხედვით ხეებზე, აცნობს შეფასების სისტემას. განისაზღვრება დრო 5-7წთ. მასწავლებლის ნიშანზე – დრო ჩაირთო, მოსწავლეები ხსნიან კონვერტებს, იღებენ ბარათებს, კითხულობენ, მსჯელობენ, აღაგებენ, აჯერებენ ერთმანეთში პასუხებს, აანალიზებენ. ამ მუშაობის პროცესში თან თამაშობენ, თან ურთიერთთანამშრომლობენ, სხვისი აზრის პატივისცემის უნარიც უყალიბდებათ, ჯგუფის ლიდერი ყურადღებით

უსმენს ჯგუფის თითოეული წევრის პასუხებს, მსჯელობას, ინიშნავს, ღებულობს გადანყვეტილებას. თითოეული ჯგუფიდან გამოიყოფა თითო კურიერი (დასაშვებია ერთი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის). კურიერს მიაქვს თავისი ჯგუფის ფერი ბარათი შესაბამისი საუკუნის ხესთან და ამაგრებს მასზე. შესაძლებელია ბარათი მხოლოდ კურიერმა დაამაგროს ხეზე ან კიდევ გუნდის თითოეულმა წევრმა... ოთხივე ჯგუფის ბარათებზე მოცემული ისტორიული ფაქტები და მოვლენები ერთმანეთის ადეკვატურია. მაგ: ოთხივე ჯგუფმა უნდა განსაზღვროს ქართლის მეფე მ ი რ დ ა ტ ი რომელ საუკუნეში მეფობდა და თავისი ფერადი ბარათი მოათავსონ მეხუთე საუკუნის ხეზე, ან ბარათი, რომელიც აღნიშნულია დავით და კონსტანტინე მხეიძეები, დაამაგრონ მერვე საუკუნის ხეზე. „დიდი ომიანობა ეგრისში“ მოათავსონ მეექვსე საუკუნის ხეზე. თუ თითოეული ჯგუფი სწორად განსაზღვრავს ბარათი რომელი საუკუნის ხეზე დაამაგროს, თითოეულ ხეზე უნდა იყოს 28 სხვადასხვა ფერის ბარათი. (თითოეული საუკუნე შვიდ შეკითხვას შეიცავს) 7-8 წთ შემდეგ ჯგუფიდან გამოყოფილი პრეზენტატორი (ან ჯგუფის თითოეული წევრი) მოდის ხესთან იღებს თავისი ჯგუფის ფერ „ბარათს, კითხულობს ხმამალა ტექსტს და განსაზღვრავს სწორად არის თუ არა საუკუნე დასახელებული. სწორი პასუხის შემთხვევაში ჯგუფს ეწერება ქულა, არასწორი პასუხის შემთხვევაში ეწერება – 0, მაგრამ

შეცდომა უნდა გასწორდეს ჯგუფის მიერ ან კლასის დახმარებით. ამავე დროს უბრალოდ კი არ უნდა დასახელდეს სწორი პასუხი, არამედ მოხდეს მისი ანოტაცია. მოხდეს დასახელებული ფაქტის გაანალიზება 1-2 წთ განმავლობაში, მაგ: გურამ ბაგრატიონი, თუ მეექვსე საუკუნის ნაცვლად დამაგრებულია მეშვიდე საუკუნეზე, შეცდომა უნდა გასწორდეს. არა უბრალოდ – გურამ ბაგრატიონი მეექვსე საუკუნე, არამედ, უნდა აიხსნას, მეექვსე საუკუნის 60 იანი წლების. ქართველმა დიდებულებმა დახმარებისათვის მიმართეს ბიზანტიას, რომ ირანს ეცნო ქართლის უმაღლეს ხელისუფლად მათ მიერ არჩეული პირი. ქართლის დიდ აზნაურებმა ასეთ ხელისუფლად დაასახელეს ირანის წინააღმდეგ აჯანყების მეთაური გურამ ბაგრატიონი... და ა.შ. შესაძლებელია ისიც, რომ პედაგოგმაც 2-4 წთ განმავლობაში შეამოწმოს ბარათები და აღნიშნოს სწორი და არასწორი პასუხები. შემაჯამებელი გაკვეთილის წინმსწრებ გაკვეთილებზე ასეთი სასწავლო რესურსის, თამაშის გამოყენება სახალისოცაა, საინტერესოცაა... მოსწავლეები კიდევ ერთხელ გააცნობიერებენ, დაიმახსოვრებენ ისტორიულ ფაქტებს, მოვლენებს, პიროვნებებს, თარიღებს, შეამოწმებენ საკუთარ ცოდნას, არიან თუ არა მზად შემაჯამებელი გაკვეთილისათვის, რესურსი „ხე“ არ შეიძლება ხშირად, სისტემატურად გამოიყენო. იგი აღარ დააინტერესებს ბავშვებს, მობეზრდებათ. ამიტომ რესურსი უნდა გამოვიყენოთ ძირითადი თემების

შეჯამებისას, ცოდნის განმტკიცებისათვის. ეს რესურსი ხელს უწყობს მოსწავლემ ხალისიანად, ძალდაუტანებლად აითვისოს ცოდნა, თუნდაც დაიმახსოვრონ, ან დაიზეპიროს კიდევ ისტორიული ფაქტები და მოვლენები... ეს რესურსი, მისი გამოყენება დაეხმარება მოსწავლეს შეითვისოს ცოდნა, მოემზადოს შემაჯამებისათვის, საატესტატო გამოცდისათვის...

ჯგუფური მუშაობის დროს შესაძლებელია თითოეულ ჯგუფს მიეცეს თითო ხე, მიეცეს ინსტრუქცია, დაურიგდეს ბარათები, ოთხივე ჯგუფისთვის კითხვები ადეკვატურია, თავისი ჯგუფის ხეზე მხოლოდ შესაბამისი ბარათი დაამაგროს. დროის ამონურვის შემდეგ მოხდეს პრეზენტაცია...

ჰოვარდ გარდენი ამბობდა, რომ ადამიანი ფლობს ცხრავე ინტელექტს, თუმცა ისინი სხვადასხვა დონეზეა განვითარებული, თითოეულის ინტელექტის გააქტიურება და განვითარება ხდება მხოლოდ ეფექტური და მიზანშეწონილი სწავლების შედეგად. ესაა მთავარი, მასწავლებელმა მონახოს გააქტიურების და განვითარების ახალი გზები, ერთ-ერთი ეს არის თამაშის სწავლება და შესაბამისი სასწავლო რესურსის გამოყენება, და რაც მთავარია, მოსწავლეს უყვარდეს საქართველოს ისტორია, თამაშობდეს და სწავლობდეს. მივალნიო მიზანს, მივიღოთ შედეგი...

**ნარბიზ ბალიშვილი,**  
ილია ჭავჭავაძის სახელობის  
ქ. ქობულეთის მეორე საჯარო  
სკოლის დირექტორი

# საქოცლათი წელი სკოლაში!

არტურ შოპენჰაუერი გვმოდვრავს, რომ: – „ყოველი დღე - პატარა ცხოვრებაა, ყოველი გამოფხიზლება – პატარა დაბადება, ყოველი დილა – პატარა სიჭაბუკეა და ყოველი ძილი პატარა სიკვდილი“... ამიტომაც არ უყვარს ძილი, დღე-ღამეში 15-17 საათი პრესასა და წიგნებს კითხულობს, ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახიან, მიუხედავად ასაკისა, სათვალე არ სჭირდება და მისი ყოველი გაკვეთილი ევროპულ განათლებაზეა მორგებული, მას მალე 91-წელი შეუსრულდება და 70-წლის წინ ჩატარებული პირველის გამოძახილია ყოველი მომდევნო გაკვეთილი... ამ წერილში ელიკო ხუსკივაძის შესახებ გვინდა მოგიხროთ, ანუ როგორც ეძახიან – ელიკო მასწავლებელზე, თითქმის შვიდიათეული წელია, მის სახელთან სინქრონულად ისმის პროფესიის ეს უაღრესად ამაღლებული და ნებისმიერი ადამიანი-სათვის ზენიტში ატანილი სიტყვა – „მასწავლებელი“, ჰო, იმერეთის კოპნია რეგიონში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელი წევაა, ამ სოფლის სკოლაში კი, გეოგრაფიას 91-წლის, საოცარი ენერჯის და გამოცდილების მქონე პედაგოგი ელიკო ხუსკივაძე ასწავლის! რამდენმა თაობებმა გაიარა მასთან, რამდენს აპოვნინა საკუთარი ადგილი ცხოვრებაში...

– პირველ გაკვეთილს ვინყებ ადგილმდებარეობით, სადაც დაიბადა და გაიზარდა ბავშვი. ამ სკოლის ეზოთი, მისი სახლ-კარით, მისი ოჯახის ტრადიციებით. ჩემი მოსწავლეების ბაბუები ჩემთან სწავლობდნენ. ძალიან იოლია, როცა მარტივად რთულისკენ დაინყებ სწავლებას ანუ ნაცნობიდან უცნობისკენ და მერე უკვე ბავშვებს აზარტში ისე შეიყვან, თვითონაც ვერ გააცნობიერებენ...

– ევროპული განათლება? – დიას. ჩემს მოსწავლეებს ევროპულ განათლებას ვაძლევ. როგორია ეს განათლება? ეს ნიშნავს ყველა საგნის ღრმა ცოდნას, ჩემი ბავშვები გეოგრაფიის ოლიმპიადებიდან ყოველთვის გამარჯვებულები ბრუნდებიან – სიამაყით გვესაუბრება ელიკო მასწავლებელი და განაგრძობს: – წლებთან ერთად დიდი გამოცდილება დავაგროვე, კარგად ვიცი, გაკვეთილი საინტერესო როგორ გავხადო. ბავშვების დაინტერესება ჩემს საგანში ძალიან იოლია, შეიძლება მათემატიკით ვერ დააინტერესო, გეოგრაფიაში კი ამას, კარგი პედაგოგი მარტივად მოახერხებს. ბოლო პერიოდი, ცოტა მოვტყედი, დეპრესია მაქვს, ერთადერთი შვილი გარდამეცვალა და საშინელ დღეში ვარ, ღამით დაიძინა და დილით უკვე გარდაცვლილი იყო. პროფესორი შვილი მყავდა... მასაც ძალიან უყვარდა კითხვა... ვისაც შვილის სიკვდილი გამოუცდია, ის მიხვდება, რა ტრაგედიაა მაქვს გადატანილი... თუმცა ვცდილობ, რომ ამ თემაზე ნაკლებად ვისაუბრო...

სოფლის სკოლის მასწავლებლები ფიზიკური დატვირთვითაც გამოირჩევიან, მაგრამ ამ გამორჩეულთაგან – გამორჩულია ჩვენი

ელიკო მასწავლებელი, რომელიც სასოფლო სამეურნეო კულტურებს ხარისხიანად უვლის, – „ყველაფრის გულიანი კეთება იცისო“ – ამბობენ მასზე, ფრინველებსაც უვლის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც ჰყავს...

– საოცარი ადამიანია! საოცარი ენერჯის მქონე, ჩვენი სიამაყე! - ასე ახასიათებს ქალბატონ ელიკოს სკოლის დირექტორი ნაზი ცქვიტიშვილი, რომლის აზრსაც ძირფესვიანად ეთანხმება ქ. ზესტაფონის საგანმანათლებლო რესუსცენტრის უფროსი ბატონი კახა კუპატაძე.

რედაქციისაგან: – ჟურნალი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, ხელი მოაწერა განკარგულებას ელიკო ხუსკივაძის, ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისათვის საქართველოს პედაგოგიური ელიტის უმაღლესი ჯილდოთი – იაკობ გოგებაშვილის მედლით დაჯილდოების შესახებ.

რასაკვირველია, რომ იმ წრეს, საცა ბავშვი პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ, ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალედამჩნევი ავისა და კარგისა და ამიტომაც წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზემოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ, ხოლო არის მეორე საგანიც, რომელსაც, თუ არა მეტი, ნაკლები ზემოქმედება არა აქვს ადამიანის ავკარგიანად გამოსვლაზედ, ეგ მეორე საგანი სკოლაა.

ილია ჭავჭავაძე

# საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელოვნო პედაგოგთა კავშირის დელეგაცია საგანგებოთა ჩისუბლიკას სტუმროვდა

საქართველოს მიღმა საქართველოდან ემიგრირებული ადამიანების დაფასების სურვილით საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, გამგეობის წევრებმა, ლეილა გეგეშიძემ, ბელა ჯანგიძემ, ლია მარტაშვილმა, მაკა სამხარაძემ, ნაზიბროლა კაპანაძემ და სხვებმა გადანიშნული მისი მისიონერული, ადგილზე გაცნობიერების ყველას და ყველაფერს, რაც, ბუნებრივია ერთდროულად დაახლოებისა და დამეგობრების ახალ ტრადიციებს შობდა ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების და გაფართოებისათვის.

– ასეთი შეხვედრები ტრადიციად უნდა იქცეს და ჩვენ მივესალმებით თქვენს კეთილ და საქმიან გადანიშნულებას, გვიხარია, რომ თანადგომა გამოუცხადეთ თქვენს აქაურ თანამემამულეებს და ყველა აქ მყოფს სიხარული აჩუქეთ, იმედი გაუჩინეთ. საქართველოს საელჩო საბერძნეთში საგანგებო მადლობას გიხდით თქვენ და გპირდებით, მომავალში თავად გახდება ინიციატორი ასეთი შეხვედრებისა ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ემიგრანტ ქართველთა გულის მოსაგებად...

ვუსწრებ მოვლენებს და თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოვცემ იმ გამოსვლის შინაარსს, რომელიც სპეციალურად გამართულ ღონისძიებაზე წარმოთქვა ქართველმა დიპლომატმა, საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა საბერძნეთში, ბატონმა იოსებ ნანობაშვილმა. აქვე იმსაც დავსძენ, რომ სულით ხორცამდე ამ ქართული ცნობიერების კაცს (წარმოშობით ქიზიყელს, ანაგელს და ერთდროულად ძალიან საინტერესო პაპის შვილიშვილს, სწორედ მის წინაპარს მიუღია მონაწილეობა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის დაფუძნებაში) უდიდესი განათლების პატრონს, ფრიად საინტერესო დიპლომატიურ სამსახურებში ნაღვანს, ქართველებითა და ბერძნებით სავსე დარბაზში სტუმარ-მასპინძელს შორის თავი სრულიად უბრალოდ ეჭირა და სიყვარულს არა პოზირებული დიპლომატიური ღიმილით, არამედ ჭეშმარიტი შინაგანი განწყობით ავლენდა, განსაკუთრებით ბავშვებისა და სტუმრების მიმართ.

ამ ფაქტს ისიც უნდა დავუმატოთ, რაც ქართველმა თანამემამულეებმა გვითხრეს, ეს ჩვენებური კაცური კაცი თურმე მუდმივ ყურადღებას იჩენს მათ მიმართ და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს თვისტომელთათვის. ელჩმა ხაზგასმით გამოხატა მადლიერება რევერანსებით ჩვენს დელეგაციასთან დამოკიდებულებაში კულუარებშიც და საგანგებოდ გვთხოვა მისი სახელით მივე-

საღმრთო რუსთავსა და რუსთაველებს, წარმატებები და აღმშენებლობა ვუსურვოთ მარადჟამს.

ახლა უფრო თანმიმდევრობით: კომპანია „ვიზიარის“ თვითმფრინავმა ათენის აეროპორტში იქაური დროით 10 საათზე ჩაგვიყვანა. 12 საათზე ღონისძიება იწყებოდა. დახვედრისთვის ყველაფერი კორექტულად იყო გათვლილი: დახვედრა, ტრანსპორტი, სასტუმროში დაბინავება...

სკოლის საიუბილეო ღონისძიება ათენის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის დარბაზში ჩატარდა და მას ბევრი, ფაქტთან დაკავშირებული თუ უცხო, დაინტერესებული ადამიანი დაესწრო.

ღონისძიებისა და ამ მიწვევის მთავარი ორგანიზატორი ქალაქ ათენის, ვახტანგ მეექვსის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, წარმატებული ქართველი ემიგრანტი ქალი დარეჯან ლამბაშიძე იყო, რომელმაც სამი საათის განმავლობაში შესაშური ენერჯით და გონიერებით უხელმძღვანელა საგანგებოდ გათვლილ პროგრამას და ამ პროგრამაში ისე ააწყო ყველაფერი, რომ სტუმრებსა და მასპინძლებს თავი ერთნაირი ღირსებით ეგრძნოთ და სიყვარულით ჩახუტებოდნენ ერთურთს. საკონცერტო ნომრებს და ოფიციალურ გამოსვლებს მაყურებელი აპლოდისმენტებით ხვდებოდა: სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ემიგრანტი ქართველი პედაგოგები და მოსწავლეები, რომლებიც გასაოცარი მომხიბვლელობით მღეროდნენ და ცეკვავდნენ ჩვენს ეროვნულ ცეკვებს

სცენაზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი აკადემიკოსი გარი ჩაფიძე მიიწვიეს, მან საგრძნობლად მიმზიდველი სიტყვის თქმის შემდეგ ოფიციალურად-იაკობ გოგებაშვილის მედლებით, პრემიით, ღირსების სიგელებით დააჯილდოვა ამ სკოლის ხელმძღვანელები და რიგითი პედაგოგები, მასპინძლებს გადასცა საქართველოდან ჩატანილი ქართული წიგნები, დედაენის გამოცემები, სხვადახვა სახის სუვენირები და მადლობა გადაუხადა სათვისტომოს ათენში მიწვევისათვის.

ამ სამთავრობო დონის ღონისძიებაზე იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს აკადემიკოს გარი ჩაფიძეს ბოლო ათწლეულის მანძილზე განეული ეროვნული საქმიანობისათვის, რაც იაკობ გოგებაშვილის სახელს უკავშირდება, მიენიჭა ქალაქ ათენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება, სწორედ აღნიშნული ღონისძიების ფორმატში გადაწყდა ქალაქ ათენში, ვახტანგ მეექვსის სახელობის საკვირაო ქართულ სკოლას ეწოდოს იაკობ გოგებაშვილის სახელი.

**ლია მარტაშვილი,**  
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

# ხალხური სიზმარიერების ნიშნები, იაკობ გოგებაშვილის დედა ენაში და ათი ალფრედოვითი პნიშნელოვა.

დიდი ქართველი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი გაჟღერებული იყო იმ გარდაუდებული მისწრაფებით, რომ შეექმნა ქართველი ახალგაზრდებისათვის ისეთი წიგნი, რომელიც იქნებოდა ღრმად ეროვნული, სამშობლოს სიყვარულით აღვსილი, წიგნი, რომელიც ახლოს იქნებოდა თოთოეული ქართველის გულთან თავისი ეროვნულობითა და ხალხურობით. მართლაც, ვინც კი ეზიარება იაკობის დედა ენას უსათუოდ იგრძნობს ღრმა ეროვნული ფესვებიდან მოწოდებული წვენი სილბოსა და სიტკბოს, რასაც, მშობლიური – ხალხური ქვია.

იაკობ გოგებაშვილმა ბევრი მასალა ხალხური სიტყვიერებისა შეკრიბა სოფელ ვარინში, ქართლში. ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები მან თავის სახელმძღვანელოში შეიტანა და ამით დიდი ამაგი დასდო ლიტერატურული ენის დაახლოებას ქართულ მეტყველებასთან.

საკმარისია აქ გავითვალისწინოთ ზოგიერთი გარეგნული მაჩვენებელი იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა ფართოდ შეჰქონდა თავის წიგნში იაკობს ფოლკლორული მასალა, ასე მაგალითად: დედაენის პირველი ნაწილის სავარჯიშოებში სულ მოთავსებულია თვრამეტი ნაწარმოები, რომელთაგან ათი ხალხური სიტყვიერების

მასალაა. დედაენის მეორე ნაწილის საკითხავ მასალაში სამასი ნაწარმოებიდან ოთხმოცდარვა ხალხურია. განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი ანდაზა გამოცანები, მაგალითად დედაენის მეორე ნაწილში ასზე მეტი ანდაზაა მოთავსებული. აქ გვხვდება ისეთი ანდაზები როგორცაა: „სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდება“; „წყალი რომ დაგუბდება, აყროლდებაო“ „ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდრასა ჩამაცვეს ფარჩანი“; „ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის“; „რეგვენი საქმეს ნახედენს, ფათერაკს დააბრალებსა“ და სხვა.

ჩართულია ისეთი გამოცანები, როგორცაა: „თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბნება.“; „დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი“; „ოსლოფილო, ოთხო ბოძო, ზევით მთაო სათიბარო, ქვევით წყარო სადინარო“; „აბლი ბაბლი, ვერცხლის ტახტი, მზით ავიღე მთვარით დავდგი“ და მრავალი სხვა.

ეს ანდაზა გამოცანები წარმოადგენენ ბუნებრივი ქართული მეტყველების კარგ ნიმუშებს.

უნდა აღინიშნოს, რომ იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოში შესატან ფოლკლორულ მასალას სათანადოთ ხვენდა, აშალაშინებდა, დიდი სიბრთხი-

ლით ამუშავებდა და ასე გადა-  
მუშავებული სახით აწვდიდა  
მოზარდის ცნობიერებას. აქ  
დავიმონუმებ ზოგიერთ მასალას  
საიდანაც ჩანს, როგორ ხვენდა  
იაკობი სტილისტურად ხალხში  
შეკრებილ ზეპირსიტყვიერების  
ნიმუშებს.

„ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,  
დაურჩი დედაშენსაო,  
საქმე, რომ არა გქონდეს რა  
ჩამოირბენდი ჩვენსაო.  
მოგიხდი წითელ ღვინოსა  
მეც მოგიჯდები გვერდსაო  
დავლევ და დაგალევინებ,  
პატარა აზარფეშასო“

გოგებაშვილის რედაქცია:

„ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი,  
დაურჩი დედაშენსაო, საქმე,  
რომ არა გქონდეს რა  
ჩამოირბენდი ჩვენსაო.  
გადგიშლი წიგნსა პატარას  
მეც მოგიჯდები გვერდსაო,  
გასწავლი წერა-კითხვასა,  
არაკებს გეტყვი ბევრსაო“  
ხალხური რედაქცია:  
„ყაყაჩოსა სინითლითა  
ყანა დაუმშვენებია,  
წითელს ნუნუას ვაჟკაცის  
გული გაუხარებია.“

გოგებაშვილის რედაქცია:

„ყაყაჩოსა სინითლითა,  
ყანა დაუმშვენებია,  
ყმანვილსა კარგი სწავლითა  
სახლი გაუხარებია.“

ხალხური:

„კურდღელი ჩამოცანცალდა  
ფეხმოტეხილი, სანყალი

ზურგზე ეკიდა საგზალი,  
თუნგ ნახევარი მაჭარი“  
გოგებაშვილის რედაქცია:  
„კურდღელი ჩამოცანცალდა  
ფეხმოტეხილი, სანყალი  
ზურგზე ეკიდა საგზალი,  
კომბოსტო ნორჩი ახალი.“

ცნობილი ლექსი „მოდი ვნა-  
ხით ვენახი“ გოგებაშვილს ჩაუ-  
წერია ერთი მოხუცი გლეხი-  
საგან, რომლის სათაურიც ყო-  
ფილა „ია ვნახით ვენახი“ – „ია“  
აქ გაუგებარია.

გოგებაშვილს გონებაა, რომ  
ეს არის შემოკლებული იარ,  
ესეიგი იარ ვნახით ვენახი, მა-  
გრამ ამ ვარაუდის საწინააღმ-  
დეგოთ ლაპარაკობს მომდევნო  
სტრიქონები, მიველ ვნახე ვე-  
ნახი, ესეიგი მოლაპარაკე თავ-  
ის თავს ეუბნება და არა მეორე  
პირს. შემდეგ იაკობს იას-ნა-  
ცვლად ჩაუსვამს კონსტრუქცი-  
ისათვის შესაფერისი სიტყვა  
„მოდი ვნახით ვენახი“.

ხალხურ ზღაპარს „რწყილი  
და ჭიანჭველა“ ასეთი სათაური  
ჰქონია „ტილი და რწყილი“

იაკობს აქაც ცვლილებები  
მოუხდენია. მისივე ჩაწერილი  
ზღაპარი „მებადურის შვილი“  
დედა ენიდან გადაუბეჭდავთ  
ასეთი ცვლილებით, „მეთევზის  
შვილი“ ამაზე იაკობი შენიშ-  
ნავს, რომ მეთევზეს ჩვენი ხალხი  
იმას ეძახის, ვინაც თევს ჰყიდის  
სათევზე დუქანში, იმათ კი, ვინც  
თევს იჭერს, მებადური, როცა  
ბადით იჭერს თევზსა.

ზეპირსიტყვიერებაში მხატ-  
ვრული სახეებით აღბეჭდილია  
ჩვენი ხალხის აზრები, ფიქრე-  
ბი, განცდები. ფოლკლორში

ეროვნული ხასიათი იმდენად ძლიერადაა გამოხატული და იმდენად ბევრადაა მასში პედაგოგიური იდეები, ზნეობრივი აღზრდის მაგალითები, რომ წარმოუდგენელია ი. გოგებაშვილს გვერდი აველო მათთვის, უნდა ითქვას რომ დიდი პედაგოგი ამ მასალას უხვად იყენებდა თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში.

მეცრამეტე საუკუნის ფოლკლორი, ქართველ პედაგოგთა და აღზრდის დარგის მოღვაწეთაყურადრების არეში მოექცა, ფოლკლორული მასალა სახელმძღვანელოებში შეიტანეს დ. ჩუბინაშვილმა; ლ. აღნიაშვილმა; პ. უმიკაშვილმა; ი. გოგებაშვილმა; ნ. სასიძემ და სხვებმა.

უფრო ფართო და მეცნიერული დასაბუთებით, ი. გოგებაშვილმა ერთ ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი სახელმძღვანელოებში ხალხური ნაწარმოების შეტანის ტრადიციას.

თავის ქრესტომათიაში მას უხვად შემოჰქონდა, ხალხური შემოქმედების, პედაგოგიურად დამუშავებული ნიმუშები და ესენი აღზრდის საუკეთესო საფუძვლად მიაჩნდა.

ხალხურ სიბრძნეს ი. გოგებაშვილი ესთეტიკური ტკბობის საშუალებად როდი მიიჩნევდა, იგი ღრმად სწავლობა ხალხურ საუნჯეს, „შკუისა და ზნეობის“ ამამალლებელ ფუნქციას ანიჭებდა მას და პედაგოგიური აღზრდის საშუალებად იყენებდა. ჭეშმარიტი პედაგოგი მიზნად ისახავდა, ახალგაზრდობაში აღეზარდა სამშობლოსა და ხალხის დაუცხრომელი სიყვარული, დემოკრატიზმი, გმირობისა და სიმამაცის თვისებები,

თავდაბლობის, მეგობრობისა და გამოტანობის მაღალი ზნეობრივი ნორმების დამკვიდრების საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა ამ სიბრძნის გაცნობა. ბუნების კარისა და დედა ენის გულდასმით შესწავლა გვარნმუნებს, რომ დიდი პედაგოგი ხალხური შემოქმედების ნუმუშებს წმინდა სააღმზრდელო მიზნით იყენებდა. სახელმძღვანელოებში ბეჭდავდა ისტორიული ხასიათი და ზნეობრივი ხასიათის შემცველ ლექსებს, იგავ-არაკებს, თქმულებებს.

ბუნების კარსა და დედაენაში გამოყენებული ხალხური ნაწარმოებები, მეტწილად თვით იაკობ გოგებაშვილის მიერ არის მოპოვებული და ჩანერილი, შემდეგ კი აღმზრდელობითი თვალსაზრისით გადამუშავებული.

აირას წერდა იგი, 1896 წელს ცნობის ფურცელში – ბატონო რედაქტორო, როცა ამ ოცი წლის წინთ მოვიწადინე შემედგინა ნაცვლად ჩემის წინანდელის ანბანისა ახალი და სრული პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო დედა ენა, მე გავემგზავრე სოფლად ჩემს სამშობლოში, რათა შემეკრიბნა ხალხური მეტყველების ქმნილებანი ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები, გამოცანები, ენის გასატეხნი ანდაზები და სხვა.

შეკრება იმიტომ იყო საჭირო, რომ მასში ეს შეუდარებელი მასალა მხოლოდ ხალხის ხსოვნაში არსებობდა და ჩვენს ლიტერატურაში კანტიკუნტად მოიპოვებოდა.

მთელი 6 თვე ვიცხოვრე ყრუჭაობიან სოფელში, ლიახვის პი-

რად, ყველაფერი დავივიწყე, ქვეყანას მოვწყდი სრულიად და მხოლოდ და მხოლოდ ერთ საგანს დავამყარე ჩემი ყურადრება. რაც შეიძლება მეტი შემეკრიბა იმისთანა ხალხური ნაწარმოებები, რომელსაც საყმანვილო, პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს. მე ჩემს რვეულში ვინერდი მხოლოდ მას, რაც მუშტრის პედაგოგის თვალი სცნობდა შესაბამისად, სასარგებლოდ ბავშვებისათვის.

საქართველოს განათლების მუზეუმის არქივში დაცულია ი.გოგებაშვილის მიერ შედგენილი პროგრამა „ხალხი“ სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის, სადაც გოგებაშვილი წერს: „ხალხის სიტყვიერების ნაწარმოები, არის დიდი საუნჯე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგოგიისათვის. ყოველი განათლებული საზოგადოება ცდილობს შეკრიბოს, ყოველგვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყოველთაო კუთვნილებად აქციოს.

ჩვენში დღევანდლამდე ძალიან მცირედ შეკრებილი და დაბეჭდილია ჩვენი ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები. მათი შეკრება და გამოქვეყნება მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ ამგვარი ნაწარმოებებით ჩვენი ხალხი მდიდრდება. ამიტომ წერა-კითხვის საზოგადოებამ შეჰკრიბოს და დაბეჭდოს ქართული სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვა. რადგანაც სახალხო მასწავლებელი მუდამ ხალხში ცხოვრობენ და სხვაზედ უფრო ხშირი შემთხ-

ვევა აქვს, გაიგონ ერის ნაწარმოებნი, ამიტომ წერა კითხვის საზოგადოება მათ მიმართავს თხოვნით – ამ კეთილი საქმის შესრულებაში დაეხმარონ.

„ანდაზა ზეპირსიტყვიერების სპეციფიკური დარგია, მას ლექსივით ან ზღაპარივით არ გვიამბობენ. ანდაზას მთქმელი ხმარობს საუბარში, საჭიროების შემთხვევაში, ამიტომ მისი სწავლებაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მოვიყვან გოგებაშვილის აზრს, ანდაზის სასწავლო მასალად გამოყენების შესახებ: „მე წინად მეგონა, რომ ანდაზები არ იზიდავდნენ ბავშვის გონებასა, რომ ბავშვი უბრთხის მათ, როგორც უფრო სერიოზულ ნაწილს, ხალხის ფანტაზიის ნაწარმოებისას, მაგრამ როცა ბავშვთა ცხოვრებას დავაკვირდი, დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. 6-7 წლის ბავშვები ერთმანეთთან ბაასში, თამაშობაში საუბარში თითქმის ისევე ხშირად ხმარობენ ხალხურ ანდაზებს, როგორც დიდები. ყური დაუგდეთ, დააკვირდით ბავშვების სიტყვა პასუხს და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენ სრულს მართალს ვამბობთ. რასაკვირველია ბავშვებს სავსებით ღრმად არ ესმით ანდაზების აზრი, მაგრამ პირველი ხანებისთვის ისიც საკმარისია, რომ ხმარობენ ანდაზას შესაბამის სიტუაციაში და მაშასადამე ნახევრად მაინც აქვთ შეგნებული მათი მნიშვნელობა. ამ სახით მასწავლებლებისათვის, ცხოვრებისათვის მომზადებულია ნიადაგი, ანდაზების ასახსნელად ბავშვებისათვის.“

ანდაზებს ზედგამოჭრილ და ძვირფას მასალად ხდის ორი გარემოება, ჯერ ერთი ის რომ ისინი არიან გამოთქმულნი მშვენიერი უნიკალური ხალხური ენით და როგორც ლექსიკონით ისე სინტაქსით სამაგალითოდ საკითხავს წარმოადგენენ, მე-2 ყველა ანდაზა შედგება ერთი, ან ორი წინადადებისაგან, რომლის წაკითხვა ბავშვს ისე უადვილდება, როგორც უბრალო ფრაზისა.

მაგრამ, არა! მეტად უადვილდება, რადგან ბავშვს ანდაზა ბევრჯერ გაუგონია და ნახევრად მაინც ნაცნობია მისთვის. მათ კითხვას ისიც აადვილებს, რომ ბევრი მათგანი ლექსით არი გამოთქმული, უმეტესწილად მუსიკალურ ფრაზას წარმოადგენენ, ხოლო რამდენად უადვილებს მუსიკა ბავშვს შესწავლას რომელიმე ნაწარმოებისასიქიდან ჩანს, იგი ყველაზე ადრე, სწავლობს პატარა პატრა ლექსებს.

ანდაზა თავისი ფორმით ძალზედ მარტივია, მაგრამ ადვილია თავისი ფორმით და ზოგჯერ მთელ მოთხრობას, იგავ-არაკსა თუ ლექს უტოლდება.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში მოქცეული ანდაზები ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების და საერთოდ ადამიანის ქცევის თითქმის ყველა მხარეს ეხება. ეს ანდაზები თანამედროვე ყოფა ცხოვრებასაც აცნობს ახალგაზრდობასაც და ერის სულიერ სამყაროშიც ახედებს, ამის გარდა, ისინი ხელს უწყობენ მათში დასახელებულ საგნებზე წარმოდგენის შექმნას,

გარკვეული მრწამსის შემუშავებას. დედაენის სასაუბროებში ი. გოგებაშვილს ანდაზები უფრო საგნებსა და მოვლენებზე წარმოდგენათა შექმნის მიზნით შეჰქონდა. დედაენის მეორე ნაწილში სავარჯიშოების შედგენისას კი უპირველეს მიზნად დაუსახავს ყმანვილთათვის მიწნოდებინა მასალა ხალხური ენის შესასწავლად, მისი აზრით სალიტერატურო ენის სწავლება ხალხური ენის შესწავლას უნდა ემყარებოდეს, საამისოდ კი ანდაზები, სწორედ შესაფერ მასალად მიიჩნევდა და ამ გზით ცდილობდა ქართველი ბავშვის მეტყველების გამდიდრებას ჩვენი ენის უმდიდრესი ლექსიკური მარაგით.

ი. გოგებაშვილს დედაენაში შეტანილი აქვს სასაუბროები, მათი სწავლების დროს იგი ოსტატურად იყენებდა ანდაზებსაც, ისინი ზოგი პირდაპირ, ზოგიც ქარაგმით მიანიშნებდა ამა თუ იმ თვისებაზე, მაგალითად: სასაუბრო ცხოველებზე

„თხისა წინიდან გეშინოდეს, ცხენისა უკნიდანაო“;

„ძროხამ იწველა იწველა, ბოლოს წიხლი კრა და ნააქციაო“

„ბედაური ცხენი მათრახს არ დაიკრავსო“

„კვიცი რომ დედის წინ ხტომას დაინყებს, მგელი შეჭამსო“

„ერთმა ტალახიანმა ღორმა, ასი ღორი გასვარაო“

„აქლემები წაეკიდნენ, კოზაკი შუაში გასრისესო“

„აქლემი ისე არ დასუსტდება, რომ ვირის ოდენა ტვირთი ვერ აიკიდოსო“

ი. გოგებაშვილი ზუსტად არჩევდა იმ ანდაზებს, რომ-

ლებიც სასაუბროს თემატურ მხარეს ეხებოდა. სასაუბროებისა და ანდაზების ამგვარი კავშირი მასალის შესწავლასა და განმტკიცებაც ემსახურება. 1875 წელს გამოცემულ დედაენის წინასიტყვეობაში ი. გოგებაშვილი წერდა „სასაუბროებს მისდევენ ანდაზები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მათთან, თითქმის ყველა ანდაზას აქვს ორი პირი, პირდაპირი და ზნეობითი, ზოგიერთი ანდაზებისა ორივე ჰაზრი გასაგებია ბავშვებისათვის, ზოგისა მართო პირდაპირი და ზნეობითი მნიშვნელობა კი, მიუწვდომელია მათთვის, უკანასკნელ შემთხვევაში ზნეობით ჰაზრს სრულიადაც არ უნდა შეეხოს მასწავლებელი (ი. გოგებაშვილი, თხზულებები, ტომი 107)

როგორც ვხედავთ ყველა შემთხვევაში ი. გოგებაშვილი ცდილობს ყმანვილს საგნებს სორის არსებული კავშირი გააგებინოს. ზოგჯერ ის ახერხებს ისეთი ანდაზების შერჩევასაც სადაც განსხვავებული საგნები ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს, მაგალითად: „სანამ თონე ცხელია, პური ჩააკარიო“ „მჭედელს დანა არა ჰქონდა და ფეიქარს ხელსახოციო“ „როგორც ქუხს ისე არ წვიმსო“ როგორც ტყეა იმისთანა ნადირი გამოხტისო“

„რკინას ჟანგი სჭამს კაცის გულს დარდიო;“ თონისადა პურის, წვისმისა და ქუხილის, ტყისა და ნადირის, რკინისა და ჟანგის ურთიერთჩვენებით გოგებაშვილი ბავშვებს უვითარებს საგნებთა შორის კავ-

შირის დამყარების უნარს. საგნებსა და მოვლენებს შორის მსგავსება განსხვავების, მათი ურთერთდამოკიდებულების შეცნობის გზით, ბავშვს დაფიქრებისა და ძიების საშუალებას აძლევს. ასეთი ანდაზები ლოგიკური აბსტრაქტული აზროვნების სინთეზის გზით, ხელს უწყობს მოსწავლეებში ფანტაზიის განვითარებას, წარმოსახვისა და ფანტაზიის უნარი კი თავის მხრით ყმანვილებს აქტიურობისა და ინიციატივობის ჩამოყალიბების პირობას უქმნის, ზოგჯერ ანდაზაში დასახელებულ საგნებს პირობითიმნიშვნელობა აქვს ისინი მხოლოდ მათში გატარებული იდეის წარმოსახვის საშუალებას აძლევენ ბავშვებს. მაგალითად „მამიდასაც ვანხავ, კვიცსაც გახედნიო“ მამიდა და კავიცი პირობითი პერსონაჟებია, რომელთა მეშვეობით ხალხი აყენებს აზრს, რომ შესაძლებელია ორი საქმის მიზანშეწონილად შეთავსება. ანდაზაში-„სამწვადე ისე შეწვი, არც მწვადი დანვა, არც შამფური“ ხორცი და შამფური იმის საშუალებათაა, რომ გატარებულ იქნას აზრი – ყოველ საქმეში სიფრთხილისა და ზომიერების გრძნობათაა საჭირო. ანდაზაში – „წინა კაცი უკანა კაცის ხიდია“, ის მშვენიერი აზრია ჩადებულნი, რომ ყველი ადამიანი თავისი ცხოვრებით შთამომავლობის მაგალითია დამომავალ თაობას გზაკვალს უკვალავს.

უამრავი მსგავსი ანდაზის სახელმძღვანელოში შეტანით გოგებაშვილმა ხაზი გაუსვა

ზემოთ უკვე აღნიშნულ თვალსაზრისს: ანდაზას ორი ღირსება აქვს – ესაა ცნობები საგნებსა და მოვლენებზე, ზნეობაზე, ბუნებაზე და სხვა, მეორე- ალზრდის იდეები. ამგვარად გოგებაშვილს სახელმძღვანელოში შეტანილი აქვს არა მხოლოდ გონებამახვილური, არამედ ისეთი ნადაზები, რომლებიც გარემო სინამდვილისა და ადამიანის შინაგან სამყაროზე სწავლებასაც შეიცავს, ანდაზათა თითოეული ნიმუში თავისთავად შეიცავს ზნეობრივსა და გონებრივ ელემენტებს.

ერთი რიგირს ანდაზებში იგი კიცხავს სიძუნწეს, სიხარბეს, ამხელს ღვარძლისა და შურის უსაფუძვლობას.

„მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიჰქონდაო“,

„ქვეითი ცხენოსანს დასცილოდაო“,

„ავი ძალლი არც თვითონ ჭამს არც სხვას აჭმევსო“

„თურაშაულის პატრონი, ტყეში დაექებს კენკრასა“

„მაძღარს, მშიერიც მაძღარი ეგონაო“

მომხვეჭელობის წინაარმდეგ არის მიმართული ანდაზები:

„გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდოო“,

„მორთული ტიტველს პერანგს ხდიდაო“,

„რწყილს დაანვენს და აქლემს აშობინებსო“,

„ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო“,

„ყვავს თვალი არ ება და ღმერთს წამწამებსა სთხოვდაო“,

„ყვავს რა ქჰონდა და ბუზს გაჰქონდაო.

სახელმძღვანელოში არის ანდაზები ქურდობის საწინააღმდეგოდ:

„ჯოხს რომ აიღებ, ქურდი კატა მაშინვე აიპარებაო“,

„აქლემისა და ნემსის ქურდი, ორივე ქურდიაო“,

„ქურდი ფიცზედ მზად არიო“ ანდაზების გამოყენებით, ი. გოგებაშვილი აღვივებს ზიზღს უსამართლობის წინააღმდეგ

„პანღურიმენყინება და არ მეტკინებაო“,

„ვირის წიხლი არ უნდა გენყინოსო“,

„კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“,

„სადაც შავარდენი ბუდობს, მტრედი ვერ გაიხარებსო“,

„ერთმა ტალახიანმა ღორმა, ასი ღორი გასვარაო“,

„ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო“,

ი. გოგებაშვილის მიერ გამოყენებულ ანდაზებში, მხილებულია საზოგადოებრივი ყოფის სხვა მანკიერი მხარეებიც, საამისოთ იგი იყენებს ანდაზებს, რომლებშიც გაკიცხულია ბოროტება, გონებაშეზღუდულობა, სიზარმაცე, გაუტანლობა, ძალმომრეობა, შეურთიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი. მაგალითად, „მიმწარავი ძალლი უარესია, მყეფარზეო“,

„მზეს ვინც ტალახს ესვრის, მასვე თავზე დაეცემაო“,

„დო ჭამიას დო აგონდებოდა, ყველიჭამიას ყველიო“,

„ყბედი მუნჯმა მოღალაო“,

„ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო“,

„ციხე შიგნიდან გატყდებაო“,

„ძალა აღმართს ხნავსო“,  
„ჩათრევას ჩაყოლა ჯობია“  
და სხვა მრავალი.

ი. გოგებაშვილის ღრმა რწმენით შრომის მოყვერაობა სიკეთის წყაროა, შრომის სიყვარულსა და უნარზეა დამოკიდებული ადამიანის მომავალი, საამისოდ სახელმძღვანელოში თავმოყრილია ანდაზები, რომლებიც ბავშვს უქადაგებენ, შრომისა და სწავლის უპირატესობას. სიკეთის რწმენას, ერთობისა და მეგობრობისაკენ სწრაფვას:

„ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიაო“;

„სწავლა კაცს, სიბერემდინ არ მოსჭარბდებაო“;

„ბუზი ბევრი ბზუის ფუტკართან ყველა ტყუისო“;

„მგორავ ქვას ხავსი არ მოეკიდებაო“;

„ქოთანი გაგორდა, სარქველი იპოვაო“

„ობლის კვერი ცხვა ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“;

„მარტოხელა კაცი, პურის ჭამაშიც ბრალიაო“

„ხელი ხელს ბანს ორივე პირსაო“;

თავშეკავებულობას, მოჭირნეობა-ყაირათიანობას, ზომიერების გრძნობას ქადაგებენ ანდაზები:

„სადაც არ იყოს ცოტა კმარიყოს“

„ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო“

„ურემს მეტს დაუდებენ, ჭრიალს დაინყებსო“

„დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოდ ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი“

„მუცელსაქორებ-ქორია, ალორებ-ლორიაო“;

„ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგებისას შეგრცხვესო“;

ანდაზებიც უნერგავს ბავშვებს ი. გოგებაშვილი გამტანობის, გულისხმიერებისა და ერთიანობის გრძნობას:

„ხელი ხელსა ბანს, ორივე პირსაო“;

„მობარებული, მგელმაც შეინახაო“;

„ცალი ხელით ტაში არ დაიკვრებაო“;

„ნისქვილის ქვები ერთმანეთს, რომ არ ეხმარებოდეს, ცალმა რაც უნდა იბრუნოს ვერას დაფქვავსო“;

„რომელი თითიც არ უნდა მომჭრან ყველა ერთნაირად მეტკინებაო“

„მადლი ქენი მარილიც მოაყარეო“

„კაცი კაცის წამალიაო“

„რკინას ჟანგი სჭამს, კაცის გულს დარდიო“

საქმეში წინდახედულობას აჩვენებს ბავშვს შემდეგი ანდაზები:

„ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო“

„შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“

„ვინც მოითმენს ის მოიგებსო“.

სიფხიზლესა და მოსაზრებულობას უნერგავს შემდეგი ანდაზები:

„ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“;

„ციხეს კარი უნდა, კარს უკან კაციო“;

„სიმართლეს, სინდისიერებასა და პატიოსნების სიყვარულს აჩვენებს ანდაზები:

„მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო“,

„ნამუსიც კარგი საქონელიაო“.

თუ ყურადღებით დავაკვირდებთ 1912 წელს გამოცემულ დედა ენას, დავრწმუნდებით, რომ ისეთი მოთხრობების რიცხვი, რომელიც ანდაზებზეა დაწერილი ორმოცს აღემატება.

ერთი და იგივე აზრი ჯერ პატარა მოთხრობებით არის გადმოცემული და შემდეგ ანდაზითაა ილუსტრირებული. ზემოთ აღნიშნული მოთხრობები ეხება ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

მათში ბუნებრივად მჟღავნდება, ავტორის სიმპატია ანტიპატიები, თითოეული ეს მოთხრობა გამსჭვალულია ჰუმანიზმის ნიშნით,

გოგებაშვილმა მიზნად დაისახა ამ პატარა მოთხრობებით ემხილებინა ადამიანთა მანკიერი, მახინჯი მხარეები, გაემართრახებინა და დაესაჯა საზოგადოების ცბიერი, ძუნწი, ბოროტი, გულცივი, ამპარტავანი, ხარბი, ანგარებიანი და უზნეო წევრები. ახალ თაობაში აღეზარდა ზიზლი და უნდობლობა მათ მიმართ, ამით იგი ცდილობდა აემალეზებინა საზოგადოების ზნეობრივი შეგნება, გამოესწორებინა ის მახინჯი და ბოროტი რაც მავნე სენივით შეჰპარვოდა საზოგადოებას, გულს უღრნიდა ერს, ხელს უშლიდა მის განვითარებას, ერთიანობასა და სიმტკიცეს.

ფოლკლორულმა მასალამ გოგებაშვილის პედაგოგიურ პრაქტიკაში ღრმა მეცნიერული გამართლება ჰპოვა, თუ მანამდე ფოლკლორის გამოყენებას ნახევრად სტიქიური ხასიათი

ჰქონდა, იაკობ გოგებაშვილის ხელში, იგი აღზრდის მძლავრ იარაღად იქცა.

როცა ანდაზებზე ვსაუბრობთ, ხშირად ვეკითხები ხოლმე ჩემს მოსწავლეებს, როდის, რა სიტუაციაში გამოადგათ ესა თუ ის ანდაზა. ბავშვები დიდი ხალისით ჰყვებიან, მინდა მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითი: ავთო – „ჩემი დეიდა შოკოლადის ქარხანაში მუშაობდა, ერთხელ მან ძალიან ბევრი შოკოლადი მოიტანა და მითხრა, რამდენიც გინდა ჭამეო, მე ტკბილეული ძალიან მიყვარს, იმდენი კანფეტი ვჭამე, რომ სიცხე მომცა. მეუბნებოდნენ ამდენი კანფეტი, რომ შეჭამე იმის ბრალიაო. მე ჩუმჩუმად ისევ ვჭამდი ბებიამ შემამჩნია და ეს ანდაზა თქვა: „მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდაო“.

სოფო – „ჩვენ სოფელში ბოჩოლა გვყვავს, მე ძალიან მიყვარს. როცა ბებოს ძროხის წველაზე ვუყურებ, ერთხელ როცა ბებია ძროხას წველიდა, ბოჩოლამ ფეხი აიქნია და რძე დაღვარა, მე ეს ანდაზა გამახსენდა: „ძროხამ ინველა, ინველა, ბოლოს ფეხი ჰკრა და წააქციაო“ ამ შემთხვევამ ჩამაფიქრა და მივხვდი, შეიძლება ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთო, მაგრამ ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა, ყველაფერი გააფუჭოს.

ლალი – „მათემატიკის საკონტროლოში ნათიამ შეცდომა დაუშვა, მეორე საკონტროლოს დროს მეც ასეთივე შეცდომა უნდა დამეშვა, ის ის იყო მაგალითი შეცდომით უნდა დამეწერა, რომ ნათიას შეცდომა

გამახსენდა და ყველაფერი სწორად დავწერე. ანდაზაც გამახსენდა „ნინა კაცი უკანა კაცის ხილიაო“

თათია – ერთხელ ბაზრობაზე 5 ლარიანი ვიპოვე, ძალიან გამეხარდა და დავინყე გეგმების შედგენა, რაში დამეხარჯა ეს ფული, სახლში რომ მივედი, ფული ველარ ვიპოვე, ეს ჩემს ძმას მოვუყევი, გაეცინა და ეს ანდაზა მითხრა“, ქარის მოტანილს, ისევ ქარი წაიღებსო“.

გიორგი – ერთხელ ზეიმისთვის ვემზადებოდით, მე მასწავლებელს ორი ბუშტი მივუტანე, ნითელი და ყვითელი, მასწავლებელმა ბუშტები მაგიდაზე დადო, ცოტა ხნის შემდეგ ნითელი ბუშტი გაქრა, ვეძებეთ, მაგრამ, ვერსად ვიპოვეთ, ჩვენ კახას ჩავაცვივდით შენ ხომ არ აგილიაო, ცოტა ხნის შემდეგ ეტყობა ველარ მოითმინა და ბუშტის გაბერვა დაიწყო, ამაზე იტყვიან, „ქურდი უმალ დაიფიცებოსო“ ან „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“

მაია – ერთხელ მე და თეას კამათი მოგვივიდა, მე ისეთი რამე ვუთხარი, რომ თეამ ტირილი დაიწყო, ეს ამბავი დედისკომ გაიგო და ასე მითხრა – შენ ხომ გაგიოგონია ანდაზა „ჩხუბში ისეთ რამეს ნუ იტყვი, შერიგებისას, რომ შეგრცხვესო“ მე და თეა შევრიგდით, მაგრამ მე მაინც მრცხვენია ჩემი საქციელის.

ქეთი- ჩვენს მეზობელს სოფლიდან ერთი ტომარა კაკალი გამოუგზავნეს, ნინო დაიდას დიდხანს ედო ეს ტომარა აივანზე, დედიკომ უთხრა გაარჩიე, თორე ჭია გაუჩნდებაო,

ეტყობა, ნინო დაიდას გარჩევა ეზარებოდა, თანაც გარჩეული კაკალიც ბლომად ჰქონდა, დედიკომ უთხრა, მომეცი ეს კაკალი, გავარჩევ, მენანება არ გაფუჭდესო, შენც იხმარ და მეცო, ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, მეზობელმა როგორ გადაყარა ჭია გაჩენილი კაკალი ბუნკერში, მე გული დამწყდა და გავიფიქრე „ავი ძალღი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო“

რუსუდანი-ერთხელ საკონტროლო გვქონდა, ჩემმა ამხანაგმა თქვა, ძალიან ძნელი საკონტროლო იქნებაო, მე ძალიან მეშინოდა, ვაითუ სავარჯიშოები ვერ გავაკეთო და ცუდი ნიშანი მივიღო მეთქი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა, ყველამ კარგად დავწერეთ და კარგი ნიშნებიც მივიღეთ, მე ჩემს ამხანაგს ვუთხარი“, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს მეთქი“.

მარი – ჩემს მეზობლად ოჯახი ცხოვრობს, დიდი ზეიმით მოიყვანეს რძალი, შემდეგ სულ ჩხუბობდნენ და ჩვენი მეზობელი დეიდა მარინა სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად, ბებიას გული წყდება, რომ მარინა დეიდა უკვე ჩვენს მეზობლად აღარ ცხოვრობს და ხშირად ამბობს ანდაზას „გარეული მოვიდა, შინაური გააგდოო“.

მაკა – დედამ ბლოკნოტი მაჩუქა, რომელიც პატარა ბოქლომით იკეტებოდა, ძალიან მიხაროდა, მაშინვე დავინყე ბლოკნოტში რაღაცეების ჩანერა თეონას ჩემზე ადრე ჰქონდა ასეთი ბლოკნოტი, იმდენი მეხვეწა იმდენი მეხვეწა რომ ეს ბლოკნოტი მას მივეცი, დედამ რომ

გაიგო, ასე მითხრა, „მორთული ტიტველას პერანგს ხდიდაო“.

გოგა – ჩემი ამხანაგი სულ ნატორბდა ნეტავ ლატარიაში, რამე მოვიგოო მაგრამ ბილეთი არ ჰქონდა, მე ერთი ანდაზა გამახსენდა და ვუთხარი „ყვავს თვალები არ ჰქონდა და ღმერთს წამწამებს სთხოვდაო“ მან ბევრი იცინა და მკიცხა ეს რატომ თქვიო, მე ვუთხარი ბილეთს თუ არ იყიდი როგორ მოიგებ მეთქი.

კახა – ჩემი კლასელი ხშირად არ ასრულებს დავალებებს, როცა მასწავლებელი დავალებებს გვიმონმებს ხან რას მოიმიზეზებს, ხან რას, მასწავლებელი ეუბნება, ეს მიზეზები რატომ არ დაგელიაო მე კი ეს ანდაზა მახსენდება „ზარმაცისთვის ყოველი დღე უქმეაო“.

ქეთი – ერთხელ გულიკო დეიდა გვესტუმრა, მან კანფეტების ჩამორიგება დაგვიჩყო, ბავშვები მიესივნენ, მე კი განზე დავდექი, ამდენი კანფეტი იქნებ არ ჰქონდეს გულიკო დეიდაა მეთქი, მან კანფეტები ჩამოარიგა და ბოლოს ყველაზე დიდი და ლამაზი კანფეტი მე შემხვდა, მან გაიცინა და თქვა – ვინც მოითმენს ის მოიგებსო.

თინიკო – ერთხელ მე და ჩემი ძმა სკოლაში მივდიოდით, დილით საუზმობა ვერ მოვასწარი, ვიფიქრე წავიღებ ყველსა და ლავაშს და გზაში შევჭამ მეთქი, უცებ გამახსენდა რომ სახლში რალაც დამრჩა, ყველი და ლავაში ჩემს ძმას მივეცი და სახლში შევბრუნდი, როცა დავბრუნდი ჩემმა ძმამ ყველი და ლავაში შეჭმული დამახვედრა, მე

ვუთხარი, შე მსუნაგო „მობარებული მგელმაც შეინახა მეთქი“

აჩიკო – ეზოში მე და ჩემი ამხანაგები ერთმანეთს ვეჯობრებოდით ველოსიპეტებით, მე მინდოდა ყველასათვის გამეხსნრო, ძალიან მოვიწოდებო, დიდი სისწრაფით გავაქორლე, აივანს დავეჯახე, ველოდან გადმოვარდი და თურმე გონი დავკარგე, როცა ამ ამბავს გამახსენებენ, სულ ეს ანდაზა მახსენდება, „მეტისმეტი ბრეტისბრეტიო“.

შელვა – ერთხელ დეიდასთან სტუმრად ვიყავი, იქ ეზოში დავინახე დიდი ველოსიპეტი, დავინწყე ზედ აძვრომა, დეიდამ მითხრა, არ დაჯდე მაგაზე, გაფუჭებულიაო, მე არ დავუჯერე, ველოსიპეტი წაიქცა და თავი გავიტეხე, ნაჭრილობები დღესაც მაჩნია, როცა სარკეში ჩავიხედავ და ჩემს ნაჭრილობებს დავინახავ, ჩემს გულში ვეუბნები ჩემს თავს – „რაც მოივა დავითაო ყველა შენი თავითაო“.

ბექა – ერთხელ ავთო ბიძია გვესტუმრა, როცა წასვლა დააპირა სთხოვს არ წახვიდო, ავთო ბიძიამ კი უთხრა: „დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა დაგაგვიანდა სპილენძად გადაიქცევი“ როცა წავიდა მამიკოს ვკითხე, მამი მართლა სპილენძად შეიძლება გადაიქცეს სტუმარი მეთქი, მამამ მითხრა, ადამიანმა თავისი სტუმრობით ისე არ უნდა მოგაბეზროს თავი, რომ ფასი დაკარგოსო.

**მარიამ კუჭულაძე,**  
**სსიპ ქ. რუსთავის №23 -**  
**საჯარო სკოლის პედაგოგი**

## ქართული უიქის წიგნ-პითხვის გაქვეყნების საზოგადოების 140 წლისთავთან დაკავშირებით

# უიქი ქართული, უიქი ქართული

ყოველი ადამიანი იმსახურებს შექებას, – ვინც თავის თავი აცოცხლა – დევიზით „განათლდი“, მაგრამ მეტადრე დასაფასებელია ის, ვინც უფრო დიადი მიზანი დაისახა: „განათლე ხალხი“ და მთელი ცხოვრება უდრტვიწველად ვლო ღირსებისა და პატიოსნების კვალდაკვალ.

სწორედ ამ მისიით შეიკრა მეცხრამეტე საუკუნეში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებას, აგრეთვე, ჩვენს საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივების საქმეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოების პირველი (დამფუძნებელი) სხდომა 1879 წლის 15 მაისს ჩატარდა საზოგადოებისა და გამგეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მის მოადგილედ ილია ჭავჭავაძე, წევრებად ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი და რაფიელ ერისთავი. 1882-1885 წლებში თავმჯდომარე იყო ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი. 1885–1907 წლებში საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე. მისი თავმჯდომარეობით ახლად არჩეული გამგეობის წევრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი ქართველიშვილი, გიორგი იოსელიანი, ალექსი მირიანაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ვასილ ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, ანტონ ფურცელაძე და ალექსანდრე ჭყონია. საზოგადოების მდივნებად ამ პერიოდში მუშაობდნენ იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ასევე შეიქმნა რეგიონალური განყოფილებები.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილებები.

მთავრობის მიერ 1907 წლის 21 მარტს დამტკიცდა ქმნკ ახალი წესდება, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წელს შეუდგენია დავით კარიჭაშვილს და გამგეობისთვის წარუდგენია განსახილველად. ამ წესდების 25-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საზოგადოებას უფლება აქვს რაიონებში გახსნას ადგილობრივი განყოფილებები, სადაც საჭიროდ დაინახავს, ხოლო ყოველი განყოფილების გახსნის შესახებ უნდა შეატყობინოს თბილისის გუბერნატორს“.

მანამდე საზოგადოება რაიონებთან ურთიერთობას რწმუნებულების საშუალებით ახორციელებდა. ეს განყოფილებები თან-

დათან ასე და ამ დროს გაჩნდა: ბათუმი – 1909 წლიდან; ბაქო – 1909 წლიდან; თელავი – 1909 წლიდან; კავკასი – 1909 წლიდან; სამტრედია – 1909 წლიდან; სენაკი – 1909 წლიდან; სოხუმი – 1909 წლიდან; ქუთაისი 1909 წლიდან; ყვირილა – 1909 წლიდან; ჭიათურა – 1909 წლიდან; ხონი – 1909 წლიდან; ბორჯომი- 1910 წლიდან; ფოთი – 1910 წლიდან; გორი – 1912 წლიდან; გუდაუთა – 1912 წლიდან; ზუგდიდი – 1912 წლიდან; ლიხაური – 1912 წლიდან; ოჩამჩირე – 1912 წლიდან; ცხინვალი – 1914 წლიდან; არმავირი – 1915 წლიდან; ლანჩხუთი 1915 წლიდან; ალექსანდროპოლი (ლენინაკანი) – 1916 წლიდან.

ამ პერიოდში ქუდზე კაცი გამოდიოდა საქართველოს ყველა კუთხის გასანათლებლად, ახლა წიგნი და ცოდნა იყო ჩვენი მხსნელი და ამიტომაც შეირჩა ღირსეული ადამიანები, ქმნკ საზოგადოების აქტიური წევრები 1880 წლიდან 1923 წლამდე. რეგიონებში შექმნილმა განყოფილებებმა უდიდესი საქმე გააკეთეს და მათ შორის გამონაკლისი არც აფხაზეთი ყოფილა.

(ილია ჭავჭავაძის ჩასვლა აფხაზეთში და ეროვნული სულისკვეთებით ანთებული საზოგადოება, ალბათ, მის წიაღში – ბატონი ივანე გეგიაც მოიაზრება)

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ“. ნიშნიანძის ეს სიტყვები როგორ დაავინყდება მას, ვისაც ქართული სისხლი უაფხაზეთოდ ძგერის ნებას არ რთავს? ისინი ახლა განსაკუთრებული სიცხადით მოიპოვებენ ჟღერადობას და მტკიცედ გვარწმუნებენ იმაში, რომ საქართველოს ყოველ გამოძახილს კვლავ და კვლავ პასუხობს, მიუხედავად საზღვრებისა და მავთულხლართებისა, რადგან იქ ყოველთვის ფეთქავს ქართული სული. ასე იყო ძველად. აფხაზეთი სწრაფი რეაქციით გამოეხმაურებოდა ხოლმე ეროვნული იდეით გამსჭვალულ მოღვაწეებს. ასეთი კავშირი კვლავ მოსალოდნელია, თუ დღის სინათლეზე გამოვლენ გაბედული პატრიოტები და გონივრული ტაქტიკით გამოიწვევენ გამაერთიანებელ სვლებს მშვიდობისა და აღორძინებისთვის.

ასე მოხდა მაშინაც. ილიასა და აკაკის მონოდებას აქტიურად გამოეხმაურა აფხაზეთის საზოგადოება, საუკუნის დამდეგის აფხაზეთის თვალსაჩინო მოღვაწეთა გვერდით: გიორგი შარვაშიძე (1846-1918), დავით ჩქოტუა (1849-1929), თედო ჟორდანი (1854-1916), პეტრე ჭარაია (1861-1919), ამბროსი ხელაია (1861-1927), თედო სახოკია (1868-1956), ნიკო ჯანაშია (1872-1918), აკაკი ჩხენკელი (1874-1959) და სხვ. ივანე გეგია ჩნდება აფხაზეთში ქართული სულისა და აზროვნების გამღვივებელი, მრავალმხრივად ერუდირებული და მონდომებული მოღვაწე – ივანე კონსტანტინეს ძე გეგია.

როგორც ივანე გეგიაზე შექმნილმა ნაშრომებმა აჩვენა, ამ საზოგადო მოღვაწის ცხოვრება და მრავალმხრივი საქმიანობა დამაჯერებლად არის შესწავლილი, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ

დაინტერესებულ პირებს მიეწოდება, მაგალითად საუნევერსიტეტო არქივებს, ლექტორ-მასწავლებლებსა და დაინტერესებულ სტუდენტებს. აფხაზეთში, კერძოდ კი სამურზაყანოში, მისი უდიდესი ღვან-ლის შესახებ ფართო საზოგადოებას როდი მოეხსენება. არც სხვა მასობრივ საშუალებებს გაუშუქებიათ ღვანლმოსილი პედაგოგის საქმიანობა. სინამდვილეში კი, აი როგორი მდიდარი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი გახლავთ იგი: ივანე კონსტანტინეს ძე გეგია დაიბადა 1861 წელს, სამეგრელოში, გლეხის ოჯახში. 1865 წელს ივანეს მამა საცხოვრებლად გადმოსულა სამურზაყანოს ოლქის სოფელ ოქუშში.

სოფელი ოქუში – მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გალის რაიონში, მდინარე ოქუმის ნაპირას. ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე, გალიდან 25 კილომეტრის დაშორებით. მისი ჩრდილოეთი ნაწილი გორაკ-ბორცვიანია, სამხრეთი – ვაკე. ოქუში 1840 წლიდან ისტორიული სამურზაყანოს ცენტრს წარმოადგენდა, 1906 წლიდან ცენტრი გადატანილ იქნა დაბა გალში, რომელიც 1932 წელს ქალაქი გახდა. სახელწოდება „ოქუში“ უკავშირდება სელის მეგრულ სახელს „ქუმუ“. შესაძლოა, ის ჭვავის ძველქართული სიტყვის „ქუბი“-ს შესატყვისიც იყოს.

1880 წელს ბატონმა ივანემ დაამთავრა ახალ სენაკის სასულიერო სასწავლებლის კურსი, მაგრამ 1885 წელს მამა გარდაეცვალა, ოჯახი დარჩა ახალგაზრდა ივანეს ამარა და რაკი სწავლის გაგრძელების სახსარი არა ჰქონდა, უმაღლესი სასწავლებლის გაგრძელება ვერ შეძლო.

ივანე გეგიას პედაგოგიური და საქველმოქმედო მოღვაწეობა მამის გარდაცვალების შემდეგ: ივანე გეგიამ დაბა ოჩამჩირეში კერძო სკოლა გახსნა და მასწავლებლობა დაიწყო. ეს იყო პირველი სკოლა ოჩამჩირეში, რომელიც შემდეგ ივანეს ენერგიული შრომითა და მეცადინეობით ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა.

შემდგომ მან ხელი მიჰყო თვითგანვითარებას, რისთვისაც ხშირად უწევდა წასვლა თბილისსა და ქუთაისში. აქ ქმნვ გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით ივანე გაეცნო და დაუახლოვდა ისეთ ცნობილ ქართველ მწერლებს, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, იოსებ ოცხელი, იოსებ დავითაშვილი და სხვა. უფრო გვიან ის რევოლუციურ მუშაობაშიც ჩაება. თავიდან მას 20 მოსწავლე ჰყავდა. ყმანვილებს ქართულ და რუსულ ენაზე ასწავლიდა წერა-კითხვას, 1887 წელს ის ინიშნება სოფელ ოქუმის ორკლასიანი სკოლის ქართული ენის მასწავლებლად.

1890 წელს ივანე გეგია სოფელ ოქუშში აარსებს სცენისმოყვარეთა დასს, რომელმაც დადგა დ. ერისთავის „სამშობლო“, გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდი“, რ. ერისთავის დილა ქორნილის შემდეგ,“ ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და სხვა. ამბობენ, ახალგაზრდობასთან ერთად თავადაც შეუსრულებია რამდენიმე

როლი, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ივანე გეგიას ავტორიტეტი სამურზაყანოს მოსწავლე-ახალგაზრდობაში.

ივანე გეგიას სახით ქართულ ენასა და კულტურას დიდი მხარდამჭერი გაუჩნდა აფხაზეთში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რუსულ ცარიზმისა და ძმთა შორის აგრესიის გამჩალებელ ელემენტებს. ეროვნული სიმტკიცის, პატრიოტული სულისკვეთების დანერგვისა და მშობლიური ენის პოპულარიზაციის გამო 1902 წელს ივანე გეგია დააპატიმრეს, თუმცა მალე იგი უხსნია ქართველ მწერალს – ევატერინე გაბაშვილს. პროცესი კვლავ გაგრძელდა და ახლა უკვე – სოხუმის ოლქის ჟანდარმერიამ 1904 წელს ივანე გეგია, როგორც გამოუსწორებელი და მავნე ელემენტი – სამუდამოდ გადაასახლა რუსეთის შორეულ გუბერნიაში. როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირს, სამუდამოდ აღეკვეთა სკოლის მასწავლებლობა, თუმცა 1905 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ გაანთავისუფლეს და სამშობლოს მონყურებულმა თავის რაიონს მიაშურა, სადაც შრომის სკოლაში დაიწყო მოღვაწეობა აგრონომიის მასწავლებლად. ი. გეგია არ შეშინებულა, ის ახლა სხვა მიმართულებით გამოჩნდა საზოგადოებაში და სოფლის მეურნეობაში ჩაბმული, უფრო დაუახლოვდა ხალხს-მშრომელ გლეხობას.

ეს მოხდა იმიტომაც, რომ იაპონიის ომისა და ცალკე რევოლუციური მოძრაობით დასუსტებული თვითმპყრობელობა პოლიტიკურ ტუსაღებს შეღავათს უწევდა, ივანე გეგიას სოფლის მეურნეობაში კიდევ ახალი დარგი შეაქვს – მეთამბაქოობა და მებაღეობა. ცრუმორწმუნე ხალხს აბრეშუმის ქვის სახლში ყოლა დიდ ცოდვად მიაჩნდა, მაგრამ ივანე გეგიას დიდი თორიული პროპაგანდით ეს დაბრკოლებაც დაიძლია.

ოქუმის სკოლა დღეს. ბოლო ინფორმაციის მიხედვით აქ კვირაში ერთი საგაკვეთილო საათი ეთმობა ქართულ ენასა და ლიტერატურას. სკოლა თითქმის რუსულენოვანია. ასეა დღევანდელი სამურზაყანოს თითქმის ყველა სასწავლებელი, მათ შორის საბავშვო ბაღებიც.

განსაცვიფრებელია ერთი ადამიანის მიერ გამოვლენილი მინიციატივები. ივანე გეგიამ მოაწყო სამაგალითო მეურნეობა, მოახერხა ვაზისა და ხეხილის სანერგე ჯიშების გამოყვანა, რასაც უსასყიდლოდ ურიგებდა სოფლის მოსახლეობას. ივანე გეგია სოფლის პირველი მეურნეა, რომელმაც ჩაის ბუჩქი შემოიტანა და გაავრცელა სამურზაყანოში. ამ გარემოებისათვის პირველად ყურადღება მიუქცევია ამ დარგის ცნობილ მეცნიერს პალიბინს შრომაში „Труды по ботанику“ ტომი მე-15 1922.

ამ პერიოდში ივანე გეგია პარალელურად სოფელ ოქუმში ხსნის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, აგებს ამისთვის საკუთარ შენობას, „წერა-კითხვის საზოგადოების დახმარებით, იძენს სათანადო

ლიტერატურას, თვითონ ეწევა ბიბლიოთეკარის მოვალეობას და მის მიერვე აქვე ჩამოყალიბებული დრამატული წრის ხელმძღვანელობასაც.

ივანე გეგიას მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში ბლომად მოიპოვებოდა ჩვენი სახელოვანი ქართველი მწერლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, რაფიელ ერისთავის, და სხვათა თხზულებანი, რომელსაც მოსდევდა 500 კიდევ სხვადასხვა წიგნი, და მათ შორის 2000 თვითონ ამ ბიბლიოთეკის დამაარსებლისგან იყო შემოწირული. აქვე მოიპოვებოდა რუს კლასიკოსთა: ლევ ტოლსტოის, ფეოდორ დოსტოევსკის, მიხეილ ლერმონტოვის, ალექსანდრე პუშკინის, ალფონს დოდესა და სხვათა ნაწერები.

წიგნთსაცავით სარგებლობა უფასო ყოფილა, ხოლო ძირითადი წყარო, მისი არსებობისა, – სანეწრო გამოსაღები და შემოწირულობანი. ჩვენამდე მოღწეულია ცნობა, რომლის მიხედვით მკითხველთა დიდი ინტერესი გამოუწვევია კაზმულსიტყვაობაზე მეტად ისტორიული ჟანრის ნარკვევებს, მაგალითად იაკობ გოგებაშვილის „თავდადებული ქართველები“, რომელშიც ნაცნობი გმირი – „ცოტნე დადიანი იტაცებდათ და თურმე ხელიდან ხელში გადადიოდა.

ამგვარად, ივანეს ავტორიტეტი სოფლის მოსახლეობაში თანდათან გაიზარდა. უნიჭიერეს ადამიანს ბედი მეცხოველეობაშიც უცდია, მის სახელს უკავშირდება სამურზაყანოში ჯიშიანი ღორის მოშენება, კულტურული მევენახეობის(დაბლარის) და ჩაის ბუჩქის გავრცელება თავის კარ-მიდამოში, სადაც საუცხოო მეურნეობა ჰქონია. ცნობილია, რომ ადგილობრივი ჯიშის ტახი შეუჯვარებია წმინდა სისხლის იოშკირის ნეზთან და მიუღია ახალი ჯიში, რომელიც გაცილებით მეტს იწონიდა, ვიდრე მისი წინამორბედი. ხოლო სოფელ ოქუშში მოყვანილი დაბლარი ჯიშის ვენახის მოსავლისაგან დაყენებულმა ღვინომ 1909 წელს თურმე ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოიპოვა ვერცხლის მედალი. ამდენი სასარგებლო ინოვაცია და ყოველგვარი კულტურული წამოწყების თაოსნობა, თეატრი კოოპერატივი, შემნახველ – გამსესხებელი ამხანაგობა, სკოლა, თუ რაიმე სამეურნეო საქმიანობა – სამურზაყანოში ერთი ადამიანის – ივანე გეგიას სახელს უკავშირდება.

ახალი წყობილების დამყარების შემდეგ ივანე მიიწვიეს გალის ცხრანლიანი სკოლის აგრონომ-მასწავლებლად, რომლის მუშაობა მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, სანიმუშო და სამაგალითო იყო. ის პირველი ჩაება აგრეთვე მთელი თავისი მეურნეობით საკოლმეურნეო მშენებლობაში. მან საკუთარი შრომით მოაწყო კოლმეურნეობაში მექათმეობა, მებაღეობა და მეფუტკრეობა. მრავალფერვანი და ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის ხელმძღვანელობისაგანაც რამდენჯერმე დაჯილდოვდა სიგელით, ფულადი სახსრებითა და სხვა სახის პრემიებით.

ივანე გეგია თავის დროზე კალმითაც ემსახურებოდა ხალხს. ის იყო მუდმივი კორესპონდენტი გაზეთების – დროებისა, ივერიისა,

ჟურნალების – ცისკრისა, მოგზაურისა, ჯეჯილისა, ცნობის ფურცლისა, და სხვათა, როგორც პირდაპირი სახელწოდებით, ისე ოდიშელის „ფსევდონიმითაც წერდა, როგორც ეთნოგრაფიულ-საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ხასიათის წერილებს, აგრეთვე ლექსებსაც. მისი ლექსები შეტანილია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ „ქართველი პოეტების ლექსთა კრებულში (1890). „ციცინათელაში“ 1892წ. სამსონ ღონღაძის მიერ გამოცემულ ქართული პოეზიის ნიმუშებში და აგრეთვე ცალკე წიგნად: „ლექსთა კონა“. თბილისი- 1890 წელი. ივანე გეგია გარდაიცვალა 1941 წელს.

როგორც დავინახეთ, ივანე კონსტანტინეს ძე გეგია იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბურჟი აფხაზეთში, დიდი ილია ჭავჭავაძის თანამდგომი, პოეტი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. სწორედ ამიტომ აყენებენ მას XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდ მოღვაწეთა შორის.

გარდა პედაგოგიური და სამეურნეო მოღვაწეობისა, ივანე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. მას მხარი დაუშემვენებია აფხაზეთში თედო სახოკიას მიერ დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციის „ქართული პარტიის“ ელიტისათვის (1895-1904): ანთიმოზ ივანეს-ძე ჯუღელი, გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკი, ივანე გაბრიელისძე ბურჭულაძე, ფარნა ნიკოლოზის ძე დავითაია, სპირიდონ ლევანის ძე ნორაკიძე. საგულისხმოა, რომ საერო პირებთან ერთად, „ქართულ პარტიაში“ განევრიანებულან სასულიერო პირები: დეკანოზი დავით მაჭავარიანი, მღვდელი ბესარიონ ხელაია (შემდეგში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი), მღვდელი აქვსენტი სახოკია, მღვდელი ივანე ჩხენკელი.

ისეთი მისაბაძი და სამაგალითო მამულიშვილი, როგორც ივანე გეგია იყო, მუდამ უნდა ახსოვდეს შთამომავლობას, განსაკუთრებით აფხაზეთის ქართველობას, თვითონ აფხაზებსაც, რადგან მუდამ დიპლომატიური აზროვნებითა და შორსმჭვრეტელონობით გამოირჩეოდა და ზრუნავდა აფხაზური ანბანისა და სასკოლო წიგნების გამოცემაზე.

### **ივანე გეგიას პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა**

XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ივანე გეგიას ღვაწლსა და ამაგს პირველი სერიოზული დამფასებელი და მკვლევარი გამსჩენია ბატონიოთარ ჭურღულიას სახით. მან თავის ვრცელ ნარკვევში „ივანე გეგია“ თურმე, ფართოდ წარმოაჩინა ამ უზადლო პატრიოტი კაცის ცხოვრება-მოღვაწეობის მთელი რიგი ასპექტები. ბატონმა ოთარმა საზოგადოებას წარუდგინა გამოუქვეყნებელი „მოგონებები“, რომელიც ინახებოდა საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმის ფონდებში. ივანე გეგიას დაუწერია 1939 წელს: „ჩემი მოგონებები 1870-იანი წლებიდან დღემდე“. საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმი, ივანე გეგიას არქივი, საბუთი №6280. სამწუხაროდ, ეს არქივი დღეს არ არსებობს. იგი განადგურდა 1991-1992 წლების

მიჯნაზე თბილისში დატრიალებული ტრაგედიის დროს, ცეცხლმა შთანთქა მოგონებებთან ერთად მისი გამოუქვეყნებელი ლექსები, ანდაზები, აფორიზმები, სამურზაყანოს ეთნოგრაფიაზე გამოკვლევა-ნარკვევი და სხვ. ასე რომ, ოთარ ჭურღულიამ 25 წლით ადრე იღბლიანად დაასწრო რუსთაველის გამზირზე უგუნურთა და გაბოროტებულთა მიერ აელვარებულ ცეცხლის ენებს და შემოგვინახა მთელი რიგი საინტერესო ბიოგრაფიული ეპიზოდები ამ დიდებული ქართველისა. მკვლევრის მართებული შენიშვნით: ივანე გეგიას საზოგადოებრივ საზრუნავ საგანს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. სკოლა და განათლება, მშობლიური ენა და გამათავისუფლებელი მოძრაობა, აი, ის საკვანძო საკითხები, რომელთაც უშუალოდ ექვემდებარებოდა მაშინდელი პროგრესული ადამიანების და მათ შორის ივანე გეგიას მთელი მოღვაწეობა. ამ დიდ ეროვნულ საქმეს იგი არა მარტო პრაქტიკულად, არამედ კალმით ხელში იდეურადაც ემსახურებოდა. მკვლევარის ნაშრომში კომპაქტურად, მაგრამ ღრმა შინაარსიანად არის მოხაზული ივანე გეგიას ბიოგრაფიული ესკიზები, მისი თანამშრომლობა ჟურნალ-გაზეთებთან, დაუნდობელი ბრძოლა ცარისტული ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკისა და რეჟიმის წინააღმდეგ, თანამებრძოლებთან ერთად (თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, ნიკო ჯანაშია, ანთიმოზ ჯულელი, ფარნა დავითაია...). მეცნიერი წერს: „ამ ჯგუფის პოზიციები მშობლიური ენის, სკოლისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი პროგრესის დარგში ექვემდებარებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პოზიციებს.“ აქვე მოტანილია ციტატა იაკობ გოგებაშვილის ნააზრევადან:

„სახელმწიფო ენის შესწავლა ხალხს არ მიაჩნია საშიშრად თავის ნაციონალური არსებობისათვის. მკითხველს მოეხსენება, რომ ბევრმა კერძო პირმა იცის რამდენიმე ენა, მაგრამ ეს გარემოება არამც თუ არ ასუსტებს მათში მამულიშვილობას, არამედ კიდევაც აძლიერებს... სახალხო სკოლა მაშინ ხდება საშიში, როცა საგნები ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ სახელმწიფოზე“ აქვე ავტორი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ იაკობ გოგებაშვილის დარად არც ივანე გეგია ყოფილა არასოდეს რუსული ენისა და რუსული კულტურის წინააღმდეგი, ვინაიდან ისინი რუსი ხალხის მონინავე მოაზროვნეების იდეებზე აღიზარდნენ. საგულისხმოა, რომ ივანე გეგიას თავის ბიბლიოთეკაში ილიას, აკაკის, გოგებაშვილის წიგნების გვერდით მოთავსებული ჰქონდა ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის... მხატვრული შემოქმედებითი ნიმუშები რუსულ ენაზე. ისინი ხაზს უსვამდნენ რუსული ენის შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდნენ მშობლიური ენისთვის კუთვნილ ადგილს სასწავლო დანესებულებებსა და სახელმწიფო მმართველობაში”.

სათანადო დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ოთარ ჭურღულია ვრცლად ჩერდება იმ სავალალო ვითარებაზე, რაშიც გან-

საკუთრებით 1893 წლიდან ქართული ენა ჩავარდა აფხაზეთში: აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის გამოძევების დაწყება, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ და „Русское слово“-ს აკრძალვა, რომლის მეშვეობით ბავშვები კარგად ეუფლებოდნენ რუსულ ენასაც; ლევიცკის სახელმძღვანელოს შემოღება, რომელიც „გონებრივად ამახინჯებდა ბავშვებს“ (თ. სახოკია), ასევე დაკანონება უშინსკის „Родное слово“-სი. ოთარ ჭურღულია მხედველობიდან არ უშვებს ივანე გეგიას კეთილ განწყობას უშინსკის „Родное слово“-ს მიმართ. იგი აანალიზებს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს “მცირე შენიშვნა უშინსკის „Родное слово“-ზედ“.

სტატიის ავტორი მალალ შეფასებას აძლევს ამ სახელმძღვანელოს როლს რუსული სკოლების ისტორიაში. თუმცა იგი მიუღებლად მიიჩნია ქართველი მოსწავლეებისათვის, ვინაიდან მასში წარმოდგენილი ლექსიკა სრულიად გაუგებარი ან ქართველი მოზარდებისათვის. ამიტომ თავდადებით ითხოვდა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს დატოვებას. საზოგადოების სკოლების ზედამხედველად დაუნიშნავთ ვინმე ქავჭარაძე. იგი თურმე სასტიკად დევნიდა მშობლიურ ენას რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად, მეფის მოხელეთა საამებლად. ივანე გეგია ხალხში გამოდიოდა და სასტიკად ამხელდა დაქირავებულ აგენტს. თედო სახოკია ამ გადამდგარ ქართველზე წერდა: „მამა ამბროსი კავკასიძის შემდეგ აფხაზეთ-სამურზაყანოში „ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლების ზედამხედველად დაჰნიშნეს მღვდელი ქავჭარაძე. ქართულს ენას სწორედ მამა ქავჭარაძის ზედამხედველად დანიშვნის შემდეგ დაუდგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში“.

„თედო სახოკია წერს: პირველი მსხვერპლი მამა ქავჭარაძესი ოქუშის სკოლის მასწავლებელი ივანე გეგია შეიქმნა – კაცი ერთგული თავისი საქმისა, ყოვლად უნგარო, ყველასი საყვარელი და ყველასაგან გამორჩეული. ეს მასწავლებელი თავისის თანამდებობიდან მაშინვე იქნა გადაყენებული, როგორც კი მამა ქავჭარაძე აქეთკენ გამოჩნდა. ქართული არ უნდა გესწავლებინა სკოლაშიო, სწორედ იმ სკოლაში, რომლის პროგრამაში ქართულს ენას პირველი თუ არა, უკანასკნელი ადგილი მაინც უჭირავს“. გადაგვარებულ ქავჭარაძესთან ერთად თედო სახოკიას არც მისი „აშორდისტი“ თანამოძმე ვინმე ბორის ხორავა „ავინყდება“: „ბატონ ბორის ხორავას ეს ამბავი (სამურზაყანოს სოფლებში ჩატარებული კრებები ქართული ენის სასარგებლოდ – ტ. მ.) რომ გაუგია, დატრიალებულა: – თუ გამოვიჩინ თავსა, ახლა! – შეუდგენია მოხსენება სოხუმის ეპისკოპოსთან, სადაც ამტკიცებს მეგრელთათვის ქართული ენა უფრო ძნელი გასაგები და შესათვისებელია, ვიდრე რუსულიო“. ივანე გეგიაზე დაწერილ თავის ვრცელ ნარკვევში ოთარ ჭურღულია სათანადო ადგილს უთმობს ე. წ. „აშორდისმის“ პრობლემას სამეგრელოში, როგორც ქართული ენის დევნის უმთავრეს იარაღს. ამის შესახებ მკვლევარს ერთი საყურადღებო ნაწყვეტი მოაქვს ივანე გეგიას „მოგონებებიდან“: „აი,

ამ გარემოებამ დამაახლოვა ილიასთან (ი. გეგია ილია ჭავჭავაძის იცნობდა.)

იმ დროს სამეგრელოში მთავრობის დახმარებით მძვინვარებდა აშორდიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სამეგრელოს ჩამოშორება საქართველოსგან და მეგრულ ენაზე წერა-კითხვის შემოტანა სამეგრელოში. რაც შეეხება აფხაზეთ-სამურზაყანოს გარუსების პოლიტიკას, თვით მთავრობის გავლენით ვითარდებოდა. აქ დაწყებული უბრალო ურიადნიკიდან უმაღლესი სამღვდლოება და ადმინისტრაციამდე ქართველებს სდევნიდნენ, ქართულ ენას სკობდნენ სკოლებში, ქართული ენის სწავლებას, რომელ მასწავლებელსაც შენიშნავდნენ, ადგილიდან ითხოვდნენ, რაც მე თვით ორსამგზობით შემხვდა ამნაირი დასჯა. როდესაც ილიას გადაცემედი ამ ნახულ და მომხდარ ამბავს, ღრმად ამოიხვნეშდა და მეტყოდა: არაფერია, ყმანვილო, „они далеко не пойдут, пусть говорят, что хотят“.

თავის ნარკვევში ოთარ ჭურღულია ლაპარაკობს ივანე გეგიასა და მისი თანამოაზრეების მიერ ოქუმიში ჩამოყალიბებულ პატარა რევოლუციურ ორგანიზაციაზე, რომელშიც შედიოდნენ: ივანე გეგია, ნ. შენგელია (მასწავლებელი), ალექსანდრე შენგელია, მ. შენგელია. ამ ჯგუფს კონსპირაცია სასტიკად ჰქონია დაცული. მათ თბილისიდან ლიტერატურას აწვდიდნენ მიხა ცხაკაია, ზაქარია ჭიჭინაძე და თედო სახოკია, მკვლევარს საამისო სათანადო მასალები მოაქვს ივანე გეგია „მოგონებებიდან“. ოთარ ჭურღულიას „ნარკვევებში“ საუბარია ივანე გეგიას, როგორც „გაუსწორებელი და მავნე ელემენტის“ გადასახლებაზერუსეთის შორეულ გუბერნიაში 1904 წლისთვის.

„თავის ნაშრომში ოთარ ჭურღულია მოკრძალებულ ადგილს უთმობს ივანე გეგიას ლიტერატურულ მოღვაწეობას. სტატიის ავტორი წერს: „ივანე გეგიას მხატვრული შემოქმედება, მართალია, არ არის დიდი საკაცობრიო იდეალების გამომხატველი, მხატვრული სიტყვის თვალსაზრისითაც მისი ლექსები არ არის დახვეწილი და სრულყოფილი, მაგრამ, რაც მთავარია, იგი ეპოქის სულისკვეთების გამომახილია. ამიტომ, ცხადია, მათში იგრძნობა რევოლუციური პათოსი, მომავლის მტკიცე რწმენა და თანაც აქა-იქ პესიმისტური განწყობილებაც. მის ლექსებში იგრძნობა, რომ ავტორი ერის უანგარო შვილია, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლი“. ივანე გეგიას ნამოღვაწის პირველ მასშტაბურ მკვლევარს გაუანალიზებია ისეთი ლექსები, როგორიცაა: „ნებას არ მიცემ ჩემს გულის სურვილს“, „ნეტა რათ არის მაგრე სუსტი კაცის გონება“, „ნატვრა“, „გაუმაძღარ სვავს“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „განთიადი“. ამათგან გარკვეული ნაწილი გამოუქვეყნებელი.

ივ. გეგიას ხალხში შეუკრებია აფორიზმები და ანდაზები, დაუხვეწია ისინი და გამოსაცემად გაუმზადებია. სულ არქივში დაცულია 260 აფორიზმი და ანდაზა, რომელთაგან ზოგიერთი საკუთარია, ავტორისეულია. ბევრი მათგანი ძალიან სუსტი და ხატოვანია“. მკვლევარს იქვე დაფიქსირებული აქვს 10-მდე აფორიზმი. სტატი-

ის დასასრულს ნათქვამია: „ივ. გეგიას არქივში ინახება ძალიან საინტერესო ეთნოგრაფიული ნარკვევი სამურზაყანოს შესახებ, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს“. ოთარ ჭურღულის დასკვნით: „მართალია, ივ. გეგიას დიდი კვალი არ გაუვლია ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მდინარე პატარა შენაკადებისაგან შედგება.“ (ტიტე მოსია)

ბატონი ოთარ ჭურღულია ჩემი სწავლების პერიოდში გახლდათ აფხაზეთის უნივერსიტეტის პრორექტორი, ხოლო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას მასწავლიდა ბატონი ტიტე მოსია. შეიძლება თამამად ვთქვა, თუ რაიმეს მივალწიე ცხოვრებაში, ამ სამაგალითო ადამიანებისა და პროფესიონალი პედაგოგების წყალობით შევძელი.

რაოდენ სასიხარულო აღმოჩნდა ჩემთვის, ამ თემაზე მუშაობა, რადგან მესამე თაობად ვითვლები და მომეცა საშუალება, ამ დიდებულ ადამიანებთან ერთად ჩემი რაიონის სასიქადულო კაცის, ივანე გეგიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეზე სიტყვა მეთქვა. უფრო სწორად, ჩემი თანამედროვე ახალგაზრდობისათვის გადამეცა დაწყებული კვლევა. როგორც ბატონი ოთარ ჭურღულია, ასევე ტიტე მოსია ჩემი უსაყვარლესი ლექტორ-მასწავლებლები გახლავთ. ხუთი წლის თანამშრომლობისას, სამწუხაროდ, ჩვენ ამ თემას არ შევხებებვართ, მაშინ აფხაზეთი ყვაოდა და არც გვიფიქრია, რომ რაიმე დაიკარგებოდა. მაღლობა მათ, რომ ასეთი დიდი ამაგი დასდეს მართლაც გასაოცარ სამურზაყანოელ მოღვაწეს – ივანე გეგიას და ამ გაუსაძლისი ომის შემდგომ ბატონი ოთარ ჟორდანიას თაოსნობით გამოიცა ივანე გეგიას ლექსები სათაურით: „გაზაფხულის მოლოდინში“, რომელიც დაისტამბა ოთარ ჟორდანიას საერთო რედაქციით 2011 წელს. ასე შეხვედრილან ისინი ივანე გეგიას დაბადების 150-ე წლისთავს. ეს წიგნი იმიტომ ჩაითვლება უნიკალურ გამოცემად, რომ იგი შედარებით ყველაზე სრულად ასახავს ივანე გეგიას შემოქმედებას.“ როგორც ბატონი ტიტე მოსია იტყობინება, წიგნში თავმოყრილია 46 მხატვრული თხზულება. პუბლიცისტიური და საგაზეთო წერილები, პირადი მიმოწერა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ახალი საარქივო დოკუმენტური მასალები. წიგნს უძღვნის ოთარ ჟორდანიას ვრცელი წერილი – „ივანე გეგია – პოეტი და საზოგადო მოღვაწე“. სხვა საინტერესო ინფორმაციათა შორის ხაზი გაესმის იმ სასიამოვნო ფაქტს, რომ ივანე გეგია პირველთაგანი იყო აფხაზეთის მკვიდრთაგან, რომელმაც თბილისში დასტამბა ლექსების კრებული 1890 წელს: „იგი პირველი და უკანასკნელი წიგნი აღმოჩნდა პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. როგორც გაირკვა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ორი ათეული წლის მანძილზე მიზანმიმართულად უქმნიდნენ დაბრკოლებას მისი ნაწერების ცალკე კრებულად გამოცემას“. ოთარ ჟორდანიას თანახმად: „ივანე გეგიას პოეზია გამსჭვალულია პატრიოტული და ფილოსოფიურ

ესთეტიკური მოტივებით. ქვეყანაში არსებული მკაცრი ცენზურის გამო პოეტის ნააზრევი ალევორიულ-სიმბოლური ხერხებითაა გამოცემული, თუმცა ზოგიერთ ნაწარმოებში დაუფარავად ისმის რევოლუციური მონოდებები“.

## ჩემი ლოცვა

„ღმერთო, შემოსე ძლიერებითა  
შენი მორწმუნე ივერის ერი,  
ერი კეთილი, ერი ჯვარისა,  
შენი ერთგული და ფეხთა მტვერი!  
გულს ჩაგვიმარხე შენი მცნებანი,  
გვალირსე ისევ სულით მშვიდობა,  
ამრავლე ერი შენი მმოსავი  
და დაგვიმტკიცე ძმობა, დანდობა.  
ამრავლე, მამავ, თან დააყოლე  
უშიშრად, მაგრად ფეხზე დადგომა...  
და ნულარ დასცემ მრავალ ჭირნახულს,  
რომ ვერ შეიძლოს კვალად ადგომა“.

„დაჰკარი, ხვედრო, ჩემს ფიქრს ლახვარი  
და გამაღვიძე ოხვრით მძინარი,  
რომ ჩემს ნორჩობას, ეჭვით შემოსილს,  
შეაშრეს ადრე ცრემლი მდინარი“.

„მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, კეკლუცო, ტურფა მხარეო,  
მე ხომ სიამე მომესპო, შენ დასტკბი, გაიხარეო“.

ეს სტროფი ერთმნიშვნელოვნად ჩაგვრთავს დევნილი შემოქმედის პატრიოტულ განწყობაში: პირად ინტერესებზე, სიამოვნებაზე მაღლა სამშობლოს ინტერესების, სიტკბოების და გახარების დაყენება. გადასახლებაში ყოფნა მამულისთვის გაღებულ „მცირე მსხვერპლად“ ესახება, რომელიც გულწრფელად შეწყნარებას ითხოვს მშობელი ქვეყნისგან:

„გული მიკვდება შენმა მზემ, მსხვერპლი ვარ მეტად მცირეო, შენი სანაცვლოდ მიმიღე, გულწრფელად შემიწყნარეო“.

ლექსში „გამოსალმება“ ავტორი სამშობლოსგან, მშობელი ხალხისგან მოითხოვს მოღალატეთა მხილებას, მათივე ჭკუიდან გადაცდომის გამოაშკარავებას. ასევე მოითხოვს უკუღმართთა და ორპირთა მოსპობას, განადგურებას. ივანე გეგიას საუკეთესოდ ესმოდა, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოს არ ჰყოლია იმაზე დიდი მავნე, ვიდრე შინაური მტრები იყვნენ, ე.წ. „მოყვარე მტრები“. დაპატიმრებული პოეტი ოდესიდან მოუწოდებდა თანამემამულეებს: „მოღალატენი ამხილე, ჭკუით შეცდომა მათიო, მოსპე და გაანადგურე ორპირი, უკუღმართიო“. ივანე გეგია ნატრობს მშობელ მხარეში მხოლოდ გამირების, სახელოვანი შვილების, მტრების წინააღმდეგ

მებრძოლი გამოცდილი მეომრების, ერთგული შვილების აღზრდას, რაც კოლხმა დედამ უნდა შეძლოს: („უმღერდე იმას ნანასო“):

„აღზრდიდე მხოლოდ გმირებსა, სახელოვან შვილებსო, შენზე მი-სეულ მტრებისთვის, მეომართ „გამოსალმების“ გარდა, ივანე გეგიას გადასახლებაში ყოფნისას 1904-1905 წლებში კიდეც რამდენიმე ლექსი დაუნერია, „დავლონებულვარ ბედშავი – თავის არ ძალმიძს ტარე-ბა, ნუთუ დევნილსა ბოლომდი, სიცოცხლე გამიმნარდება. წარ-სულის მოგონებითა შემმატებიან წყლულები, თვალები ცრემლში სცურავენ, მოქანცულ-მოღალულები. ვსტირი, დავსტირი ჩემს დღე-სა, ლტოლვილი დავეხეტები, სად გამეთხრება სამარე, სად უპატრო-ნო მოვკვდები. ჩამქსოვებია ხსოვნაში კეკლუც სამშობლოს ველები, თან, მოჩუხჩუხე მალლიდან ანკარა ნაკადულები“.

„ჭაბუკი“ – 1888წ,

„ახალგაზრდობავ, მომავლისა თქვენ ხართ მშობელი,

ნინ გაიყოლეთ აზრი წმინდა, მართლის მფარველი, იშრომეთ, ძენო, მოეხმარეთ სწავლის შეძენას, პატივი ეცით, ნუ ივინყებთ სამშობლო ენას. კვალად დიდებით აღადგინეთ ქართველი ერი, გაიმართენით, გათამამდით, ხართ ნიჭიერი, გამოიღვიძეთ, დრო აღარ გვაქვს ოხვრა-მონყენის, მსხვერპლი იყავით სამშობლოსი და დედაენის“. იგრძნობა, რომ სამურზაყანოელი მგოსანი ახალი თაო-ბის რჩევა-დარიგებაში თავის პატრიოტულ სულს ატანს. ასევე, საინტერესოა, ალეგორიული ლექსი სვავო ტიელო, მომნახე გადაჩეხ-ილი კლდეზედა, ობოლსა ბედმა მიმტყუნა, ლხინი გამართე ჩემზედა.

ივანე გეგიას „განთიადი“, ლექსის სათაურად გამოტანილი, სახავს ქვეყნის გამარჯვების, სამშობლოს თავისუფლების სიმბოლოდ, რა-საც ავტორი მოელოდა 1905 წლის რევოლუციისგან. „რევოლუციის ბობოქარი ქარიშხალი პოეტს ასეთი ლამაზი პოეტური ფრაზებით აქვს წარმოსახული:

„ცა გრგვინავდა, ბობოქრობდა,  
დედამინა შიშით კრთოდა,  
ელვა მარდი ყოველ წამში  
ცეცხლის სვეტად გამოკრთოდა.  
გრგვინვას ჭეჭა ზედ დაერთო,  
საზარელი ხმა ისმოდა,  
ციდან მოვარდნილი წვიმა  
ხმუილითა ძირს ისხმოდა“.

ერთმა ქართველმა პოეტმა მოხდენილად თქვა:

უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ცვალებადია. ივანე გეგიასაც ამ გარდაუვალი კანონზომიერების იმედი აქვს: შეუძლე-ბელია ვითარება არ შეიცვალოს, თვითმპყრობელობის უღელი არ მოიშოროს ერმა, არ განთავისუფლდეს ცარიზმის მომაკვდინებელი მარნუხებისაგან:

„ცა სინათლეს იმოსავდა, ღამეს ეხვეოდა დარდი,  
ტურფა ქალწულს მაგონებდა მომდინარი განთიადი“.  
დავაკვირდი ქვეყანაში რა არ არის ცვალებადი?!  
დღე ნათელსა ღამე მოჰყვა, ღამეს დილა, ცის სინათლე,  
განთიადი გამარჯვების რწმენის, ნათელი მომავლის მომასწავე-  
ბელია ქართველისათვის, „ღამე“ ანუ თვითმპყრობელობა, მოძალადე  
რუსეთი დარდის ბოლში იხრჩობა, ვინაიდან წინასწარ გრძნობს და-  
მონებული საქართველოს ხელიდან წასვლას

„ვით ბრძოლის დროს მეომარი, მოარღვევდა ბნელს ცისკარი,  
ამ წყვდიადში ათასფერად იღებოდა ზეცის კარი“.

„ცელქ სხივებით ამობრწყინდა ქვეყნის მსხნელი მზე დიადი.  
გაჩენის დღეს იწყებდა ღამე ბნელი და წყვდიადი. ახმაურდა  
თა და ბარი, ყველას დილა უხარია, კეკლუც იას თავმომწონედ  
ბუჩქის ახლოს უხარია“.

1885 წელს შექმნილ პატარა ლექსში „შემოდგომა“ ივანე გეგია  
კალმის ერთი მოსმით გვისურათხატებს „გლეხნი საწყლების“ უნუ-  
გეშო ყოფას:

„სამშობლოს ზურგსა ანათებს მთვარე, საღამოს დროზედ  
წყნარად მოარე, რა უნახავი მაშინ მე ვნახე: წინეთ მომედო მრავა-  
ლი მახე. გლეხნი, საწყლები სიმინდს ტეხავდნენ, ქალები ნამგლით  
ჩალასა სჭრიდნენ, მათი ბალები მიწაზე ყრია“.

იმავე წელს ეკუთვნის „ახალ-მოდის ქალი“.

„სამშობლოს ერთგული იყავ, ჩემო ქვეყნის მნათო...

გახსოვდეს ჩვენი წარსული, მიხვდი მომავალსო,  
ყველას ერთად ნუ გაჰყვები შენს წინ მიმავალსო,  
სიმართლისათვის დაჩაგრულს, შვილო, იფარვიდე,  
მტრის რაზმში ჩაერეოდე, სისხლს ველად დაღვრიდე“...

პატრიოტულ მოტივზე შექმნილ „გამოსალმებაში“ დიდაქტიკუ-  
რი შეგონებანი კიაფობს. რუსეთში გადასახლებული მგოსანი, ბუნე-  
ბრივია, სამშობლოსაა მონატრებული.

ერთი სიტყვით, ივანე გეგიას პოეზიაში განფენილია მამულიშვი-  
ლური სიყვარული. მისი იდეალი და ოცნებაა საქართველოს დახსნა  
ცარიზმის რეჟიმის მონობისგან, ღვთის მორწმუნე ქართველი ერისთ-  
ვის ძლიერების მინიჭება, სულის მშვიდობის დამკვიდრება, ღვთის  
მცნებების განმტკიცება, ერის გამრავლება, ქართველებში ძმობისა  
და ურთიერთდანიშნულების გამყარება, ივერიის მტკიცედ დადგომა ფეხ-  
ზე, ქართული ენის დაცვა და გადარჩენა, ქვეყნის სამსახურში კეთი-  
ლი აზრის ჩაყენება, მისთვის სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა.  
შექმნილი ავისმომასწავებელი ვითარებიდან გამომდინარე. პოეტს  
ზოგჯერ უხდება სათქმელის, პატრიოტული გულისტკივილის აღე-  
გორიულ სამოსელში გახვევა.

მგოსანი ჯერ ვერ ეგუება ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც  
გლეხების ყოფა-ცხოვრების გაუარესებას, მამასახლისის, გზირის,  
ვაჭრის, მოხელის, მღვდლის ჩამოკიდებას გლეხთა კისერზე (როგორც  
ამას რაფიელ ერისთავი იტყოდა). გლეხთა ღირსება და უფლებანი

ისე გათელილა ფეხქვეშ, რომ სასიყვარულოდ ქალები არ ეტანებიან („თუნდა რომ იყოს ნახატი“). პოეტი, ამასთანავე, წარმოაჩენს ნათავადართა გროტესკულ სახეს, რომელთაც ხელიდან გამოცლიათ პრივილეგიები. სიმდიდრე, გაზულუქებული ცხოვრება. მორალურად იმდენად ჩამოქვეითებულან, რომ შინ და გარეთ ყველა მტრად ელანდებათ, ცოლებიც კი გაუბიან. პოეტი გლახების ხსნა-გადარჩენას მხოლოდ შრომაში ხედავს, საქართველოს მხსნელი გმირების გამოზრდას მათივე წიაღიდან მოელის.

როგორც ჩანს, ხშირად დაუფლებია ივანე გეგიას გულს პესიმიზმიცა და ბუნების დაუდევრობის განცდა, რაც შეეპარებოდა ხოლმე ასეთ ქარტახილებში გამოვლილ ადამიანს, შეიმჩნევა ისეთი განცდაც, რომ სიჭაბუკეშივე გებადება მწარე განცდა ბავშვობის ხანის განუმეორებლობაზე, სიბერეში კი სიჭაბუკის ხანისა. ეს ოხერი წუთისოფელი სიცოცხლეშივე გვაჩვენებს წარმავლობის განცდას, თუმცა ნიჭიერ პიროვნებას დადგენილი აქვს იარაღი, რითაც უნდა ვებრძოლოთ გულგატეხილობას: ადამიანმა შრომით, დაუდგარი მოღვაწეობითა და ახლის ძიებით უნდა დაამარცხოს დაბრკოლების, უიმედობისა და ნოსტალგიის შემოტევა.

ჩემთვის ეს დასკვნა დიდი სახელმძღვანელო ბარათია. ბატონი ივანე, საბედნიეროდ, არ მოესწრო სოხუმის დაცემას, ძმათა მკვლელ ომს, აფხაზისა და ქართველის გამიჯვნასა და გახლეჩას. დღენიადაგ იძირკვება და ისპობა ქართული სული, იშლება ჩვენი წინაპრების წმინდა ნაკვალები.

### **აფხაზეთი საქართველო!**

ჩემი მშობლების საფლავი სამურზაყანოში, სოფელ ზემო ბარღებშია. აფხაზეთის ომის შემდეგ პირველი აღდგომაა, რომ ველარ ჩავდივარ. მაგრამ რაც დრო გადის, უფრო აშკარად იგრძნობა აფხაზი მოძმის შემრიგებლური ტონი, თანადგომა და სულიერი სიახლოვე. ვხედავ, რომ მათი თვალები სიძულვილს აღარ გამოხატავენ. მიუხედავად იმისა, რომ 56 წლის დედა ომში დამელუპა, მე მზადა ვარ მათ გავუწოდო მეგობრობის ხელი და პირველად პატივი მივაგო მათი ახლობლების, ომის შედეგად განადგურებული აფხაზეთის საფლავს, ერთად აღვავლინოთ ლოცვა და შენდობა ვთხოვოთ უფალს დიდი ცოდვის ჩადენისათვის. ძმათა სისხლი აფხაზეთის მიწას ძვირი დაუჯდა და ერთობლივი წირვა-ლოცვა, მუხლმოყრა და სინანული თუ მოგვცემს მომავლის გააზრების უფლებას.

ოქუმი, გალის რაიონი – ჩემი მშობლიური აფხაზეთი – დღეს სევდასა და ნოსტალგიას აღძრავს, სინმინდეები, საზღვარს მიღმა გვიხმობენ, იქ დარჩენილი ქართველობა დაუზოგავად ებრძვის გადაგვარებას, მაგრამ იმედი მაინც არ ჩამქრალა. ივანე გეგიას შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. ის აფხაზეთის საგანმანათლებლო საქმეს სანთელივით დაუშრეტლად ემსახურა, ამიტომაც, განა შეიძლება, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა ვერ იპოვოს?

**ლორითა შონია**

**ქ. თბილისის ნიჭიერთა სკოლა-აკადემიის პედაგოგი**

# გველეშაპის მლახკრალი ნაინდა გიორგი

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში 1940 წლიდან ინახება ქობულეთის რაიონის სოფ. ცხრაფონას (ჩეხედანა) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი რელიეფური ფილა (ფილის №560) გველეშაპის მლახკრელი წმინდა მხედრის გამოსახულებით(70X60X8 სმ.).

ცხრაფონას ეკლესია მდებარეობს ქობულეთიდან 15 კმ-ის დაშორებით ჩოლოქის აუზის მდ. ცხრაფონას ხეობაში, რომელიც დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ლელვას სასოფლო საბჭოში შედის (ჭიჭილეიშვილი 1996:51).

ტოპონიმიკურად და გურიის სამთავროს საბუთთა მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ცხრაფონას ტაძარი „წმ. გიორგის ამალლების“ სახელზე ყოფილა აგებული (ჭიჭილეიშვილი 1996:51). ის გეგმაში ერთნაიანი ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა საკურთხეველის აფსიდის სამი და დარბაზის კედლებზე გაჭრილი თითო სარკმლით. ეკლესიაში შესასვლელი კი დასვლეთით იყო მოთავსებული. XX საუკუნის 90-იან წლებში თითქმის ერთადერთ ყველაზე კარგად შემორჩენილ დეტალს საკურთხეველისა და დარბაზის გამყოფი თალის ნახევარსვეტთა კაპიტელების შემკულობა წარმოადგენდა (ჭიჭილეიშვილი 1996:51-52). თუმცა ტაძარს ამ პერიოდში რესტავრაცია ჩატარდა. ფასადები ახალი ქვით მოპირკეთდა. ამდენად, ეკლე-

სიამ დაკარგა საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ავთენტური სახე. დასავლეთ ფასადზე შესასვლელის თავზე კი მუზეუმში დაცული წმ. მხედრის კომპოზიციის ასლია მოთავსებული.

ცხრაფონას ფილის რელიეფის ზედაპირი დაზიანებულია, თუმცა ფიგურათა კონტურები გარკვევით იკითხება. კომპოზიცია დაბალი რელიეფითაა შესრულებული და სწორკუთხა პროფილის მქონე ორმაგი ჩარჩო შემოსაზღვრავს. ზედა მარჯვენა და მარცხენა კიდეებში ჩარჩოსა და კომპოზიციას შორის დარჩენილი თავისუფალი არეები ოსტატს დამატებითი კვადრატებით შეუვსია. ფილის ცენტრში ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული წმ. მხედარია გამოსახული, რომელიც დიაგონალურად მიმართული შუბით ცხენის ფეხებქვეშ მოქცეულ გველეშაპს გმირავს. წმინდანის ფიგურა მარცხნიდან მარჯვნივაა მიმართული, სხეული ფასშია მოცემული, ხოლო თავი და ფეხები პროფილში. მას წელში გამოყვანილი მუხლს ქვემოთ დაშვებული კაბა მოსავს, თავზე მაღალი კონუსური ქუდი ახურავს, ხოლო ფეხზე ქუსლიანი ჩექმები აცვია. წმინდანის სახე დაზიანებულია, სახის ნაკვეთებისა და დეტალების გარჩევა შუძლებელია. გველეშაპი სტილიზებულიად არის გამოსახული: მას შედარებით ვიწრო სხეული და ოთხი კიდური აქვს. გრძელი კუდი ცხენის უკანა ფეხებთანადახვეული და წრეს შემოხაზავს.

ფიგურათა განლაგება, გაშეშებული, პირობითი პოზებით გადმოცემული მოძარობა მხოლოდ მოქმედების გამომხატველია და საერთო ჯამში კომპოზიცია სტატიკურობით ხასიათდება. კომპოზიციის საერთო სიბრტყობრივი გადმოცემის მიუხედავად ოსტატი ახერხებს გარკვეული პლანების მონაცვლეობას: შუბი მხედრის და ცხენის სხეულების მიღმა იკითხება; გარდა ამისა მხედრის სხეული ცხენთან შედარებით ოდნავ მაღლაა ამოზიდული, ხოლო წმინდანის უკანა ფეხი ცხენის სხეულის ქვედა სიბრტყეში იკითხება. ფიგურები მოკლებულია ყოველგვარ მოცულობრივ დამუშავებას. მათი სილუეტები ხისტი, კუთხოვანი ხაზით შემოისაზღვრება, სხეულის ფორმები განზოგადებული, სადა სიბრტყეების სახით გადმოიცემა.

ტაძრისა და თავად ფილის მცირე ზომებზე დაყრდნობით ქალბატონ მ. ჭიჭილეიშვილის აზრით შესაძლოა ფილა არა ტაძრის ფასადების შემამკობელი ელემენტი, არამედ კანკელის ნაწილი იყოს. ავტორი იქვე ამბობს, რომ „წმ. მხედრების გამოსახულებიანი კანკელების ანალოგიებისა და ეკლესიის ზომების თანახმად ცხრაფონას ტაძარში მსგავსი ფორმის კიდევ ერთი რელიეფი, შესაძლოა ასევე წმ. მხედრის – წმ. გიორგის გამოსახულებიანი ფილა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი“. ამდენად, „აღსავლის კარის“ გვერდებზე საქართველოში ძალზე გავრცელებული შემხვედრი წმ. მხედრების გამოსახულებები უნდა ყოფილი-

ყო მოცემული. შესაბამისად, მოცემულ ფილაზე წარმოდგენილია გველეშაპის მლახვრელი წმ. თვედორე. ამასთან იკონოგრაფიულადაც ცხრაფონას წმ. მხედარი შეწყვილებულ წმ. მხედრებში გამოსახულ წმ. თვედორეს ემსგავსება - გველეშაპის მლახვრელი მხედარი ხშირად მარცხნიდან მარჯვნივაა მიმართული; ის ყალყზე შემდგარი ცხენით გველეშაპს თელავს, ხოლო დიაგონალურად გამოსახული შუბი ხახაშია ჩარჭობილი. გარდა ამისა თვედორე წმ. გიორგისაგან განსხვავებით წვეროსანი გამოისახება (დადიანი, 2012:138-140). თუმცა დაზიანების გამო ამ დეტალის გარჩევა ცხრაფონას ფილაზე შეუძლებელია.

შუა საუკუნეების ქართულ ძეგლებზე წმ. მეომართა შეწყვილებული, თუ ცალკეული გამოსახულებები თითქმის უწყვეტად გვხვდება. მაგალითად: ბრდაძორის დიდ ქვასვეტზე (VI-VII), ნებელდის კანკელზე, მარტვილის ტაძრის ფრიზზე (VII), გველდესის ქვასვეტზე (VIII-IX), ოლიგინოს კანკელის ფილაზე (X), ვალეს ტაძრის ტიმპანზე (X), ჯოისუბნისა (X) და ნიკორწმინდის ტაძრათა ფსადებზე (1010-1014), ჯავახეთის ახალშენის რელიეფზე (X-XI), სვეტიცხოვლის (XI), ცაიშის ტაძრის (XIII-XIV) და ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის (XVIII) ეკლესიათა ფასადებზე და სხვა. წმ. მხედართა გამოსახულებები ასევე გვხვდება X-XI საუკუნეების ბედიის, ურთხვის, საფარის წმ. საბასა და XIII საუკუნის სათხის კანკელებზე. თუმცა თითოეული მათგანი

ეპოქისმიერი სტილისტური, თუ იკონოგრაფიული თავისებურებებით გამოირჩევა.

ურჩხულთან მებრძოლი ცხენოსანი მხედრის მხატვრული სახის წარმოშობა ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებას უკავშირდება. მასვე უკავშირდება ორი ცხენოსანი მეომრის ჰერალდიკური კომპოზიციაც (ჭიჭილეთიშვილი 1996:54). ცხენოსანი წმ. მხედარი, რომელიც ბოროტ მეფე დიოკლეტიანეს ან გველეშაპს გამირავს შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ყველა ნიმუშზე წარმართობაზე ქრისტიანობის გამარჯვებისა და ბოროტების დათრგუნვის იდეას გამოსახავს. ვეშაპი, როგორც მსოფლიო ბოროტება, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე საკმაოდ პოპულარულია ინდოევროპელთა ესქატოლოგიურ წარმოდგენებში, ხოლო ქრისტიანობაში ეშმაკისა და წარმართობის სიმბოლოდ იქცა, რაც ბიბლიური ტექსტებითაც იყო განპირობებული (დადიანი:138-139). იოანეს გამოცხადებაში ის გვევლინება, როგორც კაცობრიობის მტერი: „და იხილვა სხუაჲ სასწაული ცათა შინა: და აჰა ვეშაპი ცეცხლისაჲ დიდი... და იქმნა ბრძოლაჲ ცათა შინა: მიქაელ და ანგელოზნი მისნი ჰბრძოდეს ვეშაპსა მას, და ვეშაპი და ანგელოზნი ჰბრძოდეს მათ... და გარდამოვარდა ვეშაპი იგი დიდი, გუელი დასაბამისაჲ, რომელსა უწოდების ეშმაკი და სატანა, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა...“ (გამოცხადება. 12:3-9)

ცხრაფონას რელიეფზე განსაკუთრებულ ინტერესს მხედე-

რის გამოსახულება იწვევს. შუა საუკუნეების მკაცრად კანონიკურ ხელოვნებაში წმინდანის გამოსახულების ერთ-ერთ აუცილებელ დეტალს შარავანდი წარმოედგენს. ცხრაფონას ფილაზე წმინდანი შარავანდის გარეშე თავსაბურავით არის გამოსახული. მხედრის ქუდი თავისი მოყვანილობით გვიანფეოდალური ხანის საერო ჩაცმულობაში გავრცელებული სპარსული ყაიდის ზემოთ კონუსური ქვემოთკენ განივრად გადმოკეცილი ტიპის თავსაბურავს ემსგავსება. ასეთი ქუდები ხურავთ კტიტორებს მარტივლის ღვთისმშობლისა და ილორის „ხარის მოყვანის სახის“ ხატებზე – XVII საუკუნის 40-იანი წლები (ხუსკვიცაძე, 1974:41, ტაბ. 10,11,16,17). შარავანდის გარეშე, სხვადასხვა ფორმის თავსაბურავებით გამოსახული წმინდანთა ფიგურები XVII-XVIII საუკუნეების ქართულ რელიეფურ ქანდაკებებზე ანანურის, ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიათა ფასადებზე გვხვდება (ჭიჭილეთიშვილი, 1996:57,58).

მხედრის ტანისამოსის მოყვანილობა გვიანფეოდალური ხანის, მეტწილად ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებზე და ჭედურ ხატებზე წარმოდგენილი კტიტორთა ჩაცმულობის მსგავსია. ასეთი გეომეტრიული ფორმებით მოდელირებული, წელში გამოყვანილი კაბები მოსავთ ანანურის ტაძრის სამხრეთ ფასადზე გამოსახულ ანგელოზებს, მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე წარმოდგენილი მთავარანგელო-

ზისა და წმ. გიორგის ფიგურებს (ბერძენიშვილი, 1983: ტაბ XIV; ბერიძე, 1974:269,270) (ჭიჭილეიშვილი, 1996:58).

გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებში მოქცებნება ანალოგია ხცრაფონას რელიეფზე გამოსახულ მხედრის ქუსლებიან ფეხსაცმელსაც. ასეთი ფეხსაცმელი ხშირად გვხვდება XVI-XVIII საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის, საერო მინიატურისა და ოქრომჭედლობის ნიმუშებზე გამოსახულ საერო პირთა ჩაცმულობაში, რაც იმდროინდელი მოდის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს (ხუსკივაძე, 1974:51). ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარ მასალას დავსავლურ ქართული წარმოშობის ჭედურ ხატებზე წარმოდგენილი ქტიტორთა გამოსახულებანი გვანვდიან (ჭიჭილეიშვილი, 1996:58) (მხეცისძეთა ღვთისმშობლის ხატი, უბისისა და ხარაგოულის, შემოქმედის კარედი ხატები, ყამუშის, ჯუმათის, მღვიმევის XVII საუკუნის ჭედური ხატები; XVIII საუკუნის „წარჩეს მთავარანგელოზთა კრების“, ილორის წმ. გიორგის ხატები, ტყვირის ჭედური ფირფიტები და სხვა (იხ. საყვარელიძე, 1987:ტაბ. 43, 45-47, 52, 54, 60, 61, 64; ხუსკივაძე, 1974: ტაბ.3, 21, 27)). ცხარფონას რელიეფზე წარმოდგენილი მხედრის ფეხსაცმლის ტიპისაგან უფრო წვეტიანი ცხვირით ოდნავ განსხვავდება ანანურის სამხრეთ ფასადზე გამოსახული ერთ-ერთი ანგელოზის ფეხსაცმელი.

ამდენად, ცხრაფონას ეკლესიის რელიეფზე რიგი სახასიათო

დეტალებით გამოსახული წმ. მეომრის ფიგურის მხატვრული გადაწყვეტა გვიანფეოდალურ ხანაში შუა საუკუნეების კანონიკური სქემებისგან ერთგვარი გათავისუფლებისა და საერო ტენდენციების გაძლიერების დადასტურებას წარმოადგენს (ჭიჭილეიშვილი, 1996:58).

ფეხებზე შემდგარი ფრთოსანი დრაკონის გამოსახულება დასავლური ხელოვნების დამახასიათებელი იკონოგრაფიული დეტალია და ქართული ხელოვნების ძეგლებზე შედარებით გვიან ხანაში ჩნდება. ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშად XV საუკუნის წმ. გიორგის მომინაქრებული ხატია მიჩნეული (Хускиваძე, 1981:162-168, ტაბ. XIX). ამავე საუკუნიდანვე ხშირად გვხვდება ჭედურ ხატებზე და პარალელურად თანაარსებობს „გველისებური“ ფორმის გამოსახულებებთან ერთად: XV საუკუნის გულეკარის, თბილისის სიონის, გურჯაანის ჭედურ ხატებზე, ბოდორნას ჯვარზე (Чубинашвили, 1959:629, ტაბ. 519-523), XVI საუკუნის სადგერისა და გორისჯვრის საკურთხევის წინა ჯვრებზე (საყვარელიძე, 1987:51, ტაბ. 20,70), XVII საუკუნის ხონის, 1614 და 1651 წლების ილორის წმ. გიორგის ხატებზე (ხუსკივაძე, 1974: ტაბ. 6<sup>1</sup> - 6<sup>2</sup>, 21). დრაკონის სტილიზებულ ტიპებს ანანურის, საგარეჯოს პეტრე-პავლესა (Чубинашвили, 1948: ტაბ. 27) და „გიგოს საყდრის“ (შმერლინგი, 1949:578) ეკლესიათა ფასადებზეც ვხვდებით, მაგრამ ცხრაფონას ფილაზე წარმოდგენილი ოთხფეხა ურჩხულის გამოსახუ-

ლება ფანტასტიკური დრაკონის რამდენადმე გამარტივებულ ტიპს იძლევა. ცხოველისებური ტანის მქონე ოთხფეხა ვეშაპის ტიპი უცხო არ არის ქართული პლასტიკური ხელოვნების ნიმუშებისათვის, იგი გორის-ჯვრის გიორგი ტრიუმფატორის კომპოზიციაშია გამოსახული (საყვარელიძე, 1987: ტაბ. 70). ფეხზე შემდგარი ნიანგისებური ტანის მქონე გველეშაპის გამოსახულება რელიეფური ქანდაკების ძეგლთაგან სვეტიცხოვლის სამხრეთის ფასადზეა წარმოდგენილი. სვეტიცხოვლის ტაძარზე სხვადასხვა ეტაპის რელიეფებია თავმოყრილი. დრაკონთან მეზობლი მხედრის აღნიშნული კომპოზიცია, ისევე როგორც ზოგიერთი მათგანი, არ არის დათარიღებული. ამ ორნიმუშს ერთმანეთთან აახლოებს პლასტიკურ ამოცანათა უგულვებლყოფა, საერთო კომპოზიციური გადანწყვეტის სიბრტყობრიობა, სქემატურობა, სიმშრალე და ამავე დროს ფორმათა განზოგადებული დამუშავება. ცხვარფონას გველეშაპის მლახგრელი წმ. მხედრის რელიეფი სვეტიცხოვლის კომპოზიციისაგან განსხვავებით XVI-XVII საუკუნეების ქართული ხელოვნების თითქმის ყველა დარგში მომძლავრებული საერო ხელოვნების გავლენითაა გამსჭვალული. იგი უფრო მეტად შორდება პროფესიული დონის ნიმუშებს და დაბალი ოსტატობის კვალსაც უფრო მეტად ატარებს. გვიანფეოდალური ხანის ქართული ქანდაკებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნებით ცხრაფონას

ფილას ბევრი რამ აქვს საერთო მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიის ფიგურულ გამოსახულებებთან, მაგრამ ეს უკანასკნელი, ძირითადად, ხალხური ხელოვნების ნიმუშებით საზრდოობს და შესაბამისად, ფორმის, ფიგურის აგების, პროპორციებისა თუ მოდელირების უფრო განსხვავებულ სურათს იძლევა (ფიგურებს ახასიათებთ პირობითი პოზები, დიდი თავები, პატარა კიდურები, სახის ნაკვთების გრაფიკული დამუშავება და სხვა) (ჭიჭილეიშვილი, 1996:58-59).

XI საუკუნის შემდგომ მივიწყებული ფასადის რელიეფური ქანდაკება გვიანი ხანის ძეგლებზე კვლავ იჩენს თავს, მაგრამ არა ისეთი სიძლიერით, როგორც ადრე. ფიგურული კომპოზიციები მარტივი აგებით ხასიათდებიან, მათში აღარ იგრძნობა ცხოველი მოძრაობები, ფორმათა მოცულობრივი მოდელირების სურვილი. პლასტიკური ხელოვნების სანიმუშო ძეგლების გავლენა მხოლოდ გარეგნულად იჩენს თავს. ამ ეტაპის რელიეფური ქანდაკების ნიმუშებში ისევე, როგორც ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, ფორმის გამოხატვის ტრადიცია ერთიან მხატვრულ-სტილისტურ კონცეფციას არ ეფუძნება. ერთმანეთს ეხამება განზოგადება, დეკორატიულობა, სქემატურობა და სიმშრალე. ამ ზოგადი ნიშნითა და რიგი სხვა ძირითადი დეტალებით ცხრაფონას რელიეფი ახლო ანალოგიებს მართლაც გვიანფეოდალური ხანის ქართული ქანდაკების ძეგლებში პოულობს (ნიჩბისის წმ. ნიკოლოზი - XVI-XVII სს.,

სვეტიცხოველი, ანანური – XVII ს. პეტრე-პავლეს ეკლესია საგარეჯოსთან, „გიგოს საყდარი“ ყინწვისთან – XVII-XVIII სს., თბილისის სიონი – 1710 წ., თბილისის „ჯიგრაშენის“ ეკლესია, ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგი – XVIII ს. და სხვა) (ჭიჭილეიშვილი 1996:57).

XVI საუკუნიდან კვლავ გაღვივდა ინტერესი ფიგურული გამოსახულებების, ფორმის მოცულობრივი წარმოჩენის მიმართ, მაგრამ უკვე კარგა ხნის დაკარგულ ტრადიციებზე აღმოცენებული, შინაგანად დაშრეტილი ხელოვნება მხატვრული თავსაზრისით ვერაფერს მატებს შუა საუკუნეების ქართულ პლატიკას. საერთო კომპოზიციური გადაწყვეტის სისადავე, სიბრტყობრიობა, ლაკონურობა, ფორმათა განზოგადება, უტრირება, ექლექტიზმი ცხრაფონას რელიეფურ ფილას XVI-XVII საუკუნეების ჭედური ხელოვნების ნიმუშებთან აკავშირებს (ჭიჭილეიშვილი 1996-57).

XVII-XVIII საუკუნეების ქართული ქანდაკების ნიმუშები ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით არაერთგვაროვნებით ხასიათდება. ერთმანეთს ენაცვლება ჰორელიეფური, თითქმის მრგვალ ქანდაკებასთან მიახლოებული და დაბალი რელიეფით კვეთილი კომპოზიციები. ზოგ შემთხვევაში, კვეთის ხასიათის მიუხედავად, ფიგურის მოდელირებაში აქტიურად იჭრება ხაზი და რელიეფის გრაფიკულ გამომსახველობას განსაზღვრავს. ამავე დროს არც ფორმის უფრო განზოგადებული

წარმოჩენის პრინციპია მიუღებელი ამ ეპოქისათვის (ანანურის ზოგიერთი რელიეფი). ცხრაფონას ოსტატი საერთოდ არ იჩენს ინტერესს დეკორატიული ელემენტების მიმართ. იგი არც სახის ნაკვეთებისა და არც სხეულის ცალკეული ნაწილების წარმოსაჩენად მიმართავს ფორმის გამოსახვის გრაფიკულ მეთოდებს. ეს, ერთი მხრივ, მისი გარკვეული პრინციპული მიდგომითა და, მეორე მხრივ, დაბალი პროფესიული დონითაც შეიძლება ავსხნათ (ჭიჭილეიშვილი, 1996:60).

ამრიგად, ცხრაფონას ეკლესიის გველშაპის მლახვრელი წმ. მხედრის გამოსახულებიანი ფილის მხატვრულ-სტილისტური განხილვა მოწმობს, რომ რელიეფი გვიანი ხანის, კერძოდ XVI-XVII საუკუნეების ქართული ხელოვნების სკულპტურულ ქმნილებათა რიცხვს განეკუთვნება (მაჭარაშვილი, 1996:60).

ამდენად, ცხრაფონას წმ. მხედრის კომპოზიცია ქართულ ხელოვნებაში საუკუნეების განმავლობაში შემუშავებულ იკონო-გრაფიულ სქემას იმეორებს. თუმცა გვიან ფეოდალური ხანში მომძალვრებული საერო ტენდენციების გავლენით წმინდანის გაოსახვისას ოსტატი მეტ თავისუფლებას იჩენს. რაც პირველ რიგში გამოიხატება ამ პერიოდში ფართოდ გავრცელებული სამოსითა და ატრიბუტებით: წელში გამოყვანილი საერო კაბა, აღმოსავლური სტილის კონუსური ქუდი და ქუსლიანი წინ ნავტეტებული ჩექმები. მსგავსი ჩაცმულობის სტილითა თუ ატრიბუტებით წმინდანები

და საერო პირები გვიანი შუა საუკუნეების ნიმუშებზე გვხვდება. მაგალითად, მხეცისძეთა ღვთისმშობლის ხატი, უბისისა და ხარაგოულის, შემოქმედის კარედი ხატები, ჟამუშის, ჯუმათის, მღვიმევის XVII საუკუნის ქედური ხატები; მარტვილის ღვთისმშობლისა და ილორის „ხარის მოყვანის სახის“ ხატებზე – XVII საუკუნის 40-იანი წლები; ანანურის ტაძრის, მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიისა და ტბისის ტაძრების XVII საუკუნის რელიეფებზე; XVIII საუკუნის „წარჩეს მთავარანგელოზთა კრების“, ილორის წმ. გიორგის ხატები, ტყვირის ქედური ფირფიტები და სხვა

შარავანდის გარეშე, სხვადასხვა ფორმის თავსაბურავებით გამოსახული წმინდანთა ფიგურები XVII-XVIII საუკუნეების ქართულ რელიეფურ ქანდაკებებზე ანანურის, ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის ეკლესიათა ფასადებზე გვხვდება (ჭიჭილეიშვილი, 1996:57,58).

მხატვრული შესრულების თავსაზრისითაც ცხრაფონის კომპოზიცია გვიანი შუასაუკუნეების ტენდენციებს პასუხობს.

ფიგურათა განლაგება, გაშეშებული, პირობითი პოზებით გადმოცემული მხოლოდ მოქმედების გამომხატველი

მოძარობა, მოკლებულია დინამიკურობას და ის უფრო სტატიკურობით ხასიათდება. კომპოზიციის საერთო სიბრტყობრივი გადმოცემის მიუხედავად გარკვეული პლანების მონაცვლეობა: შუბი მხედრის და ცხენის სხეულების მიღმა იკითხება; გარდა ამისა მხედრის სხეული ცხენთან შედარებით ოდნავ მაღლაა ამოზიდული, ხოლო წმინდანის უკანა ფეხი ცხენის სხეულის ქვედა სიბრტყეში იკითხება. ფიგურები მოკლებულია ყოველგვარ მოცულობრივ დამუშავებას. მათი სილუეტები ხისტი, კუთხოვანი ხაზით შემოისაზღვრება, სხეულის ფორმები განზოგადებული, სადა სიბრტყეების სახით გადმოიცემა. ამ ნიშნებით ის XVI-XVII საუკუნეების ნიმუშებს ეხმიანება. მაგალითად, ნიჩბისის წმინდა ნიკოლოზი – XVI-XVII სს., სვეტიცხოველი, ანანური - XVII ს. პეტრე-პავლეს ეკლესია საგარეჯოსთან, „გიგოს საყდარი“ ყინწვისთან – XVII-XVIII სს., თბილისის სიონი – 1710 წ., თბილისის „ჯიგრაშენის“ ეკლესია, ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგი - XVIII ს. და სხვა.

**მაია ღუგუაძე**

**ქ. ბათუმი, ელიტური სკოლის „გორდა“ პედაგოგი**



# ივანე შავასაშვილის ლიბერალური სლონი

იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა ერთ-ერთი რჩეული წარმომადგენელია. მან განსაკუთრებული კვალი დაამჩნია მშობლიური ენის განვითარებას. მისი „დედა ენა“ გახდა ქართველთათვის საყვარელი წიგნი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, ალტერნატივა ვერ გამოუჩნდა.

როცა თვალს გადავაკლებთ საქართველოს ისტორიას, გავცნობით მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს მდგომარეობას, მეფის რუსეთის დამოკიდებულებას, ქართველი ხალხისა და მათი მშობლიური ენის მიმართ, ვნახავთ როგორ იდევნებოდა ქართული ენა... ასეთ პირობებში მშობლიური ენის ქომაგად დადგომა ადვილი არ იყო, მაგრამ იაკობი გახდა მშობლიური ენის „ფარი და მახვილი“. უანგარო, სწორუპოვარი და მედგარი ბრძოლით დაძლია ყველა წინააღმდეგობა და ხალხის გულში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. „მძიმე წლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქართული ენის ბურჯი იყო და სახალხო განათლების ფარ-ხმალს წარმოადგენდა“ – წერდა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი – არნოლდ ჩიქობავა. ბავშვს ესაჭიროვება ენის

შესწავლა, სწორი მეტყველების დაწყება, უკითხეთ მას კარგი საბავშვო წიგნები, ასმინეთ სწორი ლიტერატურული საუბარი, ეს იქნება მისთვის ენის საუკეთესო მასწავლებელი – წერდა იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება დიდაქტიკურ ლიტერატურას მიეკუთვნება.

იაკობ გოგებაშვილი 35 წლის იყო, როცა „დედა ენა“ დაწერა ეს გახლდათ უნიკალური სახელმძღვანელო, რომლის მსგავსი საქართველოში არ შექმნილა. ფასდაუდებელია მისი „ბუნების კარი“. იგი ენციკლოპედიური წიგნია, რომელიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ისწავლებოდა – ასე აფასებდნენ იაკობ გოგებაშვილს ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

„იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ მან ზუსტ დროს იპოვა სწორი სიტყვა „დედა ენა“. ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება“ – წერდა ვინფრიდ ბოედერი – გერმანელი ქართველოლოგი.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 ოქტომბერს სოფელ ვარიანში (ახლანდელი გორის რაიონი) მამა სვიმონ მღვდელი იყო. სვიმონს სურდა, რომ შვილებიც სასულიერო პირები გამოსულიყვნენ. იაკობი კი დედასაც და მამასაც მღვდლად

წარმოედგინათ. მართალია, იაკობი ძალიან სუსტი ბავშვი იყო, მაგრამ მეტად ჭკვიანი, გამჭრიახი და მკვირცხლი გონება ჰქონდა. უამრავ ლოცვას ლექსსა და საგალობელს ადვილად ითვისებდა. თანატოლებს იაკობი ძლიერ უყვარდათ, რადგან ყოველთვის ნაირ-ნაირ მოთხრობებსა და ლექსებს უყვებოდა. მამისგან სიმღერის ნიჭიც დაჰყვა. პატარა იაკობს ძალიან იზიდავდა სოფლის ბუნება, იგი საათობით აკვირდებოდა სხვადასხვა ყვავილებს, ცხოველებს, ანკარა მდინარეში მოფართხალე თევზებს, ალბათ ამიტომაც შესძლო შემდგომში იაკობმა ასე საინტერესოდ აღწერა ეს მშვენიერი სამყარო „ბუნების კარში“

მაშინდელ დროში სოფლად სკოლები არ იყო. ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ ხოლმე. მაგრამ იაკობი იმდენად ნიჭიერი ბავშვი აღმჩნდა, რომ ოჯახმა იგი გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. იაკობი მეტად ბეჯითი ადამიანი გამოდგა სწავლის მიმართ. ის ძალიან ბევრს მეცადინეობდა და მალე საუკეთესო მონაფე გახდა.

იაკობს ძალიან აინტერესებდა საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა საეკლესიო ისტორიასა და საღვთისმეტყველო წიგნებს. შემდგომში ეს ცოდნა მას დაეხმარა ბავშვებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე დაენერა საღმრთო ისტორია.

სკოლის დამთავრების შემდეგ 1855 წელს იაკობი თბილისის სასულიერო სემინარში შევიდა, მაგრამ არც ამით და-

კმაყოფილდა და 1861 წელს სწავლის გასაგრძელებლად კიევში გაემგზავრა, სადაც სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს. კიევში მას შესაძლებლობა მიეცა თანამედროვე მეცნიერების პედაგოგების საზოგადო მოღვაწეობის შრომებს გასცნობოდა, მაგრამ კიევის ჰავამ ისედაც სუსტი ჯანმრთელობის იაკობზე კიდევ უფრო ცუდათ იმოქმედა და იგი ტუბერკულოზით დაავადდა. ექიმის დაჟინებული მოთხოვნით იაკობი იძულებული გახდა მესამე კურსი მიეტოვებინა და 1865 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1864 წელს გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა, იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და ყველაფერი ქართული იდევენობდა სკოლებში, ქართული ენის ხსენებაც კი აკრძალული იყო. არისტოკრატიას ქართულად ხმის ამოღების რცხვენოდა, ინტელიგენცია რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად ორ გვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას ვილა ჩიოდა. სკოლებში ძალიან მკაცრი და უსამართლო წესები ჰქონდათ, მოსწავლეთა წკეპლით ცემა, მუხლებზე დაყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო. იაკობ გოგებაშვილი აქტიუტი-

ურად ჩაება ეროვნულ – გან-  
მათავისუფლებელ მოძრაობაში,  
რომელსაც ილია ჭავჭავაძე და  
აკაკი წერეთელი მეთაურობდ-  
ნენ, იაკობი მაშინვე შეუდგა  
ძველი ჩვევების აღმოფხვრას,  
სემინარის გამგეობას სწავლის  
პროცესის მთლიანად გარდაქმ-  
ნის პროექტი წარუდგინა, სრუ-  
ლად გააუქმა დასჯა. 1865 წელს  
გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის  
„ქართული ანბანი და პირველი  
საკითხავი წიგნი მოსწავლეები-  
სთვის“ შემდეგ „ბუნების კარი“  
(1868) დარიგება მოსწავლეთათ-  
ვის თუ როგორ უნდა წაიყვანოს  
სწავლება წერა-კითხვისა ქარ-  
თულ ანბანში (1872) „დედა ენა“  
(1876). დედა ენა იაკობ გოგებაშ-  
ვილის სიცოცხლეში 33-ჯერ გა-  
მოიცა, გარდაცვალების შემდეგ  
კი 25-ჯერ „დედა ენას“ „ვეფხის-  
ტყაოსნის“ ბადალი უწოდეს,  
რადგან ხალხისთვის ყველაზე  
საყვარელი და პოპულარული  
წიგნი გახდა, გოგებაშვილის  
წიგნები ათიათასობით ვრცელ-  
დებოდა ყოველწლიურად, 20-  
25 ათასი „დედა ენა“ და 5-6  
ათასი „ბუნების კარი“ იყიდე-  
ბოდა, ამ წიგნებმა დაუდო სა-  
ფუძველი განათლების ფართოდ  
გავრცელებას. მისმა პროგრე-  
სულმა – პედაგოგიურმა მოღ-  
ვაწეობამ სინოდისა და მეფის  
ხელისუფალთა უკმაყოფილე-  
ბა გამოიწვია, იაკობი „საზო-  
გადოებრივი სამსახურისთვის  
არაკეთილსაიმედო პირად“ გა-  
მოაცხადეს და 1874 წელს სას-  
წავლებლიდან ისე გააძევეს,  
თავის მართლების საშუალებაც  
არ მისცეს. სასონარკვეთილი  
თვითმკვლელობიდან ბედნიერ-

მა შემთხვევამ გადაარჩინა.  
მძიმე ავადმყოფი, სახელმწიფო  
ბინიდან გამოგდებული, მეგო-  
ბარს შეეფარა, მაშინ დაწვა  
ყველა ოფიციალური საბუთი,  
სემინარიის ატესტატი, აკადემი-  
აში სწავლის მოწმობა და ფიცი  
დადო, „ამიერიდან მთელი ჩემი  
სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს  
ქვეყანას უნდა მოვახმაროვო“.  
ამის შემდეგ გოგებაშვილი სა-  
ხელმწიფო სამსახურში აღარ  
შესულა და მთელი სიცოცხლე  
საზოგადო მოღვაწეობას მიუძ-  
ღვნა. უსამსახურომ, უბინაომ,  
უფულომ მრავალი განსაცდელი  
გამოიარა, მაგრამ მიზნისთვის  
არ უღალატია.

იაკობ გოგებაშვილი მონა-  
წილეობდა ივანე მამაცაშვი-  
ლის ლიტერატურულ სალონში,  
რომელმაც ხელი შეუწყო ქართ-  
ველთა შორის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოე-  
ბის დაარსებას, ამ საზოგადოე-  
ბის გამგეობის აქტიური წევრი  
იყო იაკობ გოგებაშვილი (1879  
წლიდან) იგი თავისი წიგნების  
შემოსავლიდან დიდ დახმარე-  
ბას უწევდა „ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელ  
საზოგადოებას“, ერთხელ მთე-  
ლი მიღებული თანხა 13 ათა-  
სი მანეთი მთლიანად გადასცა  
საზოგადოებას და თავისთვის  
არაფერი დაიტოვა. მის თანა-  
მედროვეთა თქმით „ქართველთა  
შორის წერა-კითხვის გამავრცე-  
ლებელი საზოგადოება“ მისი  
მეორე ოჯახი იყო, საკუთარი  
ოჯახი კი იაკობს არ ჰყავდა, მან  
თავი მთლიანად თავის ქვეყანას  
მიუძღვნა, არ ყოფილა არცერ-  
თი ეროვნული საქმე, რომ ია-

კობს სიტყვით თუ არა, ფულით აქტიური მონაწილეობა არ მიელო, ეს იყო ზეპირსიტყვიერების შეგროვება, საბავშვო ჟურნალების გამოცემა, ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანა, სასოფლო სამეურნაო სკოლის ბიბლიოთეკების დაარსება, გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ წიგნით ვერ შეძლება ერის განათლებას, იგი იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისთვის საქართველოში. იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთად შედარებით. იაკობი არ იშურებდა სახსრებს სახალხო განათლებისთვის. იგი მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, ბევრ მათგანს თვითონ უხდიდა სწავლის ფულს. სისტემატიურად უგზავნიდა ფულს რუსეთსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებს მოსწავლე ქართველი სტუდენტებისთვის. ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს. ბევრმა მისი შუამდგომლობით სტიპენდია მიიღო, მათ შორის იყვნენ შემდგომში გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი და დიმიტრი არაყიშვილი... ამ დროს კი თვითონ საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა. ყოფილა დრო, როცა ბინის ქირის გადასახადიც არ ჰქონდა და მეგობრებმა შეიფარეს.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობას. გოგე-

ბაშვილს კალამიც კარგად უჭრიდა. ვისაც ქართული ენის ქართული მწიგნობრობის ლალატს შეატყობდა, მეხივით დაატყდებოდა თავზე, საოცარი გაასმაგებით ებრძოდა ივანოვსკის – ქართველთა დაუძინებელ მტერს – უკიჟინებდა და მისთანვე, რუსების ჩაგონებით სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნა, რომ მოინდომეს, თვითონ ხომ პასუხს გასცემდა, ასევე ილია ეტყოდა: – „გაგვიძეხ, ბერო, მინდიავ, კარს საფრთხე მოგვდგომიაო“ – რუსული ბიუროკრატიისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლებს ილიას, აკაკის თუ გოგებაშვილის სიტყვა არ დასცდენიათ რუსული ბიუროკრატიისა და კულტურის შესახებ, პირიქით, იაკობმა 1887 წელს შეადგინა „რუსკოე სლოვო“, რომელიც დიდხანს ემსახურებოდა ქართველ ახალგაზრდებს.

გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მის მოთხრობებში დიდაქტიკური ელემენტები ორგანულად ერწყმის მხატვრულ რელიზმს. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედების ძირითადი წყაროა ქართული ფოლკლორი. ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზე შექმნილი მოთხრობები „ქურდი და მამალი, „მერცხალი და მეცხვარე“ „ცხვარი და მარტი“ და სხვა. მოთხრობები „ბელურა“, „ნამი“ და სხვა აცნობს ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ბავშვებს.

მოზარდებს სამშობლოსათვის თავდადებასა და სიყვა-

რულს შთააგონებს ცნობილი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“ (1890) ჰუმანიზმს, პატიოტიზმს, ხალხთა მეგობრობას ქადაგებს. 1910 წელს გამოვიდა მწერლის რჩეული პედაგოგიკის და პუბლიცისტურ თხზულებათა ერთტომეული თავისი საბავშვო მოთხრობებით და კრიტიკული მიმოხილვით. გოგებაშვილმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ჟურნალებს „ნობათს“ „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“.

სიკვდილის წინ, 1912 წელს ანდერძი დაწერა და მთელი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა, შავი დღისთვის გადანახული ფული გაანაწილა და ათ-ათი თუმანი გადასცა ქართველთა, სომეხთა და მაჰმადიანთა საზოგადოებებს, ვარიანის სახლი თანასოფლელებს უანდერძა, სადაც სკოლა გაიხსნა.

ახალგაზრდობაში დაავადებული ხშირად ავადმყოფობდა, ამიტომ მუდამ თბილად ეცვა, მძიმე ჰაერს ერიდებოდა. სტამბაში არ შედიოდა, ასოთამწყობებს ნიმუშები გარეთ გამოჰქონდათ და იქ აჩვენებდნენ ყოველი წიგნის კორექტურას. ოთხჯერ კითხულობდა, ამონაბეჭდებს ასოთამწყობებს ურიგებდა და თითი ნაპოვნს შეცდომაზე ორ შაიურს აძლევდა, მანამდე არ ისვენებდა, ვიდრე ყველგან საგულდაგულოდ არ გაჩხრეკდა. ქლექის შიშით ცოლიც არ უთხოვია, რომ შთამომავლობისთვისაც არ გადაედო ეს მძიმე სენი, თუმცა ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა,

თავაუღებლად შრომობდა, გოლოვნის პროსპექტზე სეირნობა უყვარდა, ასევე ახალგაზრდებთან ლაპარაკი, ძირითადი თემა იყო რუსეთის ამა თუ იმ მოქმედების აღმაშფოთებელი ფაქტი, ჩაგვრა ქართული ენის, მისი განდევნა სკოლებიდან, ეკლესიებიდან, ოჯახებიდან, 72 წლის იაკობი მძიმედ ავად გახდა, ექიმების ყოველგვარი ქმედება სიცოცხლის დღის გახანგრძლივება იყო საყვარელი მამულიშვილისთვის. ვარდობისთვის მიწურულს 1912 წლის 1 ივნისს იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს დიდუბის ეკლესიასთან. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვერცხლის გვირგვინი მიართვა წარწერით.

„ხალხის მასწავლებელს – იაკობ გოგებაშვილს“. 1940 აღინიშნა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 100 წლის თავი და მისი ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

1952-1965 წლებში გიორგი თავზიშვილისა და დავით ლორთქიფანიძის რედაქციით გამოიცა გოგებაშვილის თხზულებათა ანტოლოგიური, რომელიც შეადგინა და კომენტარები დაურთო ვარლამ ქაჯაიამ. დაწესდა გოგებაშვილის სახელობის მედალი პედაგოგიურმა საზოგადოებამ დააწესა მისი სახელობის ფულადი პრემია წლის საუკეთესო პედაგოგიური ნაშრომისა და სახელმძღვანელოსათვის. გოგებაშვილის სახელი მიენიჭა ინსტიტუტს, საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას, სახალხო განათლების ბიბლიო-

თეკას, თელავის პედაგოგიურ სასწავლებლებს, სოფელ ვარიანის საშუალო სკოლაში ყოველი წლის ოქტომბერში ტარდება იაკობის დღესასწაული. 1976 წელს ჩატარდა „დედა ენის“ 100 წლისთვის იუბილე, მასობრივი ტირაჟით გამოვიდა გოგებაშვილის „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ აღდგენილი გამოცემები.

დიდია იაკობის დამსახურება ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებასა და გამოცემაში. მან ერთერთმა პირველმა გადააღებინა ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები, როგორც დიმიტრი კასრაძის მოგონებებიდან ჩანს, მან თვითონ თავისივე შესრულებით ჩაანერინა გრამფირფიტებზე ძველ ხალხური სიმღერები: „გუთნური“ „ოროველა“ „ურმული“ და სხვა, იმის შიშით, ვაი თუ მოკვდებოდა და სა ეს მოტივებიც გაჰქრენო.

იაკობ გოგებაშვილის შესახებ მასალების შეგროვების გამოცემის და შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა ჩაატარა განათლების სახელმწიფო მუზეუმმა, რომელმაც სხვა მასალებთან ერთად მის თანამედროვეთა ძვირფას მოგონებებს მოუყარა თავი. ასევე დიდი მუშაობა გასწია და ამჟამად ეწევა იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში, სოფელ ვარიანში. 1976 წელს თბილისში საფუძველი ჩაეყარა: დედა ენის“ ძეგლს, რომელიც 1883 წლის 11 სექტემბერს დაიდგა. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრება ძირითადად მრავალ საუკუნოვანი

ქართული კულტურის წიაღიდან აღმოცენდა, მაგრამ მისი მეცნიერულ-პედაგოგიკური სისტემის ჩამოყალიბებაში საჭიროა ჩამოყალიბებული იქნას ის როლი, რომელიც ითმაშა ევროპასა და რუსეთის მონიწივე მოაზროვნეების ფილოსოფოსების, მწერლების, განსაკუთრებით პედაგოგიკის კლასიკოსების პროგრესულმა შეხედულებებმა. იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებებმა. იგი, როგორც ტიპიური სამოციანელი და სასაქართველოში მე-19 საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. იაკობ გოგებაშვილი ნახევარ საუკუნოვანი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ოპოზიციაში ედგა არსებულ წყობილებას, ერთგულად ემსახურებოდა ხალხის წინსვლასა და განვითარებას, ერთხელ არჩეული გზით მიდიოდა „მთლი სიცოცხლის მანძილზე – აღნიშნავს იგი თავის ერთ-ერთ (მანძილზე) წერილში“ „ვიცავდი თვითმმართველობას, ავტონომიას, ხალხის განათლებას დედაენაზე ქართული ეკლესიის განთავისუფლებას ანუ ავტოკეფალიას, ქართული ტერიტორიის გადასვლას ქართველი ხალხის ხელში.

ვერც ერთი ცილისმწამებელი ვერ მონახავს ჩემს ძველსა და ახალს ნაწერებში თუნდაც მცირე ოდენ ორჭოფობას, ორგულეობას, მე გამოვედი საზოგა-

დო ასპარეზზე შემუშავებული პროგრამით, ღრმად მოფიქრებული რწმენით და ამ რწმენისთვის მე იოტის ოდენადაც არ მილაღატნია არც ერთხელ, არასდროს... მე არასდროს არ დამვიწყებია თუ რისი შემძლეა ჩვენი პატარა ერი. მაქსიმალური შესაძლებლობით“ – ასეთი იყო ჩემი დევიზი და არასდროს შეუძლებელზე ჩვენს ერს არ ვაქეზებდი, რადგან ცაში წეროების დევნა საუკეთესო ღონისძიებაა, რომ ყველა შინაური ფრინვე-

ლიც კი ხელიდან გამოეცალოს სახლს და თვითონაც სიკვდილის გზას დაადგეს.

დემოკრატიულობა, ხალხურობა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი – აირით არის გამთბარი მისი მსოფლმხედველობა, რომელსაც იგი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა.

**ნინო მიქაპა,**

**წალენჯიხა, სოფელ მიქაყას  
საჯარო სკოლის პედაგოგი.**

**განათლება – ორლესული იარაღია, რომლის გამოყენება შეიძლება ადამიანთა სასარგებლოდაც და საზიანოდაც. საქმე იმაშია, თუ ვის უჭირავს იგი ხელში და რა მიმართულებით ხმარობს ის ამ იარაღს.**

**იაკობ ბობეჯაშვილი**

**სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავლის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავლის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება.**

**ილია ჭავჭავაძე**

# ლიბერალური წრეები და სალონები საქართველოში

მხატვრული ლიტერატურის საჯარო კითხვისა და ოჯახური თეატრალური წარმოდგენების ტრადიცია უხსოვარი დროიდან მომდინარეობს.

ოფიციალურად, ლიტერატურული წრეებისა და სალონების პირველი აკვანი XVI-XVII საუკუნეების საფრანგეთში დაირწა, რასაც მადამ დე რამბუიეს, პოლეს, ქალბატონ ბურდონეს. მადმუაზელ სკიუდერიისა და სხვათა სახელებს უკავშირებენ. საფრანგეთის გავლენით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი ტიპის სალონები გაჩნდა გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, მოგვიანებით – რუსეთში.

XIX საუკუნის დამდეგს, როცა საქართველოში რუსეთის ცარიზმი დამკვიდრდა, ლიტერატურულმა თავყრილობებმა და ოჯახურმა სალონურმა შეკრებებმა ჩვენთანაც იჩინა თავი. „ჩვენ, თუ რაიმე ლექსებს ვწერდით, ჩვენი ნათესავებისთვის ვსწერდით და არა დასაბეჭდად“, – უთქვამს ერთხელ თავის საახლობლოში პოეტ გრიგოლ ორბელიანს (გაზეთი “საქართველო“, №81, 1915 წ.).

ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული იმდროინდელი შეხედულებით, მწერლის როლი და დანიშნულება მხოლოდ მისი მუშაობით როდი შემოიფარგლება. თავის საქმიანობას იგი თანამოაზრეებთან,

მეგობრებთან, პროფესიით დაახლოებულ

ადამიანებთანაც მისდევს. სწორედ ამის საფუძველზე წარმოიქმნა ლიტერატურული და თეატრალური სალონები, რომლებიც ნიშანდობლივი გახდა XIX საუკუნის ქართული კულტურული ცხოვრებისთვის.

ისტორიული ასპარეზიდან ბატოვანთა დინასტიის წასვლით, საკარო პოეზიის დაცემამდე, საოჯახო ლირიკის ფორმები წრეებისა და სალონების მეშვეობით ლიტერატურული ცხოვრების წამყვან ძალად იქცა. მწერლობა სალონურ გარემოცვაში ჩაიკეტა. ლექსები ინერებოდა არა დასაბეჭდად, არამედ იმისთვის, რომ ხელნაწერის სახით გავრცელებულიყო მეგობართა წრეში წასაკითხად და სალალობოდ.

“მიუხედავად ამისა, ლიტერატურა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში დომინირებულ როლს თამაშობდა. ხელოვნების სხვა დარგები უკან მიჰყვებოდნენ მას“, – აღნიშნავს XIX საუკუნის პირველი ნახევრის მკვლევარი იაკობ ბალახაშვილი. შინაური წარმოდგენები, საჯარო შეხვედრები, წრეები, სალონები, შეკრებანი, ბალები, ნადიმები, სარედაქციო სხდომები – აი, ლიტერატურისა და ხელოვნების ის სახეობანი, რომლებიც ჩვენს ინტერესთა სფეროს წარმოადგენს.



**ავტორთა საყურადღებოდ!**  
ქურნალ „სკოლა და ცხოვრებისათვის“ განკუთვნილი მასალები არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი ფორმატის ქაღალდის 12-15 გვერდს. მასალები აკრეფილი უნდა იყოს „Microsoft Word“-ში და გადმოგზავნილი ელ. ფოსტაზე: [chafidzegari@yahoo.com](mailto:chafidzegari@yahoo.com) მინიშნებით „სკოლა და ცხოვრება“.

**წერილებს უნდა ახლდეს ცნობები ავტორების შესახებ: გვარი, სახელი (სრულად), მისი პროფესია – საქმიანობა, წოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილი არ განიხილება.**



9772587455009